ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 2 თებერვალი 1965



თბილისი. ჩელუსკინელების ქუჩა დილით.

ფოტო ს მამასახლისისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**აკაკი გეწაძე**

# ზეცის სარკეში სამყაროს ვხედავ

ვარსკვლავთა შორის ლამაზი ხიდი
ირხევა რაღაც ფარული გზნებით.
ციდან გვეძახის სამყარო დიდი
და უშორესი გვიხმობენ გზები.

ზეცა სავსეა იაგუნდებით,
ცის ფიქრებს ჩვენი ფიქრები ერთვის.
იყო დრო-ჟამი — ვარსკვლავთ გუნდები
ალბათ თვალები ეგონათ ღმერთის.

მე ღმერთს წავართვი ტახტი და კვერთხი,
მზე გონებისა ვაქციე კვერთხად,
დავამხე ღმერთი, ციური ღმერთი,
რომ თვითონ კაცი გადვიქცე ღმერთად.

ცარგვალში ფიქრებს გავშლი აფრებად,
დუმილის ყამირს ავამქუხარებ...
იქ დედამიწა მომენატრება
ვით ჩემი ეზო, ჩემი ბუხარი.

მომენატრება ლოცვა დედისა,
წვიმა და თოვლი, თეთრი ღრუბლები
და ციდან კაცი, როგორც კეთილ სახლს,
კვლავ დედამიწას დავუბრუნდები.

ზეცის სარკეში სამყაროს ვხედავ
და მე მიტაცებს ცის იდილია...
მზეა სიცოცხლის მამა და დედაც
და დედამიწა მისი შვილია...

ამ მიწას უნდა მოვლა ბავშვივით,
რომ სამყაროში მარად იაროს
და მთელ სამყაროს, შუქად გაშლილი
დიდი გულისთქმა გაუზიაროს.

ცას შუქი ოქროს სხივებად სცვივა.
მე ვისმენ ზეცის იდუმალ ძახილს,
ვხედავ მომავალს:
სინათლის სხივად
ვარსკვლავთა შორის მიმოდის ხალხი.

ვარსკვლავთა შორის ლამაზი ხიდი
ირხევა რაღაც ფარული გზნებით,
ციდან გვეძახის სამყარო დიდი
და უშორესი გვიხმობენ გზები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (163) თებერვალი 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ნარინჯოვანთა ხეობაში

**ჯ. ბარამიძე**

ფოტო ფ. კრიმსკისა



ზამთარი პლანტაციაში.

ზღვა ქუხდა. ვეება ზვირთები გაშმაგებით აწყდებოდნენ კლდოვან ნაპირებს, ცაზე მიცურავდნენ დაფლეთილი ღრუბლები და ზამთრის ილაჯგაწყვეტილი მზეც ხან გამოანათებდა, ხან ისევ მიეფარებოდა ხოლმე თვალს.

ნათოვლ-ნაწვიმარ მიწას ნისლად ასდიოდა ოხშივარი და ნარინჯებით აქოჩრილი ზღვისპირა ბორცვებიც მზის სხივებზე ისე მოჩანდნენ, თითქოს სახე თეთრი ლეჩაქებით მოუბურავთო.

ჩაქვის ხუჭუჭა ალმართ-დაღმართებიც გამჭვირვალე ბურუსში იყო გახვეული. მანდარინისა და ფორთოხლის დაბალი, ტოტებგაბარჯღული ხეები ავდარში მოხვედრილი ბავშვებივით მობუზღულიყვნენ და დროდადრო ზღვიდან მოქროლილ ნიავზე გაუბედავად იბერტყავდნენ ტოტებს.

ამ მიდამოებს დასტრიალებს თავს ჯემალ ჯაში, უსაზღვროდ შეყვარებული თავის საქმეზე, როგორც ყველა გამრჯე და ალალმართალი კაცი. იგი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეობის განყოფილების უფროსია. მოუსმენ ამ ზორბა, მსხვილულვაშა გოლიათს და უმალ მიხვდები, რატომ მიდის აქ საქმე ესოდენ კარგად.

როცა რამდენიმე წუთის წინ მეურნეობის დირექტორმა ლევან წულუკიძემ გვითხრა, აი, მოვა ჩვენი გიორგი სააკაძე და ის გაჩვენებთ ყველაფერსო, რა თქმა უნდა, ეს ნათქვამი ხუმრობად მივიღეთ; მაგრამ ოთახში შემოსულ ჯემალს რომ შევხედეთ და მისი შრომისა და მეცადინეობის ნაყოფიც დავინახეთ, დავრწმუნდით, რომ თურმე მარტო ხმალში კი არ შეიძლება კაცი ქართლის დიდ მოურავს ემსგავსებოდეს, არამედ შრომაშიც მასზე ნაკლებ ვაჟკაცობასა და შემართებულებას არ იჩენდეს.

მეციტრუსეობის განყოფილების უფროსისა და მისი მუშაკების დიდი წვლილიც არის იმ წარმატებაში, რომელსაც ჩაქველებმა გასულ წელს მიაღწიეს ნარინჯოვანთა ნაყოფის მიღებაში. მიუხედავად იმისა, რომ უამინდობამ დააზარალა ციტრუსები, მეურნეობის მუშაკებმა, აგროტექნიკის წესების ზუსტი დაცვის მეოხებით, უხვ მოსავალს თავიდანვე ჩაუყარეს საფუძველი.

ახლა მეურნეობის მუშაკები კმაყოფილნი არიან. მათმა ჯაფამ ფუჭად არ ჩაიარა. ჩაქველებმა უფრო მეტი მანდარინი და ფორთოხალი მოკრიფეს, ვიდრე ცალკეულმა სპეციალიზირებულმა მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებმა — სამოცდახუთ ჰექტარ პლანტაციიდან მიიღეს ას ოცდაათი ტონა მანდარინი, გეგმით გათვალისწინებული ოთხმოცდაათი ტონის ნაცვლად და თორმეტი ტონა ფორთოხალი, ოთხი ტონის ნაცვლად. ჩინებული შედეგია.

ალბათ სწორედ ამიტომ არის, რომ ჯემალ ჯაშს, მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკი აღარ არის, ასე ლაღი ნაბიჯი აქვს და ასე ხალისიანად უცინის თვალები.

იგი ფართოდ აღებს თავის მანქანის კაბინის კარს და მხიარულად ბუხუნებს:

— დაბრძანდით, მეგობრებო!

ძველი, კეთილი „პობედა“ სხარტად სწყდება ადგილს და იწყებს აღმართ-აღმართებზე სირბილს.

— დავძველდით ორივე, მაგრამ მუხლში მაინც არ გამოგვლევია არც ერთს ძალა, — ხუმრობს ჯემალი და „პობედას“ ისე მიაქანებს ხეებსა და ბუჩქებში ჩამალულ ვიწრო ბილიკზე, რომ სუნთქვა გვეკვრის, — ჯერ ერთი ჰალა უნდა გაჩვენოთ, — გვეუბნება ჩაქველ მეციტრუსეთა თავკაცი, — ჩვენში ნამყოფ კაცს რომ იგი ნახული არ ქონდეს, არ შეიძლება. ქვეყნის ტურისტები სპეციალურად მოდიან და, მე მგონია, არც თქვენ დამრჩებით უკმაყოფილო. ამას ოქროს ხეობას ვეძახით.

ჯაშმა როგორც დასძრა, ისევე უცებ დაამუხრუჭა მანქანა. უჩვეულო სანახაობამ თვალი მოგვტაცა: ირგვლივ მკლავის სიმსხო ბამბუკის საოცრად ლამაზი ტევრი გაშლილიყო. ფერდობზე შეფენილი ქვემოდან ისე ჩანდა, თითქოს მხატვრებს შავ-მეწამული ცის ფონზე მწვანე ზოლები გაუვლიათ და შიგადაშიგ მწვანევე ჩუქურთმები ჩაუქსოვიათო.



9775
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

# ნაპერწკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პარტიული პრესის ისტორიაში გაზეთ „რაბოჩის“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს იყო არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა მოსკოვში, 1905 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე. გამოვიდა სულ ოთხი ნომერი. გაზეთის მეორე ნომერში დაბეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული მნიშვნელობის მიმართვა მუშათა კლასისადმი — „რსდმპ ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან“. მიმართვა ხელმოწერილი იყო ასე: „პროლეტარის“ რედაქცია“.

არალეგალური „რაბოჩის“ მესამე ნომერში ჩვენ წავაწყდით მეტად საინტერესო წერილს „მეფის მთავრობის მხეცობა კავკასიაში“. მასში დაწვრილებით არის აღწერილი 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში მუშათა მიტინგის დახვრეტის შემაძრწუნებელი ამბავი. წერილი ხელმოუწერელია.

ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში დღემდე ცნობილი იყო, რომ ეს ტრაგიკული ამბავი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის გარდა, გააშუქა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პროლეტარმა“. ამ გაზეთის 1905 წლის მე-18 ნომერში დაიბეჭდა სპეციალური ბიულეტენი კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმოწერით. „რაბოჩის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი კი დღემდე ცნობილი არ იყო და ამიტომაც უეჭველია, რომ იგი დიდ ინტერესს აღძრავს მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და კერძოდ ბოლშევიკური პრესის ისტორიის მკვლევართა შორის.

„მეფის თვითმპყრობელობისადმი საზრალმდებლო აქტს, — წერდა გაზეთი „რაბოჩი“, — მიემატა ახალი, გაუგონარი ბოროტმოქმედება“. გაზეთი ამ ამბის აღწერას იწყებს იმით, რომ მეფის მთავრობა და ჟანდარმერია ამიერკავკასიის ხალხებში მთელი ძალით აღვივებდნენ ეროვნულ შუღლსა და მტრობას. ამით ისინი ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ჩაეხშოთ კარსმომდგარი რევოლუციის ქარიშხალი.

რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. პროლეტარიატი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები. იგი უპირისპირდებოდა კავკასიელ მენშევიკთა ტაქტიკას, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ პროლეტარიატი არამც და არამც არ უნდა წასულიყო ბურჟუაზიაზე შორს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. რაც შეეხება რეაქციას, იგი ყოველმხრივ ცდილობდა ათასგვარი ხრიკებით გაეთიშა მუშათა მოძრაობა და უკიდურეს შემთხვევაში სისხლშიც ჩაეხშო იგი.

ყოველივე ამის აშკარა გამოხატულება იყო 29 აგვისტოს ტრაგიკული ამბები, რომლებზეც არა ერთგზის შეაჩერა თავისი ყურადღება ვ. ი. ლენინმა.

გაზეთ „რაბოჩის“ ფურცლებზე დაწვრილებით ასახულია მეფის მთავრობის მხეცური მოქმედება თბილისის ქალაქის გამგეობის შენობაში შეკრებილ უდანაშაულო მუშების მიმართ, რომლებიც მოითხოვდნენ ამიერკავკასიის მუშათა საჭირბოროტო საკითხების განხილვას.

დროებითი სამხედრო გუბერნატორის იაცკევიჩის ბრძანებით ქალაქის თვითმმართველობის შენობას გარსშემოერტყა 400-ზე მეტი კაზაკი და პოლიციელი, ისინი შეიჭრნენ დარბაზში, ჩაკეტეს ყველა გასასვლელი, ჩააქრეს სინათლე და დაიწყეს უიარაღო ხალხის ჟლეტა.

გაზეთ „რაბოჩი“ ამ ტრაგიკულ ამბავს ასე აგვიწერს: „კაზაკებმა შეკრებილთ მათრახებითა და თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა. ხალხი გასასვლელს მიაწყდა. მაგრამ, ვინაიდან სათათბიროს დარბაზი მეორე სართულზეა და ქუჩაში გასასვლელად უნდა გაიარო გრძელი, ვიწრო დერეფანი, მერე კარები და ისევ დერეფანი, პანიკით მოცული ხალხი თავპირის მტვრევით დაეშვა კიბეზე, ადამიანები ერთმანეთზე გადადიოდნენ. თავპირდამტვრეულ და დასისხლიანებულ ხალხს კაზაკებმა ქუჩაში ტყვია დაუშინეს. ერთმანეთში აირია ტყვიის ზუზუნი, მომაკვდავთა ხრიალი, დაჭრილთა ოხვრა და კვნესა. ვინც შესძლო და თავი დააღწია დარბაზში მომხდარ საშინელებას და რის ვაი-ვაგლახით ქუჩაში გააღწია, იქ კაზაკების ტყვიას ველარ დაემალა... სიკვდილს ვერც შენობაში მყოფნი გადაურჩნენ. კაზაკები ფანჯრებზე ძვრებოდნენ და იქიდან უშენდნენ ცეცხლს დარბაზს, ხოლო მათ, ვინც კარებიდან გამორბოდნენ, დერეფანში დახვედრილი კაზაკები ხმლით ჩეხავდნენ... ქუჩაში ყველა გამვლელს ესროდნენ. ქალაქის სათათბირო შენობიდან რამდენიმე კვარტალის დაშორებითაც აღმოჩნდნენ დახოცილები. დახოცილთა და ჭრილობისაგან გარდაცვლილთა რაოდენობა 200-მდე აღწევდა. მძიმედ დაიჭრა დაახლოებით 300 კაცი. მათრახითა და კონდახით ნაცემია თითქმის ყველა დამსწრე, დაახლოებით 2.000-მდე კაცი.


РАБОЧІЙ
ИЗДАНІЕ ЦЕНТРАЛЬНАГО КОМИТЕТА
РОССІЙСКОЙ СОЦІАЛЬ-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РАБОЧЕЙ ПАРТІИ

ხოცვა-ჟლეტა 40 წუთამდე გაგრძელდა. თვითმმართველობის შენობა დახოცილთა სისხლით მოირწყო“... იმავე ღამეს დააპატიმრეს 200-მდე კაცი, რომელთა შორის ბევრი ბოლშევიკი იყო.

ამ საშინელი ბოროტმოქმედების შემდეგ მეფის მთავრობამ ფარისევლური თავის მართლება სცადა, თითქოს დასროლა პირველად ხალხმა დაიწყო, რის შედეგადაც ერთი კაზაკი და ერთიც პოლიციელი დაიჭრაო. გაზეთმა ნიღაბი ჩამოჰგლიჯა მეფის მთავრობას. „სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, — წერდა იგი, — რომ კაზაკი დაჭრილი იყო თოფის ასხლეტილი ტყვიით (ტყვია თვითმმართველობის შენობის კედელს ასხლტა და კაზაკი სახეში, გვერდიდან დაიჭრა).“ რაც შეეხება პოლიციელს, ისიც კაზაკების ტყვიით იყო დაჭრილი. გაზეთში მოყვანილია პოლიციელის ნაამბობი: „ქვაფენილზე იწვა ბავშვიანი ქალი და საშინლად კვნესოდა. ამ ხმაურზე მასთან მივირბინე, რათა დახმარების აღმოჩენამდე ცხენოსნებს არ გაეთელათ, მაგრამ ტროტუარამდე გადმოთრევა ვერ მოვასწარი, რომ თვითონაც დავიჭერი, სამმა კაზაკმა, რომლებმაც ჩვენთან მოირბინეს, მე და ქალს ხელი არ გვახლეს, ბავშვი კი აჩეხეს“...

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა იმავე ღამეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია სათაურით: „სისხლი ილვრება, ემზადეთ აჯანყებისათვის!“ პროკლამაცია აღწერდა ხოცვა-ჟლეტის საშიხელ სურათს და განმარტავდა, რომ თვითმპყრობელობისაგან არ შეიძლება მოველოდეთ სხვა რამეს, თუ არა ტყვიებსა და მათრახებს, რომ ამიტომ ერთადერთი ხსნა აჯანყებაშიაო.

29 აგვისტოს ამბებმა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც რევოლუციური მასების მრისხანე გულისწყრომა გამოიწვია. რუსეთის ბევრ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში გაიმართა მშრომელთა საპროტესტო მიტინგები. გაფიცვები, დემონსტრაციები.

კომენტარს უკეთებს რა თბილისში მომხდარ ამბებს, გაზეთი „რაბოჩი“ აღნიშნავს: „კავკასია დიდი ხანია გახდა რევოლუციის კერა“.

ამ კერაზე აგიზგიზდა ალი რევოლუციური ბრძოლებისა, რომელთა მასშტაბი სულ უფრო და უფრო გაფართოვდა. ამ პირველი გაბრძოლების შემდეგ ბნელმა რეაქციამ მხოლოდ დროებითღა შესძლო დიდი სახალხო მოძრაობის შეფერხება. სულ მალე, ახალი აღმავლობის წლებში, ლენინის პარტიამ დარაზმა მშრომელები ზამთრის სასახლეზე საიერიშოდ და მათ დაამხეს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობა.

ოქტომბრის მზის შუქი სულ მალე გადმოსწვდა საქართველოსაც, რომელმაც 1921 წლის თებერვალში მოიპოვა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება.

და დღეს, როცა თბილისის საბჭოს შენობის წინ გაკრულ მემორიალურ დაფას შევხედავთ, კვლავ და კვლავ გვახსენდება, თუ რაოდენი სისხლის, რაოდენი ტანჯვის ფასად მოიპოვა თავისუფლება ჩვენმა ძლევამოსილმა ხალხმა.

**შალვა გოგიძე**

— ეს ბამბუკი ხელოვნურად დარგული არ გეგონოთ, იგი აქ ხარობს ალბათ ამ ქვეყნის წარმოშობის დღიდან და არ მგონია სადმე კიდევ მოიპოვებოდეს მისი მსგავსი რამ.

ბამბუკის ჭალასთან მოვუხვიეთ, თავქვე დავეშვით და მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციებს ზემოდან გადმოვადექით. ხეების ძირში მიწის შემოყრა კარგა ხანია დაემთავრებინათ. ახლა კი ციტრუსების ტოტების აკვრა და მარლით შეფუთვა მიმდინარეობდა.

მტერთან შესაბმელად გამზადებულ თეთრჩოხიან ვაჟკაცებს ჰგავდნენ შორიდან მანდარინისა და ლიმონის ხეები. მტერი — ყინვა იყო და სადღაც ჩასაფრებული უკვე აგრძნობინებდა მათ თავის ცივ სუნთქვას. მაგრამ მას გზა უკვე გადაღობილი ჰქონდა.

ქალები მორიდებული ღიმილით შეგვხვდნენ, თუმცა მუშაობა ერთი წამითაც არ შეუწყვეტიათ. აქ იყო ბაღის უფროსი ზინაიდა ხურცილავა, მოწინავე მუშები — მარო პაპკორია, ზოია მაშკოვა, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ცინცაძე; აქვე იყვნენ ბრიგადირი გრიგოლ ტიკარაძე, თადეოზ მწყერაშვილი.

ისე ეფლებოდნენ თავს ციტრუსებს, თითქოს პატარძლებს რთავენ საქორწინოდ.

ჭემალს გულმა ველარ გაუძლო და თვითონაც გაერია მეციტრუსეებში, გულიანად შეუდგა მუშაობას.

—ჩვენს მეურნეობას, — თან მუშაობდა, თან გვიამბობდა ჭემალი, — თამამად შეუძლია გაზარდოს ციტრუსების მოსავალი. ამ შვიდიოდე წლის წინათ ორას ოცდაათ ტონა ნაყოფს ვაბარებდით სახელმწიფოს, ახლა, თუ ამინდმა არ გვიღალატა, ხუთას ორმოცდაათ ტონაზე მეტს ჩავაბარებთ. ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და იმედი მაქვს წელს უფრო კარგ მოსავალს მოვიმკით.

ცამ გადაიყარა ღრუბლები და მის ლურჯ უსაზღვროებაში თვალისმომჭრელად აკიაფდა მზე, იგი უკვე ზღვისკენ დაქანებულიყო და აფუებულ მიწაზე გრძელ ჩრდილებს აწვენდა.

ჭემალ ჯაშმა მოჭუტული თვალით გახედა მზეს და გულდაჯერებით გაიღიმა:

— ამინდი არ გვიღალატებს, გული მეუბნება!



სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ცინცაძე.

# ქალიშვილი რომელიც ვეღარ დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვახტანგ სიხარულიძე**

ნამდვილი ამბავი

იმ ხანებში ქერჩის მიდამოებში ვიმყოფებოდით. ბატალიონის კომისარი ვიყავი, — ასე დაიწყო თავისი ამბავი ზურაბ კობიაშვილმა, — რა ენა აღწერს, რაც ჩვენ იქ ვნახეთ და განვიცადეთ, მაგრამ ერთი ქართველი ქალიშვილის ამბავი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

დივიზიის შტაბში ვიყავ გამოძახებული თათბირზე. შეღამებისას, იქიდან რომ დავბრუნდი, ბატალიონში ცუდი ამბავი დამიხვდა. ლეიტენანტ წულაძეს მზვერავები შეეგზავნა გერმანელების განლაგებაში, ბიჭებს მოენე კი წამოეყვანათ, მაგრამ უკან მობრუნებისას, ჩვენსა და მტრის პოზიციებს შორის, უპატრონო მიწას რომ ეძახიან, იმ ადგილას მზვერავი სანდრო ლაღიძე დაჭრილიყო, მეგობრებს გამოყვანა ვეღარ მოეხერხებინათ. ეგდო დაჭრილი ბიჭი გათოშილ მიწაზე, კვნესოდა და სისხლისაგან იცლებოდა.

და აი, ერთი თავგანწირული სანიტარი წასულიყო მის გამოსაყვანად. სანიტარი დივიზიის სამედიცინო ბატალიონს გამოეგზავნა ჩვენთან დაჭრილის საშველად.

მაშინვე წინა ხაზისაკენ გავემართე. ბატალიონის მეთაური იქ დამიხვდა, მზვერავებიც იქვე იყვნენ, ისინი გასცქეროდნენ სიბნელეს, რომელსაც დროდადრო პროჟექტორების ზოლები სჭრიდნენ.

— დაჭრილი აღარ ჩანს! — თქვა ბატალიონის უფროსმა.

—სანიტარს მოჰყავს აქეთ, — წამოიძახა უფროსმა სერჟანტმა ინწკირველმა, რომელსაც თვალი კარგად უჭრიდა სიბნელეში.

მართლაც პროჟექტორის შუქზე დავინახეთ: დაჭრილიც და სანიტარიც თითქოს ერთ კაცად ქცეულიყვნენ და ჩვენსკენ მოხოხავდნენ.

სამარისებური სიჩუმე ტყვიამფრქვევის ხმამ დაარღვია. უკუნეთი სიბნელე ცეცხლის ალმა დასერა.

— შეამჩნიეს მაგ წყეულებმა, — წამოიძახა ლეიტენანტმა წულაძემ. — ამხანაგო მეთაურო, ნება მიბოძეთ მისაშველებლად ჩემი ოცეულით იერიშზე გადავიდე.

— არ შეიძლება, — ნელა წაილაპარაკა მეთაურმა,— საქმეს უარესად წაახდენ... სანიტარი კი, ეტყობა შესძლებს შეუმჩნევლად გამოაღწიოს თავი. აგერ, ისევ დაიძრნენ, აბა, მოემზადეთ მათ მისაღებად...

პროჟექტორები ჩაქრნენ. და სულ მალე სანიტარმა დაჭრილიც გამოიყვანა.

უმალ ორივენი ბლინდაჟში ჩავიყვანეთ. ლაღიძეს ჭრილობები შევუხვიეთ.

— უჰ, აღარ მეგონა, თუ გნახავდით! — წამოიძახა ბლინდაჟში შემოსვლისთანავე სანიტარმა, სახე ოფლისა და ტალახისაგან მთლად მოთხუპნული ჰქონდა.

ვეღარ მოვითმინე, ჩავიხუტე და ჩავკოცნე. წვრილი ბიჭი ჩანდა, გამხდარი, გამიკვირდა კიდეც, სადა აქვს ამდენი ღონე-მეთქი.

— აბა ბიჭიკო, აიღე ეს ჭიქა. დალიე, გათბები, — მივაწოდე ჭიქა. — რას მისჩერებიხარ, უცებ არ დამიწუნო... ქართული კონიაკია...

— გმადლობთ, არა ვსვამ, — მითხრა სანიტარმა როგორღაც დარცხვენით, თითქოს დანაშაული ჩაედინოს, — ჩაიზე კი უარს არ ვიტყოდი.

სანიტარს ჩაი მოუტანეს, ჯერ ხელები გაითბო სასმისზე. შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო სმა. უცებ ისევ წამოხტა.

— მომეცით ჭიქა! — წამოიძახა, მივაწოდე, დასწვდა მაგიდაზე დაგდებულ დანას, დაჭრილს კბილები გაუხსნა და პირში ფრთხილად ჩაასხა კონიაკი.

ნახევარი საათის შემდეგ საკაცეზე დაწოლილი ლაღიძე ფრთხილად წაიყვანეს დივიზიის სამედიცინო ბატალიონისაკენ, რომელიც ზღვისპირას ქვასატეხების მრავალსართულიან გამოქვაბულებში იყო მოთავსებული.

• • •

ერთი კვირის შემდეგ დაჭრილის სანახავად წავედი. სამედიცინო ბატალიონი ზღვის პირას, ღრმა გამოქვაბულებში იყო მოთავსებული. საოპერაციოსა და რამდენიმე პალატის კლდეში გამოკვეთილი სარკმელები აზოვის ზღვას გადაჰყურებდნენ... მიწისქვეშა დიდი დარბაზი, რომელსაც მკურნალები და დაჭრილები კლუბს უწოდებდნენ, ელნათურებით იყო განათებული — ტრაქტორის ძრავა ჩაერთოთ და მისი გუგუნი კარგად ისმოდა ახლომახლო. მიწისქვეშა კლუბს ჰქონდა პატარა სცენა, ფარდის როლს კი ერთმანეთზე გადაბმულ ზეწრები ასრულებდნენ.

კლდეში გამოკვეთილი კიბეებით ჩავედი მიწისქვეშა ჰოსპიტალში და კლუბში ამოვყავი თავი. სცენაზე რამდენიმე კაცი იდგა და რაღაც სიმღერას ასრულებდნენ. დაჭრილების ერთი ნაწილი ქვებზე ჩამომსხდარიყვნენ, ხოლო ვისაც სიარული არ შეეძლო, საკაცეებით შემოეტანათ და მწოლიარენი უსმენდნენ კონცერტს.

სცენაზე, მომღერალთა შორის, ქერათმიანი, ლურჯთვალა ქალიშვილი შევამჩნიე. სამხედრო ტანსაცმელი კოხტად ედგა ტანზე.

— სად მინახავს ეს გოგონა? — გავიფიქრე.

ვიგრძენი, რომ ქალიშვილიც მომჩერებოდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გოგონამ გაიღიმა. მარგალიტივით ჩაწყობილი თეთრი კბილები ჰქონდა.

— ვის მაგონებს?! — კვლავ გამირბინა ფიქრმა, — ან იქნებ სხვას გაუცინა და მე მომეჩვენა.

გუნდმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა. გამოცხადდა შესვენება.

ქერათმიანი ქალიშვილი სცენიდან ჩამოვიდა.

— ვერ მიცანით, ამხანაგო კომისარო?! — ღიმილით მითხრა მან.

— თითქოს ნაცნობსა ჰგავხარ, მაგრამ ვერ გამიხსენებია სადა გნახე?...

— გახსოვთ სანიტარმა თქვენი მზვერავი რომ გამოიყვანა...

— ჰო, ერთი ტანმორჩილი ბიჭი იყო!

— ის „ბიჭი" მე გახლავართ. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ — ექიმის თანაშემწე ქეთინო თვალთვაძე.

მაგრად ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

— სწორედ იმ დაჭრილის სანახავად მოვედი, — ვუთხარი ქეთინოს.

— წავიდეთ... წამოგყვებით, — თქვა ქალიშვილმა. მეც გავყევი.

დერეფნის დასასრულს ერთ პატარა გამოქვაბულში, ოთხი საწოლი იდგა.

— აი, ისიც, — თქვა ქეთინომ — სანდრო! გამოიხედე ბიჭო. შეხედე ვინ მოვიდა!

ქეთინომ ფრთხილად გადახადა დაჭრილს საბანი. გამოჩნდა გაფითრებული, ოდნავ ულვაშებაკოკრებული სახე.

წამოსვლისას დაჭრილებისათვის საჩუქრები წამოვიღე. იმ დღეებში ჩამოგვიტანეს საქართველოდან. ამოვალაგე ზურგჩანთიდან მოსაკითხები.

ქეთინო ჩაითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა დაჭრილებს, მე კახური ღვინითა და ხილით. ოდნავ შექეიფიანებულმა მკლავში დაჭრილმა ხნიერმა ჯარისკაცმა ნელი ხმით წამოიწყო სიმღერა. მას ბანი მისცეს დანარჩენებმა. ქეთინომ ფანდური მოარბენინა და ჩამოჰკრა სიმებს.

გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ჩვენი ლხინი.

ქეთინომ გამომაცილა. ირგვლივ წყვდიადს ანათებდა ფერად-ფერადი მაშხალები, რომლებსაც გერმანელები ფრონტის წინა კიდეზე უშვებდნენ. მოშორებით ყრუდ ისმოდა ქვემეხების ხმა.

• • •

მაისის დასაწყისში გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. შავი ჯვრებითა და სვასტიკით მოხატულმა ათასობით თვითმფრინავმა ყვავ-ყორნებივით ჩააბნელეს ცა. გულშემზარავი ზუილით ეშვებოდნენ ძირს სირენებით აღჭურვილი ბომბები. ისინი სიკვდილსა სთესდნენ გარშემო.

ავიაციას მხარს უჭერდნენ მტრის არტილერია და სატანკო ნაწილები. მათ გაარღვიეს ფრონტის მარცხენა ფლანგი და ჩვენს ზურგში შემოიჭრნენ. დივიზია, რომელშიც მე ვმსახურობდი, ყაზანტიპის ნახევარკუნძულის მოვლით უნდა გამოსულიყო იმ ადგილებში, რომელიც გერმანელებს ჯერ დაკავებული არ ჰქონდათ. მთელი ღამე მოდიოდა ჩვენი ჯარი უკუნეთ სიბნელეში, აზოვის ზღვისა და ნახევარკუნძულის მთელ სიგრძეზე გაწოლილი აქტაშის ტბის შუა მდებარე ვიწრო ყელზე.

...მერე კიდევ უფრო მძიმე დღეები დაიწყო. ერთთავად ცეცხლის ალში იყო გახვეული გზები. იწვოდა ერთიმეორეზე ჩამწკრივებული მეთევზეთა დაბები, თევზის ქარხნები... მწყობრიდან გამოდიოდნენ ქვემეხები, ნაღმმტყორცნები, ტყვიამფრქვევები...

სწორედ იმ ხანებში მხარში დავიჭერი... დაჭრილი, უგრძნობლად მყოფი ტყვედ ჩამიგდეს გერმანელებმა.

მოაგროვეს სხვა ტყვეებიც და ყველანი სოფელ მარფოვკაში წაგვიყვანეს.

მაშინვე შევათვალიერე ხალხი და ათიოდე სანდო პირი ტყვეებიდან ირგვლივ შემოვიკრიბე. მათ შორის იყვნენ ლეიტენანტი იოსებ ქერქაძე, ზემდეგი ნიკო თავხელიძე, სერჟანტი შოთა ინწკირველი, მესანგრე სამხედრო ინჟინერი კოტე ივანიშვილი და ბატალიონის დალაქი გიორგი მაზანაშვილი.

— ასე გულხელდაკრეფილი ყოფნა არ გვარგებს... უნდა ვიღონოთ რამე, აქედან თავი უნდა გავაღწიოთ, — ვუთხარი მეგობრებს.

— იარაღია საჭირო, — თქვა იოსებ ქერქაძემ.

— აბა, ვის რა შეგრჩათ, ბიჭებო! — გადავხედე ყველას. ივანიშვილს „ტეტე" აღმოაჩნდა, ოცდარვა ვაზნით, შოთა ინწკირველსა და ნიკო თავხელიძეს ბებუთები, გიორგი მაზანაშვილმა კი მითხრა: „ორი ალესილი სამართებელი შემოვინახე, ერთი თქვენ, მეორე მე, გაჭირვების დროს ესეც იარაღია".

ამ დღიდან დავიწყეთ გაქცევაზე ფიქრი.

...ჩვენი იქ მისვლის მესამე დღეს ბანაკში ტყვეების კიდევ ერთი დიდი ჯგუფი მოიყვანეს. პაპანაქება სიცხეში დიდი მანძილი გამოევლოთ. ფეხზე ძლივს იდგნენ. მოსვლისთანავე წყალი გვთხოვეს დამხვდურებს.

უცებ ვიღაცამ ფრთხილად ხალათის კალთა ჩამომიწია. მივიხედე, ჩემს წინ მტვრისაგან გამურული ბიჭი იდგა, დავაკვირდი და, ღმერთო ჩემო... ქეთინო იყო, ვაჟურად გადაცმული. ელდა მეცა, მე ასე მეგონა გადაასწრო-მეთქი, ტამანის ნახევარკუნძულზე.

— ქეთინო! — წამოვიძახე.

— სს... ჩუმათ. არავინ მიცნოს.

— ნუ გეშინიან, ესენი ჩემი მეგობრები არიან.

ის კი დავამშვიდე, მაგრამ მე გულზე ლოდივით შემომაწვა ფიქრი. რა ეშველება ამ გოგოს...

— შენ დღეიდან მიტო გქვია, — ვუთხარი ქეთინოს, — დაიხსომეთ, ამხანაგებო — ეს ბიჭი მიტო თვალთვაძეა. თუ ვინმემ გკითხოთ, ასე უპასუხეთ.

შემდეგ ქეთინო შევათვალიერე და ვკითხე: — თმები წესრიგში გაქვს?

— ქუდის ქვეშ მაქვს შეკეცილი.

— არ შეიძლება. აბა გიორგი, — დავუძახე მაზანაშვილს — მოიტანე მანქანა. თმა უნდა გადაპარსო ამ ბიჭუნას!

მეგობრები რკალივით შემოერტყნენ ქალიშვილს. მაზანაშვილმა მაკრატლით შეაჭრა კულულები და მანქანით გადაპარსა თავი.

ჩვენს წინ თავხოტორა, ცისფერთვალება პატარა ბიჭი იდგა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, თორემ გერმანელებს რომ გაეგოთ ქეთინოს ამბავი, მტრისას, გაფიქრებაც კი გვეშინოდა რა განსაცდელი მოელოდა მას. ჩვენ უკვე ნახული გვქონდა როგორ აუპატიურებდნენ ჰიტლერლები ქალებს და მერე იქვე ხოცავდნენ.

სანიტარი მიტო მალე გაიცნო ყველამ. იგი დაუღალავად მკურნალობდა დაჭრილებს.

გერმანელებმა მარფოვკიდან ფეოდოსიაში წაგვიყვანეს.

შიშველ მიწაზე გვეძინა, მაღალი, ეკალმავთულიანი ღობის იქით გაკეთებულ ფიცრულის ძირში. ქეთინო მუდამ ჩემსა და ივანიშვილს შუა იწვა, ღამით რომ შესცივდებოდა, უნებურად გვეხუტებოდა მძინარე გოგონა, ხშირად ლაპარაკობდა ძილში. გული გვიკვდებოდა. ჩვენ ვიყავით ახლა მისი ძმებიც, მშობლებიც, ერთადერთი მფარველნი, მაგრამ აბა რა შეგვეძლო; არა და, დღედაღამ იმაზე ვფიქრობდით, როგორ გადაგვერჩინა მხეცებისაგან ეს უმწეო ქალიშვილი.

ნიკო თავხელიძემ ერთხელ გერმანელი მცველების სამზარეულოში მთელი დღე ხეხა ქვაბები. მზარეულმა საველე პატარა ქვაბით მისცა მწვანე ლობიოში მოხრა-

კული ხორცის ნარჩენები, დიდი ნაჭერი პური და მარგარინი. თავხელიძემ ცოტა პური შეჭამა. ძლიერ შიოდა, ისე შიოდა, რომ ათი ამდენიც არ ეყოფოდა, მაგრამ თავი შეიკავა. დარჩენილი საჭმელი მთლიანად ქეთინოს მოუტანა.

შოთა ინწკირველი ბანაკის პირდაპირ, ეკლესიის ეზოში მდებარე საწყობის დასახვეტად წაიყვანეს გერმანელებმა. კვირა დღე იყო. ეკლესიაში ლოცვაზე მოსულმა დედაბრებმა ტყვეს საკურთხი უწილადეს: დიდ ცხვირსახოცში ჩაუყარეს მურაბითა და იაფფასიანი კამფეტით გაწყობილი წანდილი, მისცეს რამდენიმე ნაჭერი ნამცხვარი. შოთამ ყველაფერი ქეთინოს მოურბენინა.

არც ქეთინო რჩებოდა ვალში მეგობრებს. მისი გულმოდგინებით ივანიშვილსა და თავხელიძეს ჭრილობები ურჩებოდათ. ქეთინო ხშირად იდგა რიგში კასრებთან მეგობრებისათვის წყლის მოსატანად, უკერებდა მათ დაგლეჯილ ტანსაცმელს...

• • •

მალე ისევ აგვყარეს და წაგვიყვანეს. დაუძლურებულებს გზაში დაუნდობლად ხოცავდნენ და მთელი გზა ადამიანების გვამებით იყო მოფენილი.

ისლამ-ტერეკი, ყოფილი საბჭოთა მეურნეობა „ახალგაზრდა გვარდია“, ცედლერი, ჯანკოი, ხერსონი — ერთი მეორეზე საშინელი იყო ამ ადგილებში მოწყობილი ტყვეთა ბანაკები.

ხერსონიდან ნიკოლაევისკენ რომ მივყავდით, შუადღისას სოფელ კისელიოვკის მახლობლად შეგვაჩერეს. სოფლელებს ჯერ კიდევ შორიდან დაენახათ დაუძლურებული ტყვეები. უამრავმა ქალმა, მოხუცმა და ბავშვმა მოიყარა თავი ჩვენს ირგვლივ. მათ სახელდახელოდ წამოეღოთ პურის, მჭადის, ხორცის და ყველის ნაჭრები, შინაური ძეხვი და ლორი.

მაგრამ არ გინდა ყველაფერი ეს გადასცე ტყვეებს?! მაინც მოახერხეს სოფლელებმა. გერმანელ მცველთა ყვირილისა და უწყალო ცემის მიუხედავად, ტყვეების ჩანთები, ქვაბები, უბეები სწრაფად ივსებოდა საჭმლით.

ყველაზე მეტად ქეთინო შეებრალათ სოფლელ ქალებს.

— შეხედეთ იმ პატარა ბიჭს. რა გამხდარია, საცოდავი... ჯერ სულ ბალღია, ულვაშების ნატამალიც კი არა აქვს... ვაი შენს დედას, — წამოიძახა ერთმა ხნიერმა ქალმა, — მოიწი აქეთ შვილო, გამომართვი ეს საჭმელი!

ქეთინომ მადლობით გამოართვა მოხუცს პატარა ფუთა.

— ჩემს ვანიასა ჰგავს ეგ ბიჭი, ვაი, შვილებო, რა დღეში ხართ ამ ურჯულოების ხელში! — წამოიძახა მეორე ქალმა და ღაპაღუპით გადმოსცვივდა ცრემლები.

მშიერი ტყვეები უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე პირველად დავნაყრდით. თვალცრემლიანი სოფლელები შორიახლოდან შემოგვცქეროდნენ, ჩვენი საცოდაობით გული უკვდებოდათ.

მეორე დღეს შორით გამოჩნდა ქალაქი ნიკოლაევი. ქალაქის მისასვლელებთან გარს შემოგვეხვივნენ პოლიციელთა რაზმები — ესენი მტრის მხარეზე გადასული ბანდიტები და ქურდები იყვნენ. პოლიცელები დაგვერივნენ ისედაც გატანჯულ ტყვეებს და უმოწყალოდ დაგვიწყეს ცემა.

ქალაქის მცხოვრებლებს შუა ქუჩაში დაეწყოთ წყლით სავსე თავღია პატარა კასრები, ქაღალდში შეხვეული საჭმელი, ხილი. მაგრამ პოლიციელებმა აგვიკრძალეს დაგველია წყალი, აგვეღო საჭმელი. ისინი აბრუნებდნენ წყლიან კასრებს, ფეხებით სრესდნენ სურსათსა და ხილს.

სამგლოვიარო პროცესიასავით ნელა მიუახლოვდა ჩვენი კოლონა ეკალმავთულიან მაღალ ღობეს. დიდი და მძიმე გზის გამოვლის შემდეგ ბანაკში რეზინის ჯოხებით გვერეკებოდნენ პოლიციელები და ჰიტლერული არმიის ჯარისკაცები.

ქეთინომ მაგრად ჩამჭიდა ხელი ხელში და ერთი წუთითაც აღარ მცილდებოდა.

კოლონა ნელა მიემართებოდა წინ. ეკალხლართულების დერეფანი თანდათან შევიწროვდა.

წინ ხის შენობა გამოჩნდა.

— გაიხადეთ მთლიანად ტანსაცმელი. შეკარით და ჩააბარეთ, შემდეგ კი აბანოში შედით! — გაისმა ბრძანება.

ახლა წარმოიდგინეთ, რა თავზარი დაგვეცემოდა ამის გაგონებაზე. მორჩა, ფარდა ეხდებოდა ჩვენს საიდუმლოს და ჩვენს თვალწინ იღუპებოდა ჩვენი პატარა გოგონა. ვცადე და თარჯიმანს ვუთხარი — ჩვენ ტანდაბანილნი ვართ-მეთქი, იმან გადაუთარგმნა გერმანელ ოფიცერს.

— უსიტყვოდ გაიხადეთ ყველამ! — გასცა ბრძანება ოფიცერმა.

ბიჭებს გადავხედე, ყველას ფერი დაჰკარგვოდა, შევატყე — ყველას ერთი საფიქრალი ჰქონდა, სასიკვდილოდ განწირულებს თავიანთი თავი დავიწყებოდათ და რაღაც საცოდავად შესცქეროდნენ ქეთინოს. მიდიოდა წინ კოლონა, ახლოვდებოდა საბედისწერო წუთი, ჩვენ სულ ვითრევდით ფეხს, უკან ვექცეოდით, მაგრამ როდემდის... ავტომატებით შეიარაღებული გერმანელები გვაჩქარებდნენ...

„ნუთუ არაფერი არ შეიძლება“ — ტვინს მიბურღავს ეს ფიქრი და ვიცი, წინასწარ ვიცი, სასწაულის მეტი არაფერი გვიხსნის, ხსნა არსაით ჩანს. არა და, გულს არ უნდა დაიჯეროს ეს... აბა, რა შეგვიძლია ჩვენ, მაგრამ სადღაც, გულის კუნჭულში ასე მგონია, რაღაც შეგვიძლია-მეთქი...

ჰოდა, არ დავანებებთ... მერე რაღა აზრი ექნება ჩვენს სიცოცხლეს!

აღარაფერი მესმოდა, აღარაფერს ვგრძნობდი და მგონი ვეღარც ვხედავდი ვერაფერს... რაღაც ლურჯი წრეები აირივნენ ჩემს თვალწინ. უტყუარად რაღაც შფოთვა დავიწყე თუ იქნებ მეავტომატეზეც წავიწიე, და ის იყო ჩურჩული ჩამესმა:

— არ გაინძრე... რას ჩადიხარ... შენ რომ აქ ამაოდ თავი შეაკლა, მერე მაგის სისხლი ვინ უნდა აიღოს?!

ხმაზე ვიცანი, სერჟანტი ინწკირველი იყო.

და იმავე წუთს ჩამესმა ქეთინოს ხმამაღალი შეძახილიც:

— არ შევალ, მე ქალი ვარ!

იმავე წუთს ძერებივით ეძგერნენ მეავტომატეები, ჩასტაცეს ხელი და წაათრიეს.

• • •

რვა თვის შემდეგ გავიქეცით ტყვეთა ბანაკიდან და ჩვენებს შევუერთდით.

იცოცხლე, მოვკითხეთ ჰიტლერელებს იმ ცოდვის საზღაური! ბერლინამდე მივაღწიეთ და ამ ბრძოლებში, გამახსენდებოდა ხოლმე ჩვენი ქეთინო, გამახსენდებოდა და გული ისევ ბოღმით ივსებოდა. ვეღარ დაგვემდურებოდა ჩვენი პატარა გოგონა, რომ ენახა როგორ იბრძოდნენ მისი ძმები...

სად არ ვეძებეთ, სად არ ვიკითხეთ ჩვენი ქეთინო, მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ. ომის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნებულა. ვინ იცის სად, რომელ მიწაში გაითხარა მისი ობოლი საფლავი!





# მოგზაურთათვის ხმამაღლა თქმული

## ოთარ შალამბერიძე

მომეცით ხელი,
მეგობრებო, ვიაროთ ერთად,
კრძალვით ვემთხვიოთ
ჩვენი მიწის თვითეულ მტკაველს!
ვნახოთ, რიყრაყზე
როგორრია გულთეთრი მცხეთა,
თბილი ლრუბლები
როგორ ჰგვანან თვინიერ კრავებს.

ისე ახლოა ალავერდი, —
სასმისს მიაწვდი,
ყრმობის იმედებს მოგაგონებს
სუნთქვა იისა,
ვით ეკლიანში გახლართული
ნაზი დიაცი,
გუმბათზე ნისლი იკაწრება
გამთენიისას.

ვიაროთ ერთად!
სიჭაბუკეს რა შეაჩერებს,
თუ გული გულობს,
მოზღვავებულ ზვავსაც ავიტანთ;
არ ესვენებათ არასოდეს
მთაში ჩანჩქერებს, —
მთების სიყვარულს გუგუნებენ
დასაბამიდან!

ვიაროთ ერთად!
ჩანს გურია ხელისგულივით,
თვალსასიამოდ
ხასხასებენ ჩაის მწკრივები;
ოქროს ნაყურში
ანთებული ჩვენი სურვილი
გვიბიძგებს ხელს და
ფორთოხლებში ჩავიძირებით.

თვალდათვალ თვლემენ:
ბეთანია,
თმოგვი,
შუამთა,
ეს — საქართველოს
ფესვმაგარი ბასტიონები,
ის სიმღერა ვთქვათ,
ბებერ მუხებს რომ ჰგვრის ქრუანტელს,
ის სიმღერა ვთქვათ,
რომ გაწვრთნილა მკაცრი ომებით!

ზოგჯერ უსიტყვოდ დავუჩოქოთ
კრწანისს, მარაბდას,
გრემსა თუ გელათს,
ბუდედაშლილ ბულბულის ციხეს,
და როს მიწიდან ამოზრდილ კვამლს
წამით დავლანდავთ,
ნეტარი თრთოლვით
იმ შორეულ დინებას მივყვეთ!

ერის სიმდიდრე
ისევ ერის ძალაში არი,
ძალა არ კვდება, —
ძალა ავსებს ახალ თაობას!
ნანგრევთა ჩრდილში
სამოროდო ყანა შრიალებს,
როგორც მომავლის
მშვენიერი თანდათანობა!

ვიაროთ ერთად!
დე, ბრწყინავდეს სიამის ცრემლი,
როდესაც გჯერა,
სიყვარულიც უფრო მეტია!
გულზე ამოდის წელთაღრიცხვა
უსაზღვროდ გრძელი,
თითქოს ამდენ ხნით
სამარხებში ვერ ჩაეტია!

ვიაროთ ერთად!
მეგობრებო, მომეცით ხელი,
მკერდში გადადნეს
საქართველოს მზის ენერგია!
ვნახოთ ღრუბლებში განასკვული
გომბწრის ყელი,
სადაც ოცნება
აკვამლებულ ნისლს შელეკია!

ვნახოთ ვენახის
ოქროსფერი გამოდარება,
ფუტკრის პატარა ოჯახები —
ყვავილთ საუფლო;
ვნახოთ ფერდობზე დაპენტილი
თეთრი ფარები,
მერე მწყემსების ალალ გულთან
გავისაუბროთ!

ბალახის ფიქრი,
მთვარის მტვერი
და ღამის ნამი,
მდუმარე,
სველი ბილიკებით შემოვა ჩვენში
და იტყვით,
რომ არ განგიცდიათ ამგვარი რამე,
რომ თავისთავად მეტყველებსო
ბუნების ეშხი!

რომ ყველაფერზე ძლიერია
ახალგაზრდობა
და სიძლიერე
უკვდავების ტკბილ ნაყოფს ისხამს;
რომ ყოველს დროში,
წუთობით და წელიწადობით,
თვითონ ხალხი ჰქმნის
სილამაზის თვითეულ მისხალს!

ვიაროთ ერთად!
დე, ბრწყინავდეს სიამის ცრემლი,
როდესაც გჯერა,
სიყვარულიც უფრო მეტია!
გულზე ამოდის წელთაღრიცხვა
უსაზღვროდ გრძელი,
თითქოს ამდენ ხნით
სამარხებში ვერ ჩაეტია!

# ჩა ხედავ მსოფლიოში

ადამიანს მობეზრდა სიცოცხლე! იგი ვეღარ ამჩნევს, როგორ ჰყვავის ქუჩებში ცაცხვი, როგორი სუნი უდის ახლად მოთიბულ თივას, როგორ ხმაურობენ ტალღები ზღვის სანაპიროზე. მისთვის სულერთია—აფრინდებიან თუ არა მისი ტოლები მთვარეზე, გაიმარჯვებს თუ არა ადამიანი კიბოს საბედისწერო სიმსივნეზე, გადააქცევენ თუ არა საჰარას აყვავებულ ოაზისად.

თვითმკვლელობა კაპიტალისტურ ქვეყნებში — ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო დასავლეთ ბერლინში, თვითმკვლელთა შესახებ ცნობებს ყოველდღიურად ბეჭდავენ გაზეთები. ხანდახან ეს მყვირალა სენსაციებია, ხშირად კი 5-10 სტრიქონიანი მოკლე ინფორმაციები, რომლებიც იკარგებიან ამინდის, საავტომობილო კატასტროფებისა და სისხლის სამართლის პროცესების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში.

ოცდათხუთმეტი წლის მარიონ პ-მ, ხუთი წლის ბიჭუნასა და თერთმეტი თვის გოგონას დედამ, გადაწყვიტა ხელი აეღო სიცოცხლეზე. მან, ბავშვებთან ერთად, მიიღო დასაძინებელი აბები და გაზის ონკანი გახსნა. დახმარება გვიან მოვიდა. დედა და გოგონა უკვე მკვდრები იყვნენ. მხოლოდ ბიჭის გადარჩენა მოხერხდა.

ოცდაცხრა წლის მშენებელი მუშის კლაუს კ-ულმანის გვამი სასაფლაოზე იპოვეს. იგი მამის სამარეზე ეგდო და გვერდით საწამლავიანი ბოთლი ეგდო.

თვრამეტი წლის სტენოგრაფისტი ქალი ბრიგიტ შნეიდერი ხუთსართულიანი სახლის აივნიდან გადმოხტა.

ორმოცდათორმეტი წლის მსახიობი ქალი ა. ბენცი უმუშევრად დარჩა და საარსებო წყარო აღარ გააჩნდა. ქალმა დახმარება სთხოვა სოციალურ უწყებას, მაგრამ პასუხიც არ მიუღია. სასოწარკვეთილმა მარტოხელა მსახიობმა საძინებელი წამლის დიდი დოზა მიიღო.

რატომ დგას დასავლეთ ბერლინი თვითმკვლელობების რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე? როგორც გაზეთი „ვოხენპოსტი“ იუწყება, გასულ წელს აქ 1,240 კაცმა მოიკლა თავი. ამას გარდა, შვიდი ათასზე მეტმა კაცმა სცადა თავის მოკვლა. დასავლეთ ბერლინში თვითმკვლელთა გადასარჩენი სპეციალური სამსახურიც კი არსებობს. მისი ოფიციალური სახელწოდებაა „სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურება“. გაზეთებსა და სატელეფონო წიგნებში მუდამ ხაზგასმითაა აღნიშნული ამ დაწესებულების ტელეფონის ნომერი.

მე დავრეკე ტელეფონით და მაშინვე გამომეპასუხა ქალი, რომელმაც თანაგრძნობით მკითხა თუ რა მოხდა: საფინანსო საქმეებში განვიცდი სიძნელეს, თუ ოჯახური უთანხმოებანი მაქვს? ანდა, შეიძლება, თეოლოგთან მინდა საუბარი?

მე ვუპასუხე, რომ ჯერჯერობით სიცოცხლეზე ხელის აღებას არ ვაპირებ, უბრალოდ, მათი ორგანიზაციის გაცნობა მინდა.

## რამდენი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე

დედამიწის მოსახლეობა ყოველ წუთში 94 კაცით იზრდება, ხოლო დღე-ღამეში ჩვენს პლანეტას დაახლოებით 135 ათასი კაცი ემატება. 1959 წელს მსოფლიოს მოსახლეობის წმინდა მატება 50 მილიონ კაცს შეადგენდა, რაც საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობას უდრის.

ამ გაანგარიშებისას, ცხადია, გათვალისწინებულია ისიც, რომ იმავე წუთებში, როცა ბავშვები იბადებიან, ავადმყოფნი და მოხუცნი კვდებიან და საერთო რიცხვს აკლდებიან.

ეს საინტერესო ციფრები მოყვანილია მოხსენებაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ საქმეთა დეპარტამენტმა შეადგინა.

როგორი პროპორციით გაიზრდება დედამიწის მოსახლეობა უახლოეს ათწლეულებში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური ორგანოები: 1960 წელს დედამიწაზე 2.914 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1980 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 4.223 მილიონი იქნება, ხოლო 2 000 წლისათვის — ეს ციფრი ექვსიდან შვიდ მილიარდამდე გაიზრდება.

# ვინ უშველის სიცოცხლისაგან დაღლილთ

— ვინა ხართ თქვენ? — შემეკითხნენ.

ვუპასუხე. ამას მოჰყვა პაუზა. შემდეგ ქალის იმავე ხმამ, მხოლოდ უფრო მშრალად მიპასუხა:

— მობრძანდით ხვალ. თქვენთან ისაუბრებს გრაფის ასული შლიფენი.

მეორე დღეს მე ავდიოდი ათასგვარი კანტორებით გაჭედილ ოთხსართულიანი სახლის კიბეზე, სულ მაღლა, როგორც იტყვიან, ზეცასთან ახლოს, სადაც რამდენიმე ოთახში განლაგებულია „სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურება“.

გრაფის ასული შლიფენი ადგილზე არ აღმოჩნდა. მე მიმიღო მეორე თანამშრომელმა — ხანშიშესულმა, მელოტმა, სათვალეებიანმა კაცმა. იგი პროფესიით ფსიქოლოგი, ხოლო წარმოშობით შვეიცარიელი აღმოჩნდა. შემიპატიჟა სადად მოწყობილ კაბინეტში, სიფრთხილით შემათვალიერა. ალბათ რაღაც ვერაგობას ელოდა, შემდეგ მოლბა და საუბარიც გაიბა.

„სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურება“ ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. იგი საწევრო შესატანებით არსებობს და თვითმკვლელთა გადასარჩენად თავგანწირულ ენთუზიასტებს აერთიანებს. დასავლეთ ბერლინში ეს ორგანიზაცია უკვე შვიდი წელია არსებობს, მას დოქტორი თომასი ხელმძღვანელობს.

აქ შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა. ადამიანს, რომელიც გადაწყვეტს „შუაღამისას ტყვია იხალოს შუბლში“, შეუძლია, სურვილისამებრ, დარეკოს „სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურებაში“; იგი აქედან მიიღებს სათანადო ნუგეშს და ადვილი შესაძლებელია, რომ მან მალე ისევ მშვიდი ძილი განაგრძოს. ამ ორგანიზაციის თანამშრომლები გაიგებენ თუ არა, რომ სადღაც თვითმკვლელობის ცდა მოხდა, მაშინვე იჩქარებენ დაზარალებულთან და დიდხანს ესაუბრებიან მას.

— რა აიძულებს ადამიანს ხელი აიღოს სიცოცხლეზე? — შევეკითხე ჩემს თანამოსაუბრეს.

— მიზეზები მრავალგვარია, — მიპასუხა მან. — ერთ-ერთი მათგანი მარტოობაა. ჩვენთან მოდიან ადამიანები და დიდხანს ვლაპარაკობთ ცხოვრებაზე, თავიანთ გაჭირვებაზე და ეჭვებზე. შემდეგ ისინი დგებიან და მადლობას გვიხდიან დახმარებისათვის; ღამღამობითაც ბევრი გვირეკავს. მათ უხარიათ, რომ ამ ქვეყანაზე მათთვის არსებობს ვიღაც, რომელთანაც ლაპარაკი და გულის გადაყოლება შეიძლება.

მარტოობა უზარმაზარ ქალაქში! პარადოქსი ხომ არ არის? რით არის გამოწვეული ეს მარტოობა? ჩემს თანამოსაუბრეს აშკარად არ სურს ღრმად ჩახვდეს საკითხის არსს, გაურბის ამ თემას.

„სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურების“ ხელმძღვანელმა დოქტორმა თომასმა ამას წინათ დაწერა „თვითმკვლელობის აცილების სახელმძღვანელო“. იგი 468 გვერდიანი სოლიდური შრომაა. მაგრამ ამ წიგნში მოცემული არ არის ანალიზი იმ მიზეზებისა, რის გამოც ადამიანები თავიანთი ნებით იხშობენ სიცოცხლეს. არსებითად, „სიცოცხლისაგან დაღლილთა მომსახურების“ თანამშრომლები ჰგვანან ექიმებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ცდილობენ ავადმყოფთა სხეულზე რეგულარულად გაჩენილი წყლულების მორჩენას, მაგრამ, ამავე დროს, არ უღრმავდებიან წყლულის წარმოშობის მიზეზს.

განსაკუთრებული ცოდნა არ არის საჭირო, რომ ამ ავადმყოფობის დიაგნოზი დაისვას. პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა კაპიტალისტური საზოგადოება, ესაა: კერძო წარმოება, მოგებისაკენ სწრაფვა, სოციალური უთანასწორობა და გაჭირვება, ეგოიზმი, აქ მოქმედებს დევიზი: „თვითეული თავის თავისთვის, ღმერთი — ყველასათვის“ — ყველაფერი ეს კი წარმოშობს შავბნელ მარტოობას და თიშავს ადამიანებს.

ადამიანებს წინ არა აქვთ დიდი იდეალები და გული უტყდებათ ცხოვრებაზე, იღლებიან არსებობისათვის მძიმე ბრძოლით და შემთხვევითი არ არის, რომ თვითმკვლელობის მცდელთა შორის ესოდენ ბევრი არიან ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ ოცდაათი წლისათვის არ მიუღწევიათ.

დასავლეთ ბერლინელმა მოსწავლე გოგონამ ბრიგიტა კ-მ, რომელიც შეეცადა თავი მოეკლა, დღიურში ჩაწერა: „ყველაფერი მომბეზრდა. როდესაც ოცდაერთი წელი შემისრულდება, ჩემთვის კუბოს ვიყიდი“.

თუ ბოლომდე დავსვამთ ავადმყოფობის დიაგნოზს, მაშინ უნდა ვთქვათ, დასავლეთ ბერლინში განსაკუთრებული მდგომარეობაა. ამ გარემოებას გამოჰყავს იგი სამწუხარო ლიდერად — თვითმკვლელობის რაოდენობის რეკორდსმენად. აი, უკვე კარგა ხანია, რაც დასავლეთ ბერლინი „საფრონტო ქალაქია“. დასავლეთის ხელისუფალნი და გერმანელი რევანშისტები შეგნებულად უწყობენ ხელს ნერვიულობას, ხელოვნურად ზრდიან დაძაბულობას. პროვოკაციას პროვოკაცია მოსდევს. ყველაფერმა ამან, რასაკვირველია, არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა განწყობილებაზე.

ამას წინათ აქ მოხდა მორიგი თვითმკვლელობის ცდა, რომელმაც რთულ მდგომარეობაში ჩააყენა სასამართლო ორგანოები. ყველასგან მიტოვებულმა მარტოხელა დედამ თავის თოთხმეტი წლის ვაჟთან ერთად გადაწყვიტა სიკვდილი. ქალმა, როგორც უმეტესობამ, ამ შემთხვევაში საძინებელი აბები და გაზის ონკანი გამოიყენა. მაგრამ ბიჭს მალე გამოეღვიძა, ოთახიდან გავიდა და მეზობლებს დაუძახა. დაზარალებულნი საავადმყოფოში წაიყვანეს, სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, როგორ მოქცეულიყვნენ? გაასამართლონ დედა ვაჟის მოკვლის ცდისათვის? მაგრამ თვითონაც ხომ უნდოდა სიკვდილი და არავითარი არ უთხოვნია გადარჩენა. ბოლოს და ბოლოს ნახეს გამოსავალი — უბედურ დედას მიუსაჯეს ათი თვის პირობითი პატიმრობა.

ასე რომ, კიდევ ერთი საქმე დაიხურა. მაგრამ წინ კიდევ რამდენი იქნება! და ვინ მონახავს ტრაგედიიდან გამოსავალს? ვინ ფიქრობს სიცოცხლიდან უდროოდ წასულთა ბედზე, ერთი მუჭა გულუბრყვილო ენთუზიასტების გარდა, რომლებიც ებინზტრაშეზე ოთხსართულიან სახლში დამკვიდრებულან? ჭეშმარიტად ვინ უშველის სიცოცხლისაგან დაღლილთ?

ბ. ორლოვი

**კარელურ-ფინური ხალხური პოეზიის უბრწყინვალესი ძეგლი „კალევალა“ თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. რუსეთში ეს ეპოსი დღემდე უკვე შვიდჯერ გამოიცა.**
**მუხრან მაჭავარიანმა დაამთავრა ამ ძეგლის თარგმნა ქართულ ენაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ თავს „კალევალადან“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ებრძვის ათასგვარ ჭირს და სნეულებას, როგორ იცავს ხალხს განსაცდელისაგან მოხუცი ვეინემეინე — მთავარი გმირი ამ ეპოსისა.**

ერთ დღეს პოხელში ამბავი მოდის,
ლოუხსაც უთხრეს ამბავი მწარე,
იმ ნაფოტებით სამპოის უხვის,
და სახურავის ნაჭრებით ჭრელის, —
დუღს და გადმოდის ცხოვრება
კალევს,
ვიაინელის ჰყვავისო კუთხე.

ლოუხის გული ავსო შურით,
მყისვე იმაზე დაიწყო ზრუნვა,
თუ რას და როგორ მიმართოს
ძალას,
რა გამოძებნოს ისეთი ხერხი,
ვიაინელის გაჟლიტოს ხალხი,
მთელ კალევალას გაავლოს მუსრი.

ლოუხმა უკკოს მიმართა თხოვნით,
ემუდარება ქუხილის უფალს:
„ო, დიდო უკკო, მაღალო ღმერთო!
გაანადგურე კალევის ხალხი,
რკინის დაარტყი ვიანელს სეტყვა,
უკურნებელი შეჰყარე სენი,
ფოლადისპირა ისრები დასცხე,
მთლად ამოსწყვიტე იმათი გვარი,
მინდვრად მძორები დაჰყარე კაცთა,
ქალთა გვამებით გაავსე გომნი!“

თვალდავსებული ტუონის ქალი,
აუტანელი, როკაპი გლისპი,
მანის შვილთაგან ყველაზე გონჯი,
უსაძაგლესი ყველაზე მეტად, —
სახე რომ ჰქონდა მრუმეზე მრუმე
და ბანჯგვლიანი რომ ჰქონდა ტანი,—
მიზეზი გახდა ყოველგვარ ჭირის,
ყოველგვარ ბიწის საბაბი გახდა.

თვალებდამდგარმა ტუონის ქალმა,
სახე რომ ჰქონდა მრუმეზე მრუმე,
ლოგინი თურმე დაიგო გზაზე,
შუა შარაში გაშალა ლები,
დაწვა უხერხულ ადგილზე ქარში,
ამინდი იყო როდესაც ცუდი,
ორპირი ქროდა როდესაც ქარი,
ქარი რომ ქროდა ძალიან ცივი.

წამოუქროლა გრიგალმა თურმე,
აღმოსავლეთის მოიჭრა ქარი,
თესლი შთაბერა უგუნურ ქალწულს,
გამოუბერა ნაყოფით ფაშვი;
იქ, სადაც ერთიც არ იდგა ბუჩქი,
ბალახის ერთიც არ იყო ღერი.

დაეთრეოდა ვეება მუცლით,
კვნესით დაჰქონდა სისავსე თვისი;
თვემ გაიარა ორმა და სამმა,
მეშვიდეც გადის, მერვეა უკვე,
ბოლოს და ბოლოს, გავიდა მერვეც,
ქალი მეცხრეში გადადგა თვეში,
ხოლო დედაბრებს რომ კითხოს კაცმა,
მეათეშია ის უკვე მდგარი.

ყოვლადმაღალმა ხმა უყო ღრუბლით,
ბრმას ჩამოსძახა მაღლიდან ღმერთმა:
„სარიოლს, ზღვასთან დგას ერთი
ქოხი,
ჯანღიან პოხელს ქოხია ერთი,
ერთი სამკუთხა ქოხია ქუფრი,
სამკუთხა ქოხი, — ზედ ზღვასთან
მდგარი:
წადი, იქ წადი, იმ ქოხთან მიდი,
იქ მოიშორებ შენ ნაყოფს შენსას,
იქ მოუთმენლად გელიან ახლა,
იქ ენატრებათ შვილები შენი!“

თვალებდამდგარი ტუონის ქალი,
ასული მანის, შობიდან ბილწი,
ლახლახით მიდის პოხელის ქოხთან,
აბანოს კართან ჩერდება იგი,

აქ გააჩინოს შვილები რათა,
შთამომავალნი დაჰყაროს მუცლით.

განმავლობაში ზაფხულის ღამის,
მხურვალე იყო აბანო ვიდრე,
ვიდრე ცხელ წყალში ბორგავდა
მრუმე,
ცხრა შვილი შობა ზედიზედ ბილწმა,
შობა ისინი შიგანის ძალით,
გამობერილი დაცალა ფაშვი.

ახლა სახელებს უძებნის შვილებს,
გამოუძებნა სახელი ყველას;
ექეთებინა უნდა რა საქმეც,

# კალევალა



იმ საქმის სეხნა სახელი მისცა:
ერთ-ერთს სახელად უწოდა წყლული,
მეორეს ჭვალი დაარქვა სიბის,
მესამე, ბილწმა მონათლა ჭუჭყად,
მეოთხეს იგი სიმჭლევეს არქმევს,
მეხუთეს არქმევს სახსრების ტეხვას,
მეექვსეს შავი დაარქვა ჭირი,
მეშვიდეს ჩირქი დაარქვა წყლულთა,
მერვეს სახელად წყალმანკი მისცა.

მეცხრეს არ ჰქონდა სახელი მხოლოდ,
ყველაზე ბოლოს რომელიც გაჩნდა,
და დედამ იგი გაგზავნა ზღვაზე,
იქ დააყენა მჩხიბავად ზღვისა,
რათა კიდენი გაჩხიბოს ზღვათა,
შურის რომ იყოს მთესველი
ყველგან.

წყვდიადით მოცულ შუაში კონცხის,
ჯანღით დაფარულ კუნძულის თხემზე,
სასწრაფოდ ერთად თავს უყრის
ცხრავეს
დიასახლისი პოხელის მხარის,
და მათ კალევის აგზავნის მხარეს,
ვიაინელის მხარეში გზავნის,
რომ დასნეულდეს კალევში ყველა,
მთელ ვიაინელს გაევლოს მუსრი.

კალევში ხალხი შეიქნა ავად,
სენმა ლოგინად ჩააგდო ყველა,
გაჩნდა რაღაცა კვიმატი სენი,
იქ არყოფილი არასდროს წინათ;
იატაკები დაჩირქდა სახლის,
ქოხთა ჭერთაგან ბალღამი წვეთავს.

გამოდის გარეთ ვეინე ბრძენი,
წინასწარმთქმელი, უკვდავი მარად,
რათა სენთაგან დაიხსნას ხალხი,
გადაარჩინოს კალევი სიკვდილს;
იგი საჩხუბრად ტუონში მიდის,
რომ შეერკინოს საზიზღარ სენთა.

აბანო ხელად გაათბო მაგრად,
ქვებს სიწითლემდე ახურებს იგი,
მან სუფთა შეშით დაანთო ცეცხლი,
გამორიყული შეუნთო შეშა.
თავდახურულად მოიღო წყალი,
მოარბენინა ცოცხები სუფთა,
იგი ამ ცოცხებს ხელამოდ
მდუღრავს, —
ხშირფოთლოვანებს არბილებს
ორთქლით.

თაფლად აქცია აბანოს ორთქლი,
დაისადგურა ჰაერში ბუღმა,
მხურვალე ქვებმა აუშვეს ხვატი,
ნატეხნი წითლად ღვივიან ქვათა.
ალაპარაკდა მოხუცი უცებ,
ვეინემ ასე მიმართა უფალს:
„ამ უნჯუფაში ჩამოდი ღმერთო!
აქ ზეციერო ჩამოდი მამა,
ჯანი ხელახლა მოგვეცი მრთელი,
კვლავ დაგვიბრუნე სიმშვიდე სრული!
ეს ნაპერწკლები მოთქერე გლისპი,
ბოროტი სწრაფად დაშრიტე ბუტვა,
ზომაზე მეტი ჩაქოლე სიცხე,

ავადმყოფური გვაშორე ხვატი,
მან შვილნი შენი არ დაწვას რათა,
ქმნილება რომ არ იმსხვერპლოს შენი.

აი, მე ქვებზე ვასხურებ წვეთებს,
ცხელ ქვებზე წვეთებს ვაპკურებ
წყლისას.
დაე, ეს წყალი გადიქცეს თაფლად
დაე, ტკბილ წვენად გადიქცეს იგი,
თაფლის მდინარე დაიძრას უცებ,
თაფლმა აბანო აავსოს მთელი,
თაფლისა დადგეს ღუმელზე ტბანი
ამ დახავსებულ აბანოს შუა.

დაე, ეს ყოვლად მართალი ხალხი,—
ნუა სნეული, უნებოდ ღმრთისა,
ნურცა რაიმე იმსხვერპლებს სენი,
თვინიერ ღმრთისა მოვლენილ სენთა.
ის, ვისაც ჩვენი დაღუპვა უნდა,
დაე, თავისმა დაღუპოს სიტყვამ,
აქვს ვისაც ჩვენი მოსპობა აზრად,
თავისი აზრის თვით გახდეს წერა.

თუ მე იმდენი არ შემწევს ძალა,
ისეთი მძლავრი თუ ვერ ვარ გმირი,
გასაჭირიდან დავიხსნა ხალხი,
უბედურება ვაშორო მოძმეთ,
თვით დიდი უკკო მოვიდეს მაშინ,
მიმართულებას ვინც აძლევს
ღრუბლებს,
მორჭმით რომელიც ცაშია მჯდარი,
ღრუბლები დაჰყავს რომელსაც ცაზე.

ო, დიდო უკკო, მაღალო ღმერთო,
შენ, თვით ღრუბელთა ზემორე
მდგარო,
დატოვე ზეცა, დაეშვი დაბლა,
იჩქარე, ჰქრება შექმნილი შენი.
მოვედი! დიდი ტანჯვისგან გვიხსენ
შორს მოისროლე ეს მძიმე ჭირნი,
უბედურება გვაშორე შავი,
გაანადგურე კვიმატი სენი.

პირცეცხლოვანი მიბოძე ხმალი,
გადმომაწოდე მახვილი ცეცხლის,
ეს ბოროტება ავკუწო რათა,
აქედან სწრაფად ვიფრინო ბილწნი,
ქარის გზას მივცე — ყოველი სენი,
უშორეს მინდვრებს — კირთება
მძიმე.

ტანჯვას კინწისკვრით შევაგდებ
მთებში,
მთებში, რომლებიც სავსეა რკინით,
ავადმყოფობას, რაცკია, ყველას
გადავუძახებ ორწოხთა შორის,
რათა შეუძლოდ შეიქნას ტინი,
ტანჯვა რომ იგრძნონ პიტალო
კლდეთა;
არ იტირებენ ტანჯვისგან ლოდნი,
არ იკვნესებენ სენთაგან კლდენი,
ჰქონდეთ როგორიც არ უნდა სნება,
ადგეთ როგორიც არ უნდა ტანჯვა.

ტუონის ქალო, დიაცო სენთა!
სნეულებათა მცხოვრებო მთაში,
სადაც ნაკადი მდინარებს სამი,
სამი ჟურება დინება სადაც,
სნეულებისას შენ მართავ დოლაბს,
სენთანი შენგნით ბრუნავენ კლდენი!
მოვედი! ჭირნი ალიხვენ უხვნი,
ხახაში დურთე ცისფერი ლოდის,
ანდა მოხვეტე ისინი ხელით
და ჩაუძახე სიღრმეში ზღვათა,
ვერ დაუქროლებს მათ სადაც ქარი,
ციაგიც რომ ვერ ჩააღწევს მზისა.

ეს საკმარისი არ არის თუკი,
დიაცო სენთა, უფალო სულთა,
ასულო წყლულთა, უბადლო ქალო,
გამოგვეცხადე, ფეხმარდად იარ!
ჯანი ხელახლა მოგვეცი სალი,
კვლავ დაგვიბრუნე სიმშვიდე სრული!
დააძაბუნე სიმძლავრე სენთა.
ვაივაგლახი აოტე დიდი,
ავადმყოფს ძილი უბოძე წყნარი,
უმწეოს ბოლო მოუღე ზრუნვას,
მოამჯობინე სენთაგან მჭლენი,
წამოაყენე სნეულნი ფეხზე!

კასრში სნებანი ჩაჩურთე ავნი,
ვაივაგლახნი სპილენძის ყუთში,
წამოიკიდე ტანჯვანი ზურგზე,
ზურგზე მოიგდე სნებანი ჩვენი
და აიტანე ჭიუხთა ზედა,
სენთა კლდეღრეში ჩაზიდე ზურგით;
იქ, ორივენი, სნებაც და ტანჯვაც,
ჩაადგი ისეთ პაწია ქვაბში,
რომ ნეკზე დიდი არ იყოს ქვაბი,
ძლივს ეტეოდეს იმ ქვაბში ფრჩხილი.

ერთი ლოდია შუაში მთათა,
შუაში ლოდის ხვრელია ერთი,
ბურღმა გახვრიტა შუაში ლოდი,
ლოდში ხრაშუნით გავიდა რკინა;
შენ იქ ჩაჰყარე სნებანი ჩვენი,
იქ ჩაუძახე ყოველგვარ ტანჯვას,
წიხლით ჩატენე კირთება ხვრელში,
ისე ჩაჩურთე იმ ხვრელში ყველა,—
ველარ ამოძვრეს იქიდან ღამით,
დღისითაც ველარ გამოჩნდეს სადმე!“

ვეინემეინე, მოხუცი ბრძენი,
წინასწარმთქმელი, უკვდავი მარად
მტკივან ადგილებს მალამოს აცხებს,
დაბუდებულა იქ სადაც სნება;
ცხრა მალამოთი მკურნალობს
სნეულთ.
რვით ჯადოქრულით მკურნალობს
ხერხით.

ვეინემეინემ, მოხუცმა ბრძენმა,
წინასწარმთქმელმა, უკვდავმა მარად,
უბედურება განდევნა ასე,
სნეულებანი გაჰყარა გარეთ:
ხალხს განაშორა ნაღველი მძიმე,
მან ულმობელი განკურნა სენი,
დაღუპვისაგან კალევი იხსნა
და გამოსტაცა ხელიდან სიკვდილს.

**თარგმანი მუხრან მაჭავარიანისა**

# [illegible] ქართველი

**სერგო კლდიაშვილი**

ადამიანები, რომელთა პორტრეტებს გთავაზობთ, არაფრით ყოფილან განთქმული; მათ კვალი არ დაუტოვებიათ ისტორიაში, მაგრამ ისინი ნამდვილად არსებობდნენ და საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდათ. მათი ცხოვრების და თავგადასავლის ფონზე წარსულში შესაძლებელი იყო მხატვრული ნაწარმოების შექმნა და, ასე მგონია, რომ ისინი შემთხვევით გამორჩნენ მხატვრული სიტყვის ძველ ოსტატებს. ეს ცალკეული პორტრეტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მხოლოდ დროით და წარსული წლების მოგონებებს წარმოადგენენ.

მილიონერმა აზნაურმა ნიკო კლდიაშვილმა სილამაზით განთქმული თავისი ერთადერთი ქალიშვილი მინადორა მიათხოვა ქვეითი პოლკის ოფიცერს ალექსანდრე მიქაბერიძეს. მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებს შორის ცოტა იყო ოფიცერი და ასეთი ვინმე, თუნდაც ის ღარიბი ყოფილიყო, მაინც სახარბიელო სასიძოდ ითვლებოდა. ალექსანდრე ლამაზი ახალგაზრდაც ყოფილა და კიდევ ამიტომაც შეძლებელ აზნაურს ყურადღება არ მიუქცევია მისი ხელმოკლეობისათვის და ქალიშვილზე ჯვარი დასწერა. შტაბს-კაპიტნის ჩინი ახლად მიღებული ჰქონდა ალექსანდრეს, როცა სიმამრი გარდაიცვალა, ამის შემდეგ მან მიატოვა სამხედრო სამსახური, სოფელში საცხოვრებლად გადავიდა, მაგრამ რაღაც ავადმყოფობისგან თვითონაც სიცოცხლეს გამოესალმა. დაქვრივებულმა მინადორამ აღარ ისურვა სოფლად ცხოვრება, ადგილ-მამულის მოვლა მოურავს მიანდო და გადასახლდა ქუთაისში, სადაც საკუთარი სახლი და რამდენიმე სავაჭრო შენობა ჰქონდა გაქირავებული.

მინადორას მაშინ უკვე სამი ვაჟი ჰყავდა: კონსტანტინე, — შემდეგში ცნობილი ექიმი ფოთში და საზოგადო მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძესთან დაახლოებული პიროვნება, მისი მომდევნო დავითი — რკინიგზის ინჟინერი, რაც იმ ხანში ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო და, ყველაზე უმცროსი, ანდრია, რომლის თავგადასავლზე და უნაყოფორობით სავსე ცხოვრებაზე მოკლედ მაინც გიამბობთ.

ანდრია ქუთაისის გიმნაზიაში იყო იმ დროს, როცა იმავე ქალაქში დედაჩემიც სწავლობდა და ისინი, როგორც ნათესავები, დაახლოებული იყვნენ. მათი მეგობრობა მოწიფულობაშიც გულწრფელი იყო, ზაფხულობით, როცა სიმონეთში საგარაკოდ ჩავდიოდით, როგორც ჩვენი, ისე ანდრიას ოჯახი ერთმანეთთან ხშირად სტუმრობდნენ.

ჭაბუკობაში ანდრია ძალიან ლამაზი ყოფილა; მას იცნობდნენ, როგორც მეტისმეტად განებივრებულს, ენამოსწრებულსა და, ამასთანავე, ახირებული ხასიათის მქონე ყმაწვილს. მისი ახირებულობა ზოგჯერ იმ ზომამდე მიდიოდა, რომ თავის თავს დიდ განსაცდელში აგდებდა: ანდრიას ვიღაც გოგონა ჩავარდნოდა თვალში, მაგრამ გიმნაზიელი ქალიშვილი სულ ნორჩი იყო და, რა თქმა უნდა, თანაგრძნობით ვერ უპასუხებდა გამიჯნურებულ ყმაწვილს. ანდრიამ ამის გამო თავის მოკვლა გადაწყვიტა, ავიდა არქიელის გორაზე, აიტანა იქ ბარგის ჩასაწყობი კალათი, რომელიც ზედ უფსკრულის პირად დადგა, ჩაძვრა შიგ და როგორც კი შეარყია, კალათი მოსწყდა ადგილს და დაგორდა. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ, — კალათი ორ ხეს შუა მოხვდა და გაჩერდა, — დაღუპვას გადაარჩინა შეყვარებული ჭაბუკი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დედამ ანდრია გაგზავნა საფრანგეთში, მონპელიეს აგრონომიულ ინსტიტუტში, გამოუცდელ ყმაწვილს რომ იქ ცხოვრება არ გაჭირვებოდა და, ამასთანავე, მეთვალყურე და ხელმძღვანელი ჰყოლოდა, დედამ თან გააყოლა განათლებული ახალგაზრდა კაცი, შემდეგში ცნობილი მოღვაწე და პედაგოგი პეტრე ყიფიანი.

პირველ წელიწადს, ანდრიას დაჟინებული სურვილის გამო, ისინი პარიზში დარჩნენ საცხოვრებლად. ანდრიას საფრანგეთში წაღებული ჰქონდა ჩოხა-ახალუხი, უძიროები და ხანჯალი. ასე მოკაზმული დადიოდა ხოლმე ის პარიზის ქუჩებში და, ცხადია, დიდად აკვირვებდა ფრანგებს თავისი მორთულობით.

როდესაც ვიქტორ ჰიუგოს ნეშთი გადაჰქონდათ პანთეონში, ამ გადასვენებას ანდრია მიქაბერიძეც დაესწრო. აქ მან თავი გამოაცხადა საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლად, სიტყვაც წარმოთქვა და ბოლოს კუბოს ემთხვია. ეს ამბავი სასიამოვნო მოსაგონრად ჰქონდა ანდრიას და არა ერთხელ უამბნია ჩემთვის.

— დიდი შთაბეჭდილება მოვახდინეო, — მეტყოდა ხოლმე. — იქაურ გაზეთებში რომ გადასვენებაზე გამოსულ ორატორების სია დაბეჭდეს, მათ შორის ჩემი გვარიც ახსენესო.

ნებიერ ცხოვრებას მიჩვეული ანდრია პარიზში უფრო მხიარულ დროსტარებას დაეწაფა და გასართობი ადგილების ხშირი სტუმარი გახდა. ერთ ღამეს ის შინ აღარ დაბრუნდა. არ გამოჩნდა არც მეორე და მესამე დღეს. შეფიქრიანებულმა მზრუნველმა მოიკითხა ყველგან, სადაც კი შესაძლებელია აღმოჩენილიყო მისი სამეურვეო ახალგაზრდა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო. შეშფოთებულმა ბოლოს, პოლიციას მიმართა. სპეციალურად დაქირავებულმა პოლიციის აგენტებმა მთელი თვის განმავლობაში ეძებეს დაკარგული, არ დაუტოვებიათ არც ერთი კაფე და რესტორანი, მოიკითხეს პრიტონებში, ხიდების ქვეშ ღამის გასათევად თავმოყრილ მაწანწალებში გაურიეს თავისი კოლეგები — მაძებრები, რომ იქნებ აქ ყური მოეკრათ რაიმესთვის, მაგრამ ამაოდ, — სად გაქრა, რა მიწამ ჩაყლაპა, ვერაფერი გაიგეს.



მხატვარი დინარა ნოდია

დიდი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ ყიფიანი იძულებული გახდა შეეტყობინებია ანდრიას დედისთვის, თუ რა უბედურება დატრიალდა და, სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდა, საქართველოში დაბრუნდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მწუხარება დატრიალდებოდა მშობლის ოჯახში. დედამ დაღუპულად ჩათვალა შვილი, შავებით შეიმოსა და გლოვას მიეცა.

ანდრია გამოჩნდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ...

იმ საბედისწერო დღეს, საიდანაც ანდრიას ეპოპეა იწყება, პარიზის ერთ-ერთ შანტანში შეხვედროდა ის ფრანგ მეზღვაურებს, დამთვრალიყო და, მათთან ერთად, იმავე ღამეს, მარსელში გამგზავრებულიყო. აქაც განაგრძო ლხინი, მაგრამ სულ მალე უფულოდ აღმოჩნდა და რადგან უკან წამოსასვლელი საშუალება აღარ ჰქონდა, რაღაც პატარა გემზე დაიწყო მუშაობა ებრალო მეზღვაურად. როგორც მერე აღმოჩნდა, თურმე ამ გემით კეთროვანები გადაჰყავდათ მაროკოდან და ალჟირიდან ატლანტიის ოკეანეში მდებარე რომელიღაც კუნძულზე.

ანდრიამ ამ გემზე მხოლოდ ერთი რეისი გააკეთა. კეთროვანების ვაებამ, როცა ისინი უკანასკნელად გადაჰყავდათ მათთვის მიჩენილ კუნძულზე, ისე იმოქმედა ანდრიაზე, რომ ველარ გაუძლო შემზარავ სურათის ცქერას და ისე დასტოვა გემი, რომ ნამსახური დღეების გასამრჯელოც არ აუღია. ასე მოიქცა უფრო იმის შიშით, რომ სამუშაოზე დარჩენა არ მაიძულონო.

სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდა, ისევ მეზღვაურის ხელობა არჩია, მაგრამ ახლა ერთგვარი გამოცდილება ჰქონდა და ტანკერზე მოეწყო. ეს დიდი გემი შორეულ რეისებს აკეთებდა, სხვადასხვა ქვეყნების ნავსადგურებში შედიოდა. ასე შემთხვევით ანდრიამ ორი ოკეანე მოიარა და მრავალი ქვეყანა თავისი თვალით ნახა. ერთხელ ის დიდი ოკეანის რომელიღაც კუნძულზე საცხოვრებლად დარჩენასაც კი აპირებდა, მაგრამ მეგობარ მეზღვაურებს რჩევა მიეცათ არ აჰყოლოდა ახირებულ გულისთქმას.

მეზღვაურების ცხოვრებას ისე შეეთვისა და შეუყვარდა კიდევაც ანდრიას, რომ უკეთეს ბედზე აღარც უფიქრია. ამას ხელს უწყობდა ის ამბავიც, რომ გემის ეკიპაჟს უყვარდა ეს ენამოსწრებული, მხიარული ახალგაზრდა. რიგითი მეზღვაურებს შორის ანდრიას რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავდა და მთელ თავის ჯამაგირს იმაში ხარჯავდა, რომ მათ უმასპინძლდებოდა და ალხენდა. გემის უფროსებს არ მოსწონდათ მისი საქციელი, უჯავრდებოდნენ, გაგდებაც დაუპირეს, მაგრამ მეზღვაურების დაჟინებული თხოვნის შემდეგ იძულებული გახდნენ დაეტოვებიათ.

ორი წლის განმავლობაში ასე დაცურავდა ანდრია. ის, ალბათ, აპირებდა კიდევ დიდხანს გაეგრძელებია ამგვარი ცხოვრება, მაგრამ ამასაც უეცრად ბოლო მოეღო... ზაფხულის ერთ დღეს მისი ტანკერი სტამბოლის ნავსადგურში შევიდა. გემის უფროსებმა აქ უეცრად ისეთი ყურადღება გამოიჩინეს ანდრიასადმი, რომ მეზღვაურებს შორის მარტო ის ამოარჩიეს, დროს გასატარებლად ქალაქში წაიყვანეს და გულუხვად გაუმასპინძლდნენ. ანდრიას აქ იმდენი დაელია, რომ იქვე სუფრაზე დასძინებოდა. მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როცა გაღვიძებულმა მასპინძლები ვეღარ დაინახა და შემდეგ თავის ჯიბეში იპოვა წერილი და ფული! ბარათში ეწერა: აქედან შენი სამშობლო ახლოა... გიტოვებთ ფულს იმისათვის, რომ იქ დაბრუნდე... შენი პირადი ნივთები დავუტოვეთ რესტორანის პატრონს და მიაკითხე...

გამოფხიზლებულმა ანდრიამ მაშინვე მიაშურა ნავსადგურს, მაგრამ ტანკერი იქ აღარ დახვდა, — ერთი საათის წინ ის ხმელთაშუა ზღვისაკენ წასულიყო.

მხოლოდ მაშინ მიხვდა ანდრია, თუ რას ნიშნავდა გემის უფროსების უჩვეულო ყურადღება და პატივისცემა. მეტი ძალა არ იყო და, გამოცხადდა რუსეთის საკონსულოში, გულახდილად უამბო კონსულს თავისი თავგადასავალი და საქართველოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა.

და აი, ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ორი წლის წინათ გამოტირებული „დაღუპული“ შვილი თავის დედას ცოცხალი გამოეცხადა.

• • •

ამიერიდან მაინც რომ არსად გაქცეულიყო, ანდრიას მალე შერთეს ცოლი, ძალიან ლამაზი ქალიშვილი ალათი ლორია.

დაქორწინებულმა ანდრიამ საცხოვრებლად სოფელი აირჩია და მინადორამ ჩინებული ოდა აუშენა სიმონეთში. ბევრის მნახველი, ათასგვარი თავგადასავლის გადამტანი ყოფილი მეზღვაური თითქოს კიდევაც მიეხალისა სოფლის მშვიდ ცხოვრებას, ოთახები ევროპულ ყაიდაზე მორთო და, ვინაიდან შეძლება ხელს უწყობდა, სტუმარი შემოიჩვია და ხალისით ატარებდა დღეებს. მაგრამ ის არც თუ სულ გულხელდაკრეფილი იყო. პირიქით, საქმიანობდა კიდევაც, — უნარი გამოიჩინა მამულის მოვლის საქმეში, დიდი ვენახიც გააშენა და საფრანგეთიდან რამდენიმე ჯიშის ვაზი გამოიწერა. ანდრია იტყოდა ხოლმე, რომ კაბერნეს ჯიშის ვაზი იმერეთში პირველად მან გაახარა.

გადიოდა წლები, ანდრია უკვე ჩოხას ატარებდა და გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდა სხვა თავის მეზობელი აზნაურებისგან... მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, გულით კი ისევ მოუსვენარი დარჩა, ისევ ბორგავდა და შფოთავდა ხოლმე. ხშირად ის საოცარ მოწყენას და სევდას გრძნობდა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა ორი უფროსი ვაჟი და ქალიშვილი ბებიამ ქუთაისში წაიყვანა სწავლის მისაღებად.

სევდა რომ მოეძალებოდა, მის გასაფანტავად ანდრია ზოგჯერ თავისებურ ხერხს მიმართავდა:

— ალათი! ჩემი სუფრა გაშალე, ჩქარა! — გადასძახებდა ცოლს.

ალათი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს, მაშინვე გააწყობდა მაგიდაზე ოთხს თუ ხუთ საინს, ამდენივე ჭიქას, დადგამდა ღვინით სავსე დოქს და ცოტაოდენ მისაჭმელს.

სუფრაზე ანდრიას მეტი არავინ დაჯდებოდა. ამ დროს სხვა ვინმე იმ ოთახშიაც ვერ შევიდოდა. უეცრად გამხიარულებული ანდრია ავსებდა ჭიქებს, თამადობდა და ხალისიანად მიმართავდა იმ ადგილებს, სადაც მხოლოდ ცარიელი სკამები იდგა. ანდრიას წარმოდგენით ახლა იქ მისი მეგობარი მეზღვაურები ისხდნენ...

— შენი სადღეგრძელო იყოს, ჟან! გაგიმარჯოს ანდრე, იცოცხლე გასტონ! — შესძახოდა მთელი ხმით, უჯახუნებდა ჭიქებს და ფრანგულ ენაზე ესაუბრებოდა მეგობრებს. მერე უეცრად, თითქოს გამოერკვაო, წამოვარდებოდა, დაიყვირებდა: „სადა ხართ, ბიჭებო! მარტო ვარ, მარტო!“ — ჰკრავდა სუფრას ხელს და გადააყირავებდა.

ალათი შეჩვეული იყო ქმრის ახირებულ ჩვეულებებს და ყურადღებას არ აქცევდა. საერთოდ ის მშვიდი ხასიათის ქალი იყო და სხვა საზრუნავი რომ არაფერი ჰქონდა, თავის მესამე მცირეწლოვანი ბიჭუნას მოვლით და ალერსით თავს იყოლიებდა.

თითქოს ამგვარად უნდა გაევლო მთელ მათ ცხოვრებას, მაგრამ მოულოდნელად მოხდა ისეთი რამ, რასაც ანდრიას მდიდარი ფანტაზიაც ვერ წარმოიდგენდა: ერთ დილას, — ეს იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, როცა ანდრიამ გაიღვიძა და ცოლი მოიკითხა, შინამოსამსახურე გოგოსგან გაიგო, რომ ღამით ალათი, თავისი უმცროსი ვაჟით, მოჯამაგირედ მყოფ ახალგაზრდა გლეხს ონისიმე დოლონაძეს ურემზე დაესვა და თავის ქოხში წაეყვანა...

ალათი ქმართან აღარ დაბრუნებულა, სამუდამოდ მიატოვა მდიდარი ოჯახი, დასთმო ფუფუნება და ყოფილ მოჯამაგირესთან შეაერთა თავისი მომავალი ცხოვრება. როგორც მერე გამოირკვა, უმცროსი ბიჭი დოლონაძისაგან შეეძინოდა.

სოფელში ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. დოლონაძეების უბანმა დიდი პატივისცემით მიიღო ალათი, მიქაბერიძის ნათესაობა და მახლობლები კი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს და ზიზღით იხსენიებდნენ ქალის სახელს. მაგრამ ალათი ოდნავადაც არ შეშფოთებულა ამის გამო და სრულიად არ უნანია, რომ დასთმო უზრუნველი დღეები. პირიქით, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიშორაო, ხალისიანად შეუდგა ახლად დაწყებულ ცხოვრებას.

შესაძლოა, რომ თავდაპირველად ალათი მართლაც ბედნიერად გრძნობდა თავს. მაგრამ ეს ბედნიერება არ ყოფილა ხანგრძლივი. კოლექტივები რომ შეიქმნა, ონისიმე დოლონაძე სიმონეთში კოლმეურნეობის ხელმძღვანელად აირჩიეს. ის იყო პირველი თავმჯდომარე ჩვენს სოფელში, უნარიანი კაცი გამოდგა და ხალხში პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ონისიმე ალათიზე უმცროსი იყო და შესაძლოა დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, რომ უბედურ შემთხვევას არ ემსხვერპლა: კოლექტივის ერთმა წევრმა უცებედად ნაჯახი მოახვედრა თავში, რის გამო მან დიდხანს იავადმყოფა და ბოლოს სიცოცხლესაც გამოესალმა.

რამდენიმე წლის შემდეგ ალათის თავს დაატყდა მეორე უბედურება: ონისიმესთან შეძენილი თავისი უკანასკნელი ვაჟიც გარდაეცვალა. ამდენი მწუხარების გადამტანი ქალი თითქოს სასოწარკვეთას უნდა მისცემოდა, მაგრამ მან საკვირველი გამძლეობა და ნებისყოფა გამოიჩინა, — არ დამორჩილდა მწარე ბედს, უარი თქვა ქალაქში დაბრუნებაზე მშობლებთან, თუმც ისინი ეპატიჟებოდნენ, იქვე ქოხში დარჩა საცხოვრებლად და შრომაში ატარებდა თავის დღეებს. არა ერთხელ დამინახავს ის სოფლის გზაზე და ყოველთვის გაკვირვებით გავაყოლებდი თვალს: თითქმის ოთხმოცს იყო მიღწეული, მაგრამ კიდევ შერჩენოდა რაღაც ძველი სილამაზიდან, გამართული, თითქოს ამაყადაც მიაბიჯებდა და მისალმებისას სასიამოვნო ღიმილს აფრქვევდა. ის ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ. ასე მგონია, მას ფიქრადაც არ მოსვლია საყვედური ეთქვა და დანანებოდა, რომ ოდესღაც ყირაზე დააყენა თავისი ცხოვრება.

ალათის სახე დარჩა კინო-ფირზე, რომელზედაც აღბეჭდილია დავით კლდიაშვილის დაკრძალვა მთაწმინდაზე, ის საფლავის პირზე დგას, დედაჩემის უკან.

ანდრია? მისი ხვედრი ბევრად უფრო დრამატული იყო. ცოლმა რომ მიატოვა, გული აიყარა სოფელზე და ქუთაისში გადავიდა დედასთან. ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე თავის სიცოცხლეში დაჰკარგა — უფროსი ვილჰელმის გერმანიასთან ომში დაიღუპა, მისი მომდევნო კი ამერიკაში გაიქცა, იქაურ რომელიღაც სავაჭრო გემზე ცურავდა და ბოლოს მისი კვალიც გაქრა. მოხუცი დედის საპატრონოდ დარჩენილი ანდრია მთელი დღეები აივანზე იჯდა მარტო და მდუმარედ მიშტერებოდა სივრცეს, რომელიც მისთვის სიცარიელეს წარმოადგენდა.

როცა ერთხელ დედამისს ეკითხნა, ასეთი რა ჯავრი გაქვსო, ანდრიას ეთქვა:

— უნდა დავრჩენილიყავ იმ კუნძულზე... ტყუილად დამიშალეს ამხანაგებმა...

შუახანს იყო მიღწეული, როცა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.



# პაოლო იაშვილის უცნობი ექსპრომტი



პაოლო იაშვილი ექსპრომტის შეუდარებელი ოსტატი იყო. მისი ბევრი კარგი ექსპრომტი დღემდე უცნობია, რადგან ისინი კერძო პირებთან ინახება და შეკრებილი არ არის.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ პაოლო იაშვილის ახლად აღმოჩენილ ექსპრომტს, რომელიც მას 1935 წელს მიუძღვნია ერთ-ერთი მეგობარი ქალის — მარიამ ალნიაშვილისათვის.

„ექსპრომტი —
მარუნია ალნიაშვილს
ვარდ-ფშაველას ლექსი ხარ,
მყინვარზე ჩამომდინარი,
ოქროს მუხების ფესვი ხარ,
თერგის ნაპირზე მძინარი,
ჩვენი სიწმინდის წესი ხარ,
თან მორცხვი და უჩინარი,
ნესტანზე უკეთესი ხარ,
მხიარული და მცინარი.

პაოლო იაშვილი
20. 10. 35 წელი
ტფილისი.“

ამ ლექსის ადრესატი იყო ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის შვილიშვილი და მეუღლე ძველი ბოლშევიკის— ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე ალნიაშვილისა.

1935 წლის 5 ოქტომბერს, პეტრე ალნიაშვილის ოჯახში, მეუღლის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე, პაოლოს მარიამისათვის მიურთმევია ძვირფასი ვაზა, ხოლო შემდეგ მიუძღვნია აღნიშნული ლექსი-ექსპრომტი.

მარიამისადმი მიძღვნილი ზემოთ დაბეჭდილი ექსპრომტი აღმოჩნდა ადრესატის ძმის — მხატვარ ალექსანდრე მაყაშვილის ოჯახში, რომლის მეუღლემ ნინო სონღულაშვილ-მაყაშვილმა გადმოგვცა იგი გამოსაქვეყნებლად.

ანდრო თევზაძე

# წყენაათ ჭირთა ბადე

## ფსიქოთერაპია ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობას

პროფ. მიხეილ საჰკაშვილი

უკვე შორეულ წარსულში ადამიანებმა შენიშნეს, რომ ფსიქიკურ ზემოქმედებას, სიტყვას, სხვადასხვა განცდებს შეუძლიათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ჯანმრთელობაზე უარყოფითი განცდების მავნე გავლენის შესახებ გენიალურმა რუსთაველმა თქვა: „წყენაათ ჭირთა ბადე".

რამდენი სიმართლე იყო ჩაქსოვილი გამოთქმებში: „დარდმა დააჭლექა", „დარდსა და ვარამს ველარ გაუძლო", „ბოღმისაგან გული გაუსკდა" და ა. შ.

ფსიქიკური ზემოქმედება, სიტყვა არაიშვიათად ადამიანის დასამშვიდებლად და სამკურნალოდ იყო გამოყენებული; კერძოდ ჩვენში, საქართველოში, ფსიქიკის, სიტყვის სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ გარკვეული წარმოდგენაც ყოფილა შემუშავებული. ამან თავისი გამოძახილი ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში".

სიტყვის განმკურნავ ძალას ეხებოდა მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი მწერალი, მათ შორის, შექსპირი, შილერი, ტოლსტოი, ჩეხოვი და მრავალი სხვა.

დიახ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქიკის, სიტყვის, განცდების ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის პრობლემა და ამიტომ არის, რომ მან არა მარტო ფილოსოფოსების, მეცნიერების, ექიმების, არამედ მწერლების ყურადღებაც მიიპყრო.

სპეციალურ ლიტერატურაში უხვად მოიპოვება ფაქტები, რომელიც ჩვენს მიერ დაყენებულ პრობლემას ეხება. მაგრამ წარსულის მონაცემები ბევრ კორექტივს, დაზუსტებას და დახვეწას საჭიროებს; მაინც ზოგიერთი რამის გახსენება ხელს შეუწყობს ფსიქოთერაპიისადმი ყურადღების გამახვილებას და გაცხოველებას.

ივანე თარხნიშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით მოჰყავს მრავალი ფაქტი: ჩარლზ დარვინის პაპა — ერაზმ დარვინი ზღვით მოგზაურობას ვერ იტანდა, გული ერეოდა. მაგრამ საკმარისი იყო ყურადღება გადაეტანა გემის ნაწილებზე და მათს მართვაზე, რომ გულისრევა წყდებოდა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს პათოლოგიური მოვლენის დაძლევასთან ყურადღების სხვა მიმართულებით წარმართვის მეშვეობით; აი ერთი მაგალითიც: პასკალს ძალიან აწუხებდა კბილის ტკივილი, რომელიც მან ვერასგზით ვერ დაიყუჩა. ტკივილით გამწარებულმა ხელი მოჰკიდა სამუშაოს — ციკლოიდური მრუდის პრობლემას, გადასწყვიტა იგი; უკვე შემდეგ, განცვიფრებულმა შენიშნა, რომ მუშაობის პროცესში ტკივილი სავსებით გაქრა. აღნიშნულია ფაქტები ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, რომ ისინი უძილობის, ტკივილის, გულისფრიალის და სხვა შემაწუხებელი მოვლენების დროს შვებას პოულობდნენ ყურადღების სხვა მიმართულებით წარმართვის მეშვეობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოტანილი მაგალითები შეეხება ყურადღებას, მაგრამ საქმე მხოლოდ ყურადღებით არ იფარგლება, საკითხი ეხება საერთოდ ფსიქიკას და ყველა მის კომპონენტს.

სიტყვას, მთლიანად ფსიქიკას იყენებდნენ და ახლაც ვიყენებთ ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში; მედიცინის ეს დარგი ფსიქოთერაპიის სახელით არის ცნობილი. ფსიქოთერაპია წარმოადგენს ფსიქიკურ ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე სასიკეთო გავლენის მიზნით. იგი სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ერთობლიობას მოიცავს.

თვით ცხოვრება გვკარნახობს მეტი ყურადღება მივაქციოთ ფსიქოთერაპიას, ფსიქოჰიგიენასა და ფსიქოპროფილაქტიკას. ფსიქოთერაპიის საკითხებზე უკვე ბევრი რამ დაიწერა. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ დადებით საწყისებთან ერთად ფსიქოთერაპიაში თავი იჩინა ცრუმეცნიერულმა, იდეალისტურმა მიმდინარეობებმა; მსოფლიო არენაზე ამ სფეროში სწარმოებს შეურიგებელი ბრძოლა მეცნიერულსა და ანტიმეცნიერულს, მატერიალისტურსა და იდეალისტურ მიმდინარეობათა შორის. ფსიქოთერაპიის ჭეშმარიტად მეცნიერული განვითარების შესაძლებლობანი მხოლოდ ჩვენს ეპოქაში შეიქმნა. ფსიქოთერაპიის მეცნიერული განვითარება შესაძლებელია მარტოოდენ დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველზე, თავის ტვინის მუშაობის შესახებ მატერიალისტური მოძღვრების, მატერიალისტური ფსიქოლოგიის, საერთოდ თანამედროვე მეცნიერების უახლესი მონაპოვარის გამოყენებით და მასზე დაყრდნობით.

მეცნიერული ფსიქოთერაპიის მნიშვნელობას ერთხმად აღიარებენ მოწინავე მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები; ი. პ. პავლოვი, ეხებოდა რა მშობლიურ მედიცინის კორიფეს ს. პ. ბოტკინს, წერდა: „მკურნავდა, ხშირად, მხოლოდ მისი სიტყვა, ავადმყოფის მხოლოდ ნახვა. მისი მოწაფე კლინიცისტებისაგან რამდენჯერ მსმენია, რომ მათ მიერ მსგავს შემთხვევებში ხმარებული იგივე რეცეპტები შედეგს ვერ აღწევდნენ, მაშინ, როდესაც სასწაულმოქმედნი იყვნენ მასწავლებლის ხელში".

ივანე თარხნიშვილი წერდა: „გულისხმიერ და ნიჭიერ ექიმს, გარემოების მიხედვით, ფსიქიკის გარკვეული მიმართულებით წარმართვით ძალუძს ხელი შეუწყოს ავადმყოფის უფრო სწრაფ განკურნებას".

ერთ-ერთ ნაშრომში ივანე თარხნიშვილმა გამოჰყო სპეციალური თავი, რომელსაც უწოდა: „ფსიქიკის მკურნავი და ავადმოქმედი გავლენა". აქ, ისე, როგორც მთელ რიგ სხვა ნაშრომებში, ჩვენს მეცნიერს ყურადღება აქვს გამახვილებული საკითხზე, თუ რამდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკას ავადმყოფის მკურნალობის საქმეში.

ცნობილი საბჭოთა ფსიქოთერაპევტი კ. ი. პლატონოვი თავის ნაშრომში „სიტყვა, როგორც ფიზიოლოგიური და სამკურნალო ფაქტორი", აღნიშნავდა, რომ ფსიქოთერაპია, რომელიც მკურნალობის ერთ-ერთ უძველეს მეთოდს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირში განვითარდა სულ სხვა, უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში და უცხოეთში.

* * *

მთელ რიგ ავტორებთან ერთად, ვ. ბეხტერევის მოწაფე ვ. მიასიშჩევი აღნიშნავს, რომ არსებობს ფსიქოთერაპევტული ზემოქმედების ორი ძირითადი მეთოდი — შთაგონება და დარწმუნება; ამასთან ერთად, იგი წერს, რომ ფსიქოთერაპიაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება ყურადღების სხვა მიმართულებით გადანაცვლების მეთოდს. შესატყვისი მაგალითები ზემოთ იყო მოტანილი. ამასთან, ვ. მიასიშჩევი მიუთითებს, რომ დაავადების პათოგენეზში გარკვევა, მისი შეცნობა ხელს უწყობს თვითრეგულაციის აღდგენას.

გამოჩენილი საბჭოთა თერაპევტები თითქმის ერთხმად აღიარებენ იმ გარემოებას, რომ ფსიქოთერაპიაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის საკუთარი აქტივობის მობილიზაციას.

საბჭოთა ავტორებს გამოქვეყნებული აქვთ კლინიკური გამოცდილებიდან აღებული მონაცემები, რომლებიც განხილულ სფეროს შეეხება.

გამოქვეყნებული მასალა მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი მეტ-ნაკლებად სრულად მოტანის შესაძლებლობას სტატიის ფარგლები არ იძლევა, ამიტომ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მივაქცევთ.

ფსიქოთერაპიის საკითხებისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კონფერენციის მასალების კრებულში ვ. მიასიშჩევსა და ე. იაკოვლევას აღწერილი აქვთ ასეთი შემთხვევა: ახალგაზრდა ქალი, ოჯახის დედა, როგორც კი საქმისაგან მოიცლიდა, გასწევდა იქვე ახლოს, ტყეში, განმარტოებით დაჯდებოდა და იწყებდა მოთქმით ტირილს. გოდებით გულს რომ მოიოხებდა, გულამღვრეული დაბრუნდებოდა შინ, დასტაცებდა ნაჯახს ხელს და თავის პატარა ბავშვს ულერებდა. ამ დროს ავადმყოფს სავსებით ნათელი ცნობიერება ჰქონდა.

ზემოხსენებულმა ავტორებმა დაიწყეს ამ ავადმყოფის შესწავლა და აი რა გამოირკვა: გათხოვებამდე ეს ქალი მშობლების ყურადღების ცენტრში იყო, ყველა მას ეფერებოდა, ყველა თავს დასტრიალებდა. მერე უცებ, ოჯახის მთელი საზრუნავი რომ მხრებზე დააწვა, ვერ გაუძლო, ადრე განებივრებულს და ნაზს — ქმარ-შვილის მოვლა, ყოველდღიური ათასგვარი წვრილმანი — მეტად მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე, თავი მარტოხელად იგრძნო, მანუგეშებელი არავინ გამოუჩნდა, ისიც ჩაიკეტა თავის თავში და შვებას მარტო ცრემლსა და ვაებაში ხედავდა. ექიმებმა რაკი მიზეზს მიაგნეს, ახლა დახმარებაც აღარ იყო ძნელი. შეაგნებინეს ავადმყოფს ყველაფერი, მის მახლობლებსაც აუხსნეს, რომ საჭირო იყო ტვირთი შეემსუბუქებინათ ქალისათვის, და ამ გზით ადამიანი სავსებით განკურნეს.

კ. ი. პლატონოვს აღწერილი აქვს ბრონქიალური ასთმის შემდეგი შემთხვევა: ოცდარვა წლის კაცმა, მინდვრად მუშაობის დროს შენიშნა, რომ სოფელში, სადაც მას დატოვებული ჰყავდა ბავშვები, ხანძარი იყო. შეშინებულმა და აღელვებულმა, გულხეთქებით აირბინა მთა და სოფელში მისული დარწმუნდა, რომ ხანძარი მისი სახლიდან შორს იყო. სახლში დაუძლურებული დაეცა. ამის შემდეგ მალე მას განუვითარდა ბრონქიალური ასტმის შეტევები, რომლებიც მას ხუთი წლის განმავლობაში აწუხებდა. ფსიქოთერაპევტული ჩარევის მეშვეობით ავადმყოფს პათოლოგიური შეტევები სავსებით მოეხსნა.

მ. ს. ლებედინსკის აღწერილი აქვს შემთხვევა: შვიდი წლის განმავლობაში ავადმყოფი სახლიდან არ გამოდიოდა თანმხლებთა გარეშე, ეშინოდა, რაღაც გამოუცნობელი განსაცდელის მოლოდინი სტანჯავდა. ფსიქოთერაპევტული საუბრების პროცესში ავადმყოფი დაარწმუნეს, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო. ამის შემდეგ ავადმყოფმა იწყო სახლიდან მარტო გასვლა. თანდათანობით უფრო და უფრო შორ მანძილზე დადიოდა. ამის შემდეგ მას განუვითარდა თავბრუსხვევა. ავადმყოფს ახლა ის შთააგონეს, რომ თავბრუსხვევაც იმავე ბუნებისაა, რითაც გამოწვეული იყო სახლიდან გამოსვლის შიში; ამის შემდეგ თავბრუსხვევამ იკლო, ბოლოს სულ გაქრა. დარჩა ღამით სახლიდან გამოსვლის შიში, რომელიც იმავე ფსიქოთერაპევტული ზემოქმედების შედეგად მოიხსნა.

ეს მაგალითები შეიძლებოდა გაგვეზარდა. ცნობილია, რომ ძლიერი შიშის, სულიერი დეპრესიის ალკვეთას დიდად ეხმარება გააზრებულად ჩატარებული ფსიქოთერაპია. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოთერაპიის მეთოდები სხვადასხვაგვარია და ყოველ ცალკე შემთხვევებში, სათანადო შესწავლის საფუძველზე მიმართავენ სათანადო მეთოდს — დაწყებული დამარწმუნებელი საუბრებით და დამთავრებული ჰიპნოზური შთაგონებით.

მთელი რიგი შემაწუხებელი მოვლენები, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანის ნორმალურ, მშვიდ ცხოვრებას — საზრიანი, ცოდნაზე დაყრდნობილი ფსიქოთერაპევტული ჩარევის გზით შეიძლება დავძლიოთ და ადამიანს აღვუდგინოთ ნორმალური შრომისა და ცხოვრების შესაძლებლობა.

მედიცინა უაღრესად ჰუმანური დარგია. ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, რომელიც განუყრელია სოციალიზმისაგან, მოითხოვს მედიცინაში ფსიქოთერაპიის ფართო დანერგვას და განვითარებას.





რუსთაველის პროსპექტი, 48. თბილისის საჭადრაკო კლუბი.
— რაზე მობრძანებულხართ, ბატონო გიორგი! — ეკითხება პოეტს რესპუბლიკური მწვრთნელი ჭადრაკში გ. გაჩეჩილაძე.
— აქ გაზეთ „სინათლის“ რედაქცია იყო, ცხრაასთერთმეტ წელს ამ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი...

# ოჰ, სადაც შენი გულია...

ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, 88, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სადარბაზო შესასვლელი.
— რამდენჯერ შემიღია ეს კარი, ოთხი წელიწადი ვსწავლობდი აქ, ცხრაასცამეტიდან ცხრაასჩვიდმეტამდე. მაშინ აქ თბილისის სასულიერო სემინარია იყო...



საქართველოს სახალხო პოეტს, აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, გასული წლის დეკემბერში დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ესტუმრა პოეტს და სთხოვა გაეხსენებინა თავისი ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდები.
— რაღა გახსენება გვინდა, წავიდეთ. ყველაფერს გიჩვენებ!



1 საყუნის ძეგლი — ნინოწმინდის ტაძარი.

ნინოწმინდა, პალატები მეფეთა,
გალავანში — ჯამი აქაფებული.
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული.



პატარძეული. სახლი, სადაც დაიბადა პოეტი.



პოეტი პატარძეულელ ბავშვებთან. უკან მოჩანს კედელი იმ წყაროსი, რომელიც პოეტის თაოსნობით იქნა გამოყვანილი.



გიორგი ლეონიძე და ლვინჯუა ფოთოლაშვილი — მთავარი გმირი გ. ლეონიძის მოთხრობისა „ლვინჯუა“. სინამდვილეში ეს კაცი გახლავთ პოეტის ძველი მეზობელი და მეგობარი შაქრია გულიაშვილი.

საბჭოს ქუჩა, 22. თბილისის 38-ე საშუალო სკოლის ეზო. ძველად აქ იყო თბილისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც გიორგი ლეონიძე სწავლობდა 1907-1913 წლებში.
— ეს ჩემი საყვარელი ხე იყო... ეს ფიცრის ღობეც კარგად მახსოვს.



იდილია.



კახეთი.

# ელგუჯა ამაშუკელი

ქართლის დედა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აირჩიეთ რომელი წიგნიც გინდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2



3



4



5



6



7

სალამოთი, რუსთაველის პროსპექტზე რომ გაივლით, თვალებში შემოგანათებთ მწვანედ აგიზგიზებული წარწერა — „ნაკადული“. ეს საბავშვო წიგნის სპეციალიზებული მაღაზიაა, ერთ-ერთი პირველი მთელ საბჭოთა კავშირში. იგი გაიხსნა გამომცემლობა „ნაკადულის“ ინიციატივით.

ჩვენი პატარების სიხარულს საზღვარი არა აქვს — მათ დიდი ხანია აქვთ თავიანთი თეატრიც, კინოდარბაზიც, თავიანთი სასახლეც, თოჯინების თეატრიც, და კიდევ ბევრი რამ. დღეიდან კი მათ საკუთარი წიგნის მაღაზიაც აქვთ.

შეხვალ ამ მაღაზიაში და აირჩიე, რაც გინდა სულო და გულო!

მაღაზია მუდამ სავსეა ნორჩი მკითხველებით, საითაც გინდა გაიხედო, ახალი ლამაზად გაფორმებული წიგნი შემოგანათებს თვალებში (სურათი 1).

გულთბილად ხვდებიან ნორჩ მკითხველებს აქაური მასპინძლები. მაღაზიის გამგე ნინო ავალიანი საგულდაგულოდ ურჩევს პატარებს ახალ-ახალ წიგნებს (სურათი 2).

აქ ნახავთ არა მარტო ახალ წიგნებს, არამედ იმათაც, ვინც ამ წიგნებს წერს. აქ ხშირი სტუმარია პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე: ნორჩი მკითხველები კარგად იცნობენ მის საბავშვო ნაწარმოებებს — „რას გადაურჩა თბილისი“, „მოიარე საქართველო“, „მომკელს ეძახის თავთავი“, „ვინ მოასწრებს“ და სხვ. (სურათი 3).

პატარა გოგონა აქვე შეხვედრია პოეტ გრიგოლ აბაშიძეს. აქამდე წაკითხული ჰქონდა მისი „მეცამეტე გოჭი“, „რუსთავის მერცხლები“, „ნაბოლარა წიწილა“. ახლა კი გოგონა მათ დამწერსაც გაეცნო. ამ წუთს ისინი ფრიად საქმიან საუბარში არიან გართულნი (სურათი 4).

პოეტ ხუტა ბერულავას კი ხელში აუყვანია პატარა მკითხველი. ბიჭუნას წაკითხული აქვს „აჩიტაც და მაჩიტაც“ და „თბილისის დაბადებაც“. (სურათი 5).

აქ ხშირად ნახავთ მარტო მწერლებს კი არა, არამედ ჩვენს მეცნიერებსაც. აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა პირველმა მიულოცა პატარებს ამ მაღაზიის გახსნა. მარცხნივ — მწერალი როდიონ ქორქია (სურათი 6)

მაღაზია ემსახურება არა მარტო თბილისს, არამედ მთელი საქართველოს პატარებს. მაღაზიას ჰყავს სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ახალ წიგნებს აწვდიან რაიონებს.

კვირა დილაა. პატარა მყიდველები უკვე მოსულან და აი, მაღაზიის კარიც იღება (სურათი 7).

ფოტორეპორტაჟი **ოთარ თურქიასი.**

მარინე კანდელაკი

# ილია ჭავჭავაძე რუსული პრესის ფურცლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ ნაწარმოებებს და პუბლიცისტურ სტატიებს, როგორც წესი, ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში ბეჭდავდა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ პრესაშიც. ჩვენს მიერ მიკვლეული მასალები ადასტურებენ, რომ ილია ჭავჭავაძე რუსული პრესის ფურცლებზე პირველად გამოვიდა 1876 წელს. ამ წელს იგი „ტიფლისკი ვესტნიკში" ეკამათება ნიკო ნიკოლაძეს ბანკის საკითხებზე.

70-იან წლებში საადგილმამულო ბანკი და მისი ფინანსიური პოლიტიკა საქართველოს მოწინავე ადამიანებისათვის ერთ-ერთ საკამათო საკითხად გადაიქცა. ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ბანკის საქმეს დიდი დრო და ენერგია მოახმარა, დარწმუნებული იყო, რომ ბანკის საქმეების სწორად წარმოება დიდ სარგებლობას მოუტანდა შემდგომში ქართული კულტურის განვითარებას. მას უნდოდა, რომ ბანკის პროცენტები სკოლების გასახსნელად და თეატრის შესანახად ყოფილიყო გამოყენებული. ბანკის წესდება, მიღებული ილიას მოთხოვნით, სწორედ ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

მაგრამ საბანკო პოლიტიკას სხვა შედეგებიც მოჰქონდა: ქართველი თავად-აზნაურების მამულები უცხო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში ვარდებოდა. ეს გარემოება ბევრ ჩვენ მოწინავე ადამიანს აფიქრებდა და მათ შორის ნიკო ნიკოლაძესაც, რომელიც თხოულობდა ბანკის წესდება იმგვარად შეედგინათ, რომ სარგებლობა მოეტანა უმთავრესად გლეხებისათვის და არა კაპიტალისტებისათვის. ამასთან დაკავშირებით, 1873 წელს ნიკო ნიკოლაძემ გაზეთ „დროებაში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც იხილავდა ქუთაისის ბანკის წესდებას და თავის შეხედულებებს გამოთქვამდა; ხოლო 1876 წელს იგი საგანგებო სტატიების ბეჭდვას იწყებს რუსულ გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში" ბანკის პოლიტიკის შესახებ. ამ წერილებში ნ. ნიკოლაძე ეჭვს გამოთქვამს საზოგადოების ფართო მასებისათვის საადგილმამულო ბანკის სარგებლიანობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, თბილისის საადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარემ ილია ჭავჭავაძემ და მმართველობის სხვა ორმა წევრმა (ჩოლოყაშვილმა და ავალიშვილმა) გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქტორს წერილი გაუგზავნეს, სადაც სტატიის ავტორს — ნიკო ნიკოლაძეს შემდეგ წინადადებას აძლევენ: აირჩიონ თბილისის საადგილმამულო ბანკისათვის სრულიად უცხო პირთაგან შემდგარი კომისია, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის და განიხილავს ბანკის მმართველობის საქმიანობას იმ საკითხის ირგვლივ, რომელსაც აღნიშნული წერილები ეხება; გარდა ამისა, იმსჯელებს წერილის ავტორის მოქმედების ზნეობრივ მხარეზე და, ბოლოს, კომისია შეადგენს ოქმს, სადაც ობიექტურად იქნება შეფასებული როგორც ბანკის მმართველობის, ასევე წერილის ავტორის მოქმედება.

აღნიშნული წერილი დაიბეჭდა „ტიფლისკი ვესტნიკის" 105-ე ნომერში რედაქციის შენიშვნებით, სადაც ნათქვამია, რომ არც „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქცია და არც სტატიის ავტორი — ნიკო ნიკოლაძე უარს არ ამბობენ საქმე გადაეცეს სამედიატრო სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე იწარმოებს ღია პოლემიკა პრესის ფურცლებზე. პოლემიკის დამთავრების შემდეგ კი სტატიის ავტორი მზადაა წარსდგეს ყოველგვარი სასამართლოს წინაშე.

ეტყობა მმართველობის წევრებმა საჭიროდ სცნეს პასუხი გაეცათ რედაქციისათვის და ამავე გაზეთის 106-ე ნომერში დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის წერილი: ბანკის მმართველობას მიაჩნია, რომ მან რედაქციას და სტატიის ავტორს შესთავაზა ერთადერთი სწორი გზა სიმართლის გამოსავლინებლად, და თუ რედაქციამ არ მიიღო ეს წინადადება — ეს იმას ნიშნავს, რომ მას კეთილშობილური მიზნები არ ამოძრავებს. რაც შეეხება ღია პოლემიკას პრესის ფურცლებზე, ასეთი პოლემიკა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და ამიტომ ბანკის მმართველობა უარს ამბობს კამათზე.

მართალია ორივე წერილს, ილია ჭავჭავაძის გარდა, ხელს აწერს მმართველობის კიდევ ორი წევრი (ჩოლოყაშვილი და ავალიშვილი), მაგრამ წერილები მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დაწერილია.

რედაქციამ ამ მეორე წერილზეც გასცა პასუხი ბანკის მმართველობას. „ადგილობრივ ქრონიკაში", რომელიც ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის, ნათქვამია, რომ თუ ბანკის მმართველობას მართლაც სურს ჭეშმარიტების დადგენა, ამისათვის სასამართლოს კი არ უნდა მიმართოს, არამედ პრესის ფურცლებზე გამოიტანოს საქმე. ამასთან, არა არჩევნების შემდეგ, არამედ არჩევნებამდე.

ასეთი მომთხოვნი და დასაბუთებული გამოწვევის შემდეგ, ბანკის მმართველობას სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა გაეცა პასუხი ნიკო ნიკოლაძისათვის. და მართლაც გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში" (№ 115, 116) დაიბეჭდა სტატია „К чему и зачем" (პასუხი „საადგილმამულო ბანკის კრედიტის პრაქტიკის" ავტორს").

ამ სტატიის ავტორი თავშივე პირდება მკითხველს, რომ პასუხს გასცემს „საადგილმამულო ბანკის კრედიტის პრაქტიკის" ავტორის ყოველ დებულებას.

ნიკო ნიკოლაძის შენიშვნებს იგი რვა პუნქტად ჰყოფს და, იშველიებს რა საადგილმამულო ბანკის წესდებას, თვითეულ პუნქტს ცალ-ცალკე პასუხობს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სტატია წარმოადგენს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პირველ სერიოზულ ანალიზს და პირველ ცდას დაიცვას წესდება პრესის ფურცლებზე.

არ ეთანხმება რა ნიკო ნიკოლაძის არც ერთ დებულებას და არც ერთ კრიტიკულ შენიშვნას, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ ნიკოლაძის სტატია („საადგილმამულო ბანკის კრედიტის პრაქტიკა") ძირს უთხრის ბანკისა და მისი მართველობის ავტორიტეტს.

სტატია არ არის ავტორის მიერ ხელმოწერილი. მას ხელს აწერს „თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრი". მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ორი წერილის გაცნობის შემდეგ, ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ სტატია ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს კარგად იცოდა თვითონ ნიკოლაძემაც, მაგრამ თავის საპასუხო წერილების სერიაში **„Fiat Lux"** (იყავნ ნათელი), რომლებიც დაიბეჭდა იმავე „ტიფლისკი ვესტნიკში" (№ 118, 119, 120, 121) იგი უშუალოდ ილია ჭავჭავაძეს კი არ ეხება, არამედ პირდაპირ ბანკის მმართველობას მიმართავს.

ილია ჭავჭავაძის პასუხი მოულოდნელი არ იყო ნიკო ნიკოლაძისათვის ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ თხოულობდა პასუხს, მეორეც იმის გამო, რომ რამდენიმე დღით ადრე გაზეთ „დროების" ფურცლებზე ისინი ერთმანეთს ეკამათებოდნენ ქუთაისის ბანკის წესდების გამო (იხ. ნ. ნიკოლაძე — „ქუთაისის ბანკის საქმე", „დროება" 1876 წ. № 35; ილია ჭავჭავაძე — „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულებები ბანკის შესახებ", „დროება", 1876 წ. № 39; ნ. ნიკოლაძე — „მრუდე გამოსარჩლება", „დროება", 1876 წ. № 47).

ნიკო ნიკოლაძემ თავის პასუხში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მმართველობამ მას პასუხი არ გასცა მანამ, სანამ არ გაიხსნა ბანკის დამაარსებელ თავად-აზნაურთა კრება, მაგრამ ამ კრებაზეც, რომელსაც იგი არ ესწრებოდა, არაფერი თქმულა მისი კრიტიკული შენიშვნების შესახებ. ამასთან, იგი კვლავ იმეორებს თავის შენიშვნებს და კიდევ ახალი არგუმენტებით ამაგრებს მათ. პასუხის დასასრულს კი იგი მოაგონებს ბანკის მმართველობას, რომ გამოწვეულია სამედიატორო სასამართლოში და თხოულობს პასუხს უკანასკნელ წერილზე; უკიდურესს შემთხვევაში — სიტყვიერ თათბირს, სადაც სამედიატორო ჩანაწერებს გააკეთებდნენ და მოსამართლეებს ამოირჩევდნენ. გარდა ამისა, ნიკოლაძე პირდება მკითხველებს, რომ გააცნობს მათ სამედიატორო სასამართლოზე წარმოებულ კამათის შინაარსს და სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მაგრამ ამის შემდეგ კამათი შეწყდა. ეტყობა კამათის გაგრძელების წინააღმდეგი იყო ბევრი ქართველი მოღვაწე. ამას ადასტურებს თუნდაც აკაკი წერეთლის წერილი „უდროო ბრძოლა" (გაზეთი „დროება", 1876 წ. № 55), სადაც აკაკი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის კამათს უდროოდ თვლის. იგი წერს: „აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოსჭყლიტესო", ნათქვამია ანდაზა. სწორედ ასეა უ. უ. ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის საქმე ბანკის შესახებ".

ნიკო ნიკოლაძე არ დაეთანხმა აკაკი წერეთელს. მან დასწერა საპასუხო წერილი „განა საჭირო „უდროოა?" (გაზეთი „დროება", 1876 წ. № 56).

აკაკი წერეთლის წერილიც იმას მოწმობს, რომ კამათი „ტიფლისკი ვესტნიკის" ფურცლებზე ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის მიმდინარეობდა. ამგვარად, ავტორი სტატიისა — „რისთვის და რატომ?" ილია ჭავჭავაძეა, რაც კიდევ უფრო უდავო ხდება მაშინ, როცა ვეცნობით თვით ნიკო ნიკოლაძის წერილს („განა საჭირო „უდროოა?"). „გუშინწინ, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — აკაკი გაზეთ „დროებაში" ამტკიცებდა, რომ ბრძოლა, რომელიც დაიწყო ილია ჭავჭავაძესა და ჩემს შორის „ტიფლისკი ვესტნიკის" ფურცლებზე, უადგილო და მტრებისათვის სასიხარულოა".

ამგვარად, ყველა სამი სტატია, დაბეჭდილი „ტიფლისკი ვესტნიკში", მათ შორის წერილი „რისთვის და რატომ?" ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ, ამ წერილების შესწავლას არა მარტო ის მნიშვნელობა აქვს, რომ დავაზუსტოთ ილია ჭავჭავაძის ეკონომიური შეხედულებანი, არამედ მათი საშუალებით გასაგები გახდეს ისიც, თუ როგორ დაიწყო და გაღრმავდა ის განხეთქილება, რამაც გამოიწვია ჯერ ილია ჭავჭავაძის, შემდეგ კი ნიკო ნიკოლაძის წასვლა „დროების" რედაქციიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის შემადგენლობით სულ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა.

ეს არ იყო უბრალო უთანხმოება. ეს იყო თერგდალეულთა ბანაკში დაწყებული განხეთქილების ფინალი. ამას შემდეგ მათი გაერთიანება აღარ მოხერხდა. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო გაზეთ „ივერიის" გამოცემა, ხოლო ნიკოლაძემ — გაზეთ „ობზორისა".

* * *

რუსული პრესის ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე მეორედ 1892 წელს გამოვიდა. ამჯერად მან გაზეთ „ნოვოე ობოზრენიაში" დაბეჭდა სტატიები

1. „Газета „Кавказ“ и ея летучие заметки о конверсии“, (გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, № 3070), 2. „Так ли?“ („ნოვოე ობოზრენიე“, № 3086), 3. „К вопросу о конверсии городских займов“ („ნოვოე ობოზრენიე“, № 3098).

პირველ ორ სტატიას ხელს აწერს ავტორი: „Илья Чавчавадзе“, მესამე სტატიის ქვეშ კი, ავტორის გვარისა და სახელის ნაცვლად, დაბეჭდილია „II“ (შეიძლება ეს არის ასო „И“, მაგრამ ცუდი ბეჭდვის გამო იკითხება როგორც „II“). ცხადია, ეს მესამე სტატიაც ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, რადგან ის ფაქტიურად პირველი ორი სტატიის გაგრძელებაა და წარმოადგენს პასუხს გაზეთ „კავკაზის“ მიერ გამოქვეყნებულ წერილზე.

როგორია ილია ჭავჭავაძის ამ სტატიების ისტორია და რა გარემოებამ გამოიწვია მათი დაწერა?

1892 წელს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ მოწინავე სტატიაში გააკრიტიკა ქალაქის მმართველობის მოხსენება ორი სესხის კონვერსიის შესახებ, რომელიც მმართველობამ ქალაქის საბჭოს სხდომაზე წარადგინა; ილია ჭავჭავაძეს, იურიდიული თვალსაზრისით, გაუმართლებლად მიაჩნია სესხთა კონვერსია და 6 პროცენტის ნაცვლად 5 პროცენტის დაკანონება. „კონვერსია ამ შემთხვევაში, — წერს ილია ჭავჭავაძე, — სხვა არაფერია, თუ არა დიდპროცენტიანი სესხის, მცირე პროცენტით შეცვლა...

...მაგრამ როგორ და რა პირობებში შეიძლება სესხთა კონვერსია? მხოლოდ ერთი პირობის თანახმად — მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარეს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოვალეს უფლება აქვს მაშინ გადაუხადოს ვალი ფულის პატრონს, როცა მოესურვება.

მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს უფლება მოვალეს იზრუნოს კონვერსიაზე. ქალაქის მმართველობის მოხსენებაში კი სრულიად არ ჩანს, შეიტანეს თუ არა ეს პირობები ხელშეკრულებაში, როცა პირველი ან მეორე სესხს ღებულობდა“.

ცხადია, ილია ჭავჭავაძის ამგვარმა გამოსვლამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ქალაქის მმართველობა და მისი მომხრეები. მათ გადაწყვიტეს პასუხი გაეცათ ილია ჭავჭავაძისათვის და ამით შეერბილებინათ მის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილება. ცნობილი არ არის როგორ და რა გზით, მაგრამ საპასუხო წერილის დაწერა იკისრა „ივერიის“ ყოფილმა თანამშრომელმა ილ. ხონელმა (ბახტაძემ).

გაზეთ „კავკაზის“ 1892 წლის 310-ე ნომერში დაიბეჭდა ილ. ხონელის სტატია „Летучие заметки“. როგორც ცნობილია, გაზეთი „კავკაზი“ არა ერთხელ დასხმია თავს გაზეთ „ივერიას“ და მის რედაქტორს. ილია ჭავჭავაძესაც არა ერთხელ გაუცია საკადრისი პასუხი გაზეთ „კავკაზისათვის“. ეტყობა, გაზეთმა „კავკაზმა“ ამჯერადაც გადასწყვიტა გაელაშქრა „ივერიის“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ, ასპარეზზე კი განზრახ გამოუშვა „ივერიის“ ყოფილი თანამშრომელი; „მიუხედავად იმისა, რომ მე ცუდად ვერკვევი ფინანსიურ საკითხებში, — წერდა ილ. ხონელი, — მაინც ადვილად მიხვდება კაცი, რომ „ივერიის“ პუბლიცისტი თვითონ შეიქმნა საკმაოდ სამწუხარო შეცდომის მსხვერპლი“.

ილ. ხონელი ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს „ივერიის“ აზრს არავითარი გავლენა არ შეეძლო მოეხდინა ამ საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ უყურადღებოდ მაინც არ უნდა დატოვოს წერილში გამოთქმული მოსაზრებები: „საჭიროა კი მივაქციოთ ყურადღება „ივერიის“ მოწინავე სტატიებს, როცა ისინი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ კონვერსიის საკითხის გადაწყვეტაზე? — სვამს კითხვას ილ. ხონელი და თვითონვე პასუხობს, — დიახ, ჩემის აზრით, საჭიროა, რადგან, ჯერ ერთი, ისინი ცხადყოფენ იმ დიდ არეულობას, რასაც მოქალაქეების გონებაში ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის საკითხი იწვევს, მეორეც, როგორც არ უნდა ვთქვათ, „ივერია“ ქართულ ენაზე გამომავალი ერთადერთი ორგანოა, რომელსაც ხელს აწერს გამოჩენილი მოღვაწე“.

როგორც ჩანს, გაზეთ „კავკაზის“ ფელეტონისტის ასეთმა ტონმა და ტაქტიკამ ილია ჭავჭავაძე იძულებული გახადა პასუხი მისთვის რუსული გაზეთის ფურცლებზევე გაეცა.

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 1892 წლის 3070-ე ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის საპასუხო სტატია „Газета „Кавказ“ и ея летучие заметки о конверсии“.

როგორც მკითხველი დაინახავს, ილია ჭავჭავაძე ილ. ხონელის ზურგს უკან „კავკაზის“ მთელ რედაქციას ხედავდა და პასუხიც ამ უკანასკნელის მისამართითაა დაწერილი. მას, ალბათ, ამისათვის გარკვეული საფუძველიც ჰქონდა.

ამის შემდეგ გაზეთმა „კავკაზმა“ (1892 წ. № 317) კვლავ დაბეჭდა ილ. ხონელის სტატია „Ответ на ответ“, სადაც განმეორებით ამტკიცებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა მცდარობას და, ამავე დროს, ხმამაღლა ყვირის, რომ „კავკაზის“ რედაქცია აქ არაფერ შუაშიაო და ყველაფერს თავის თავზე ღებულობს.

გარდა ამისა, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ კვლავ დაიბეჭდა ერთი პატარა წერილი „Еще о конверсии“, სადაც ნათქვამია: „თბილისის ქალაქის საბჭოს ფინანსიური კომისიის ერთ-ერთმა წევრმა გამოგვიგზავნა დასაბეჭდად ქვემოდმოყვანილი ნაწყვეტები ცნობილი ფრანგი ეკონომისტის პ. ლერუა-ბოლიეს წიგნიდან. ქალაქის საბჭოს ფინანსიური კომისიის აზრით, მოყვანილი ნაწყვეტები ეწინააღმდეგება ჩვენს გაზეთში თავად ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს“. ამ ინფორმაციის შემდეგ მოყვანილია ნაწყვეტები პ. ლერუა-ბოლიეს წიგნიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში არ ჩანს, ვინ გამოუგზავნა რედაქციას ეს ამონაწერები, ილია ჭავჭავაძე მაინც მიმხვდარა, რომ იგი გაგზავნა მ. თამამშევმა და საპასუხოდ წერს სტატიას „Так ли?“ ამ სტატიაში ილია ჭავჭავაძე სრულიად არ ეხება ილ. ხონელის პასუხს, არ თვლის მას ყურადღების ღირსად და პასუხს სცემს უშუალოდ მ. თამამშევს, იხილავს აგრეთვე პ. ლერუა-ბოლიეს შეხედულებებს.

ამის შემდეგ, მ. თამამშევი აღარ ფარავს თავის ვინაობას და აქვეყნებს შენიშვნას „Опять о конверсии“ („ნოვოე ობოზრენიე“, 1892 წ. № 993).

მ. თამამშევი ილია ჭავჭავაძის საყურადღებოდ შენიშნავს, რომ „სესხის რეგულაციის საფუძველი ვადა კი არაა, არამედ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაო“, და მოჰყავს რამდენიმე ამონაწერი ბოროვიკოვსკის მის გამოცემული სენატის განმარტებიდან. დასასრულ კი აცხადებს: „დიდად პატივცემული თავადი ჭავჭავაძის თეორიის მიხედვით, თუ კრედიტორი არ დათანხმდა, მოვალე ვერ შესძლებს განთავისუფლდეს ვალისაგან, რომელიც შეიძლება მძიმე პირობით აიღო. განა ეს ასეა?“.

ასე „ოსტატურად“ ამთავრებს მ. თამამშევი თავის მოკლე სტატიას ილია ჭავჭავაძის სტატიის სათაურით.

ილია ჭავჭავაძე სიამოვნებით გამოეხმაურა ამ გამოწვევას და დაბეჭდა სტატია „К вопросу о конверсии городских займов“, სადაც როგორც მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, არც ერთი საკითხი პასუხის გაუცემლად არ დაუტოვებია.

ამგვარად, რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ეს სტატიები, რომლებიც აქამდე დავიწყებული იყო, დღეიდან შეავსებს ილია ჭავჭავაძის ეკონომიური სტატიების ციკლსა და გაზეთ „კავკაზის“ წინააღმდეგ მიმართული წერილების სერიას. ისინი კიდევ ერთხელ ცხადყოფენ ილია ჭავჭავაძის დიდ ერუდიციას და მის დიდ ინტერესს მშობლიური ქალაქის ცხოვრებისადმი.



ვაგე მეზურიშვილი



## მზე მიხმობს გარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე მიხმობს გარეთ!
მზე მიხმობს გარეთ, —
უზარმაზარი წითელი ვაშლი
და როგორც „ანზე“ დაწერილ გვარებს,
მშვიდობის ამბებს ვკითხულობ ხალხში.
შევუერთდები ქუჩების ხმაურს
და ცა ირხევა ცისფერი რხევით...
მივესალმები ანზორს თუ ზაურს
და ხითბოს ვატან მარჯვენა ხელით...
ვერ ვეგუები შეხვედრებს ცივად,
კარგია როცა მიგებენ წადილს...
მე მეგობრებთან არასდროს ვცდილობ,
დავმალო ჩემი ლხენა თუ დარდი.
მტვრით და ყაყანით ილლება სივრცე,
ქარში ფოთლები იწყებენ კანკალს;
მზე მაღლა იწევს, მზე მაღლა იწევს
მიმოკლებს ჩრდილს და თანდათან ჰკარგავს.
თბილისის მთებზე თვალები მრჩება
და მივაბიჯებ პროსპექტზე მძიმედ.
ღმერთო, ვისაც აქვს იმედი ჩემი
ნუ გაუმტყუნებ ნურასდროს იმედს.
ყოველთვის მახსოვს, რომ ვალი მმართებს,
ბორკილად მადევს მევალის ხათრი.
და მე ყელამდე ვივსები მართლაც
დაპირებებით,
იმედით,
ნატვრით.
ხვატი და ბული მიხურებს ფილტვებს,
აგვისტოს სიცხე მრუჯავს და მხუთავს:
მჯერა ჩემს სათქმელს ვერავინ იტყვის,
ჩემი სათქმელი მე მიცდის მუდამ.
მზე მიხმობს გარეთ!
მზე მიხმობს გარეთ, —
უზარმაზარი წითელი ვაშლი.
და როგორც „ანზე“ დაწერილ გვარებს
მშვიდობის ამბებს ვკითხულობ ხალხში.

## ამ დღეს დავარქვი ჩემი და შენი



მზემ,
მზემ გართულმა შრომით და ზრუნვით
ცას შეატოვა ალუბლის ფერი...
დღემ,
დღემ დალია ცისფერი სული
და სივრცეების დადაბლდა ჭერი.
შვენოდა მუქი სიმწვანე შქერის
და ნაზი სუნთქვა ჰქონდა შველივით...
ამ დღეს დავარქვი ჩემი და შენი,
ადვილად მიტომ ვერ შეველიე.
და მტკივა მკერდი,
თითქოს დავეცი;
გრილდება მიწა,
როგორც დილეგი...
დღე კი, დღე იყო სავსე ალერსით,
ოცნებით, ნატვრით და სურვილებით...

გარინდებული,
ფიქრად ქცეული,
ვდგავარ,
მოლოდინს არ მსურს გავექცე
და დღის ჯერ კიდევ თბილი სხეული
უძრავად მიწევს დაღლილ მკლავებზე.
კავკასიონზე შერჩენილ ნათელს
ნელ-ნელა აქრობს ღამის ბინდები...
მზემ,
მზემ წაართვა სიცოცხლე ამ დღეს,
რომ კვლავ აანთოს დღე ხვალინდელი.

# ქიმიის კიდევ ერთი სასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქიმიამ მართლმსაჯულების ორგანოთა წინაშე დასახა დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდების გაუმჯობესების ახალი პერსპექტივები. ქიმია გადაიქცა კრიმინალისტთა ერთგულ თანაშემწედ, ურომლისოდაც მრავალი ბოროტმოქმედება გაუხსნელი დარჩებოდა.

მოვიყვანთ ერთ შემთხვევას, სადაც ქიმიამ გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინა დანაშაულის გამოძიების მთელს მსვლელობასა და ბოროტმოქმედის დადგენაზე.

...დილით ადრე, გზის პირას იპოვნეს გრძნობადაკარგული ახალგაზრდა კაცი. მას ეცვა ცისფერი მაისური, რომელსაც ჯიბე მოგლეჯილი ჰქონდა. შორიახლოს ეგდო დალეწილი ველოსიპედი. ახალგაზრდა კაცი მალე გარდაიცვალა.

უბრალო დათვალიერებითაც კი ნათელი იყო, რომ ველოსიპედისტს მანქანა დაეჯახა. ფეხის ნაკვალევი დაზარალებულის სხეულთან, დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯი, სიგარეტ „ნოვოსტის" ნამწვავი, ავტომანქანის საბურავის მტვრიანი კვალი ასფალტზე, ველოსიპედის მონიკელებულ ფრთაზე წაცხებული რაღაც მოყვითალო სითხე — აი ყველაფერი ის, რაც დატოვა დამნაშავემ ბოროტმოქმედების ადგილზე.

მაგრამ მხოლოდ ფეხისა და საბურავის ნაკვალევს თუ ექნებოდა უშუალო კავშირი მომხდარ შემთხვევასთან. სწორედ ეს ნაკვალევი აღბეჭდეს და „საქმეს დაურთეს" საძერწი მასის — კაუორგანული პოლიმერის მეშვეობით, რომელიც გადმოსცემს კვალის ყველაზე უმნიშვნელო დეტალებსაც კი.

ამ ნივთიერების თხელი ფენით დაფარულ იქნა საბურავის ნაკვალევი და რამდენიმე წუთში გამომძიებელს უკვე ხელთ ჰქონდა რძისფერი რეზინისებური ფურცლები, რომელთა ზედაპირზე აღბეჭდილი იყო რაღაც გამოუცნობი ნიშნები. ასევე აღბეჭდეს ფეხის ნაკვალევიც.

მანქანისა და ადამიანის კვალის ასლები, სიგარეტის ნამწვავი, ქაღალდის ნაგლეჯი, ყვითელი ფერის ნივთიერების ნაწილაკები გაგზავნეს ქიმიურ ლაბორატორიაში. მარტო ექსპერტიზას შესწევდა უნარი „აელაპარაკებინა" ბოროტმოქმედების ეს მდუმარე მოწმეები.

ქიმიკოს-კრიმინალისტებს პასუხი უნდა გაეცათ მრავალ შეკითხვაზე: ხომ არ არის ნამწვავზე რაიმე გარეშე ნივთიერების, თუნდაც, ვთქვათ პომადის კვალი? თუ არის, როგორია იგი? არის თუ არა ქაღალდის ნაგლეჯზე თითების კვალი და თუ არის, რა მოხაზულობის? რას წარმოადგენს ველოსიპედის ფრთაზე შემჩნეული ყვითელი ნივთიერება? ხომ არ არის ეს მანქანის საღებავი?

აღმოჩნდა, რომ სიგარეტის ნამწვავზე არის კვალი მოიისფრო პომადისა, რომელიც დამზადებულია ცხიმგამხსნელი საღებავიდან. ასეთ საღებავს ჩვენს პარფიუმერიაში არ იყენებენ. მაშასადამე, პომადა საზღვარგარეთულია.

ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც დამუშავებულ იქნა ნინჰიდრინით, სხვადასხვა ადგილზე მკვეთრად გამოჩნდა ორი თითის კაპილარული ხაზები.

ველოსიპედის ფრთიდან აღებული ნივთიერების ქიმიურმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ეს არის ყავისფერი საღებავი, რომლითაც ღებავენ მანქანებს. ამ მონაცემებმა და საბურავის კვალმა საბოლოოდ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ მანქანა, რომელიც დაეჯახა ველოსიპედისტს, იყო ყავისფერი „ვოლგა".



ქიმიური ლაბორატორია ეხმარება კრიმინალისტებს.

ორი დღის კვლევა-ძიებამ გამომძიებელი მიიყვანა ყავისფერი „ვოლგის" მფლობელის მოქალაქე ვ-ს პირად გარაჟში. მანქანის მარჯვენა ფრთას ახალი საღებავის კვალი ემჩნეოდა. ეს იყო და ეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეტად პატარა, ცისფერ ძაფს, რომელიც შემთხვევით შერჩენოდა მანქანის ძარას ძლივსშესამჩნევ ბზარს.

მთელი მანქანა ყურადღებით იქნა დათვალიერებული, მაგრამ ადამიანის სისხლის კვალს ვერსად მიაგნეს. დარჩა უკანასკნელი საშუალება: მანქანის ზედაპირის დამუშავება ლიუმინოლით. პულვერიზატორით ხელში ექსპერტმა-ქიმიკოსმა დაამუშავა ზედაპირის თვითეული სანტიმეტრი. ერთი წვეთი სისხლიც რომ ყოფილიყო მანქანაზე, იმ ადგილას წარმოიშობოდა მკვეთრი ცისფერი ლაქა, მაგრამ ლაქა არ ჩანდა, მაშასადამე, მანქანას არ ეცხო სისხლი.

სიგარეტი? მანქანის პატრონი თუმცა სიგარეტ „ნოვოსტს" კი წევდა, მაგრამ, ბუნებრივია, ტუჩებს არ ილებავდა. როგორც მისი მეგობარი ამტკიცებდა, იმ ღამეს მას მშვიდად ეძინა მასთან აგარაკზე. მერე რა, გამოძიება ამასაც შეამოწმებს, მანამდე კი ექსპერტებმა უნდა „აალაპარაკონ" ახალი მუნჯი მოწმეები — „ვოლგის" ძარაზე მიკრული ცისფერი ძაფი და ველოსიპედის ფრთიდან აღებული საღებავი.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ კრიმინალისტები დარწმუნებით ვერც იტყოდნენ, თუ რა სახის ტანსაცმელს მიეკუთვნებოდა სინთეზური ბოჭკოს ეს პაწია ნაწყვეტი. ბოჭკოების ექსპერტიზას შეეძლო მხოლოდ მათი სახეობის განსაზღვრა. მაგრამ კაპრონიდან ამზადებენ კაცის პერანგებსაც და ქალის თხელ წინდებსაც, ხოლო ლავსანის ნაკეთობათა ასორტიმენტი გაცილებით მრავალფეროვანია. გასულ წელს შემუშავებული სინთეზური ბოჭკოების კვლევის მეთოდი იმის საშუალებას იძლევა, რომ დავადგინოთ არა მარტო მათი სახეობა, არამედ განვასხვავოთ თუ რომელ ნაკეთობას ან ნაკეთობათა რომელ პარტიას მიეკუთვნება ესა თუ ის ბოჭკო.

საგულდაგულო კვლევის მეოხებით ქიმიკოსმა დაადგინა, რომ „ვოლგაზე" მიკრული ძაფი ამოგლეჯილი უნდა ყოფილიყო დაღუპული ველოსიპედისტის მაისურიდან. ამასთან, ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა ველოსიპედის ფრთიდან აღებული საღებავისა და „ვოლგის" საღებავის იგივეობა.

იმის ვარაუდმა, რომ სწორედ ეს „ვოლგა" დაეჯახა ველოსიპედს, მიიღო მტკიცე დასაბუთება. მეტად ბევრი დამთხვევები იყო იმისათვის, რომ ყველაფერი ეს შემთხვევითობად არ ჩაეთვალა კაცს.

მაგრამ ქაღალდის ნაგლეჯზე შერჩენილი თითების ანაბეჭდი ვ-ს არ ეკუთვნოდა, ხოლო ფეხის ნაკვალევი მხოლოდ ზომითა და საერთო კონტურით წააგავდა მის ფეხსაცმელს.

იქნებ საკმარისი იყო ეს მხილებანი?

არა, საჭიროა სრული დარწმუნება.

სისხლის კვალის მოსაძებნად დაათვალიერეს ვ-ს ტანსაცმელი. ვერაფერს მიაგნეს, მაგრამ ცხვირსახოცზე აღმოაჩინეს რამდენიმე მოწითალო ლაქა. ეს პომადაა, — თქვა ქიმიკოსმა, — სწორედ ისეთი, როგორიც სიგარეტზე ნახეს.

ვისია ეს პომადა? მანქანის მფლობელის მეუღლისა? არა. იგი ხმარობდა პომადა „იასამანს", რომელსაც უშვებს მოსკოვის ფაბრიკა „განთიადი". ამასთან არც თამბაქოს ეწევა.

მაშ ვინღა ეწეოდა დანაშაულის ადგილზე ნაპოვნ სიგარეტს? იქნებ მანქანის პატრონის ახლო ნაცნობი ქალი კ-ი? შეიძლება, თქვეს ქიმიკოსებმა, იგი ეწევა სიგარეტ „ნოვოსტს" და ხმარობს სწორედ ამ მოიისფრო საზღვარგარეთულ პომადას. ქიმიკოსების დასკვნა დაამოწმეს ექიმებმაც: სიგარეტზე დარჩენილი ნერწყვი ეკუთვნოდა ქალს და იმავე ჯგუფის იყო, როგორიც გახლდათ კ-ს სისხლი.

როცა დადგინდა, რომ ქაღალდის ნაგლეჯზე მისი თითების კვალი იყო აღბეჭდილი, ყველაფერი ნათელი გახდა.

ეს შემთხვევა გამონაკლისი როდია. ქიმია კრიმინალისტებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე უწევს დახმარებას: ადგენს, თუ როგორი მელნით არის შეტანილი დოკუმენტში რაიმე შესწორება, ავარიის ადგილზე ზეთის ერთი წვეთის მიხედვით ადგენს, თუ რამდენი კილომეტრი გაიარა მორიგი ტექნიკური შემოწმების შემდეგ მანქანამ, განსაზღვრავს სროლის დისტანციას და ა. შ.

შოფრებისთვის ცნობილია მოყვითალო კრისტალური ნივთიერებით სავსე მინის პატარა მილი. თუ ამ მილს ჩაუბერა ნასვამმა შოფერმა, ნივთიერება მწვანდება. მაგრამ იგი უღონოა მაშინ, როცა საჭირო ხდება იმის დადგენა, თუ რამდენი დალია ადამიანმა. ახლა ქიმიკოსებმა შექმნეს ისეთი ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია ზუსტად უპასუხოს ამ შეკითხვაზეც.

ქიმიური საშუალებებისა და მეთოდების დახმარებით კრიმინალისტები იცავენ დოკუმენტებს გადასწორებისაგან, იკვლევენ საღებავებსა და წებოს, მელანს და ქაღალდს, ცემენტსა და შენადნობს.

# მარი ბროსეს ნაკვალევზე

ილია ბაბალუა

ამას წინათ საფრანგეთში ვიმყოფებოდი მივლინებით. წასვლის წინ დოც. შ. ხანთაძემ მთხოვა მესარგებლა შემთხვევით და დავინტერესებულიყავი მასალებით აკად. მარი ბროსეს შესახებ, თუ ასეთი რამ დარჩა საფრანგეთში (იმ ხანებში შ. ხანთაძე წიგნს ამზადებდა ბროსეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე).

ფრანგი ორიენტალისტი, გამოჩენილი ქართველოლოგი, საქართველოს წარსულის ცნობილი მკვლევარი მარი ფელისიტე ბროსე დაიბადა პარიზში, 1802 წლის 5 თებერვალს. იმავე წელს ბროსეს მამა გარდაიცვალა. სამი ვაჟი დარჩა დედის ხელში. მალე, მძიმე ეკონომიური პირობების გამო, დედა თავისი შვილებით ორლეანში გადავიდა, საიდანაც იყო წარმოშობით ბროსეს მამა.

მარი ბროსე შემდგომში კვლავ დაბრუნდა პარიზში, მან ახალგაზრდობიდანვე გამოიჩინა დიდი ინტერესი აღმოსავლეთისადმი. გარდა ბერძნულისა და ლათინურისა, შეისწავლა რუსული, ჩინური, ქართული, სომხური და სხვა ენები. 1825 წლიდან მარი ბროსე იყო „პარიზის სააზიო საზოგადოების“ წევრი, ხოლო 1834 წლიდან ამ საზოგადოების საბჭოს წევრი. ხსენებული საზოგადოების ორგანოში „სააზიო ჟურნალში“ იგი აქვეყნებდა ქართველოლოგიური და არმენოლოგიური ხასიათის ნაშრომებს (იხ. რ. დოდაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ. 1962).

1836 წელს მარი ბროსე აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მომდევნო წელს იგი ოჯახით ჩამოვიდა პეტერბურგში. 1847-1848 წლებში მან იმოგზაურა საქართველოში. იყო თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ლეჩხუმში, აფხაზეთში, სვანეთში... აქედან პეტერბურგში დაბრუნდა.

1880 წლის 20 მაისს ბროსე ოჯახით გაემგზავრა საფრანგეთში. იგი დაბინავდა ქ. შატელეროში, სადაც ცხოვრობდა მისი ქალიშვილი ანრიეტა ბუტენი. საფრანგეთში ჩასვლიდან სამი თვის შემდეგ — 1880 წლის 5 სექტემბერს ბროსე გარდაიცვალა.

საკვირველია, რომ ცნობილ ფრანგულ ენციკლოპედია „ლარუსში“ (ტ. $I_2$ გვ. 883) მარი ბროსეს გარდაცვალების ადგილად აღნიშნულია პეტერბურგი. ეს აშკარა შეცდომაა.

პარიზში მარი ბროსეს შესახებ მასალების მოძებნის მიზნით მივმართე ყველა იმ დაწესებულებას, სადაც შეიძლებოდა ბროსეს მოღვაწეობის რაიმე კვალი დარჩენილიყო. პარიზის უნივერსიტეტის სლავური ინსტიტუტის დირექტორის პროფ. პორტალის რეკომენდაციით მივედი „სააზიო საზოგადოებაში“, რომელიც ამჟამად მოთავსებულია მაზარინის ქუჩაზე. ეს საზოგადოება — კერძო დაწესებულებაა. ამიტომ, მიუხედავად პროფ. რ. პორტალის რეკომენდაციისა, პირველად ნება არ დამრთეს გადამესინჯა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკა და არქივი. არსებული წესის თანახმად, ჯერ უნდა გავხდე ამ საზოგადოების წევრი (წევრობისათვის საჭიროა სპეციალისტების რეკომენდაცია, საზოგადოების ბიუროს მიერ დამტკიცება და წლიური საწევროს — 30 ახალი ფრანკის .შეტანა). მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებ უფლებას იმუშაო საზოგადოების ბიბლიოთეკასა და არქივში.

რამდენადაც მე მაინტერესებდა მხოლოდ ერთი საკითხი — მასალები ბროსეს შესახებ, საჭიროდ არ ჩავთვალე გავმხდარიყავი საზოგადოების წევრი. შევხვდი საზოგადოების პრეზიდენტს პროფ. შ. ვიროლოს, რომელმაც, როგორც გამონაკლისი, უფლება მომცა მემუშავა საზოგადოების არქივსა და ბიბლიოთეკაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ბროსეს შესახებ აქ არავითარი ცნობა არ აღმოჩნდა. აქ მხოლოდ მირჩიეს მიმემართა პროფ. ტ. ს. გრეისათვის, რომელიც ბროსეს მოღვაწეობის შესწავლაზე მუშაობს. პროფ. გრეი იმ პერიოდში მონაკოში ცხოვრობდა და ამიტომ მას წერილობით მივმართე.

საპასუხო წერილში პროფ. გრეი მწერდა, რომ ის მართალია მუშაობს ამ თემაზე, მაგრამ ახალ მასალებს თვითონ მოელის საბჭოთა კავშირიდან, ვინაიდან თავისი მოღვაწეობის მეტი პერიოდი მ. ბროსემ რუსეთში გაატარაო. პროფ. გრეი აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთში ბროსეს ბევრი რამ არ დაუწერია. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: მას შეეძლო დაეტოვებინა საკმაოდ დიდი რაოდენობის ხელნაწერები რუსეთში“.

ვერაფერი ახალი ვერ ვიპოვე მ. ბროსეს შესახებ ვერც აღმოსავლეთის ენების ბიბლიოთეკაში ლილის ქუჩაზე, ვერც სლავურ ბიბლიოთეკაში სერის ქუჩაზე და ვერც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ახლა ის-ღა დამრჩენოდა მომენახა ვინმე მარი ბროსეს შთამომავლობიდან. ამიტომ გადავწყვიტე ქ. შატელეროში გამგზავრება.

ქ. შატელერო მდებარეობს ვიენის დეპარტამენტში, პარიზიდან 306 კილომეტრის დაშორებით. ამ ქალაქში, სენ-ჟაკ-ბატისტის სასაფლაოზე, № 832 უბანში დასაფლავებულია მარი ფელისიტე ბროსე.

1954 წლამდე ამ საფლავს უვლიდა ადვოკატი ჟან ჟუსე (ქ. ალბი, ტარნის დეპარტამენტი). სასაფლაოს უფროსმა მითხრა, რომ 1954 წლიდან არაფერი იცის ჟან ჟუსეს შესახებ. მაშინ მივმართე თხოვნით ქ. ალბის მერს, რომელმაც ოფიციალური ქაღალდი გამომიგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ ჟან ჟუსე გარდაიცვალა 1954 წლის 12 ოქტომბერს.

მარი ბროსეს საფლავზე დადებულ ლოდზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც არც ისე ადვილი გასარჩევია. მასზე აწერია: „აქ განისვენებს მარი ფელისიტე ბროსე, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რომელიც დაიბადა პარიზში 1802 წლის 5 თებერვალს, გარდაიცვალა შატელეროში, 1880 წლის 5 სექტემბერს“.

ჩვენ გაგვაკვირვა იმან, რომ საფლავზე წარწერა მდედრობით სქესის ადამიანს გულისხმობს. ამის თაობაზე შატელეროს ქალაქის მერმა გვიპასუხა, რომ ეს შეცდომაა, ხოლო „მარი ფელისიტე ბროსე ნამდვილად კაცი იყო და მას ცოლად ჰყავდა ვიქტორინა შოლი“.

შატელეროში მიმასწავლეს ქ-ნი ს. დიუვო, რომელმაც მართლაც ზოგიერთი საინტერესო ცნობა მომაწოდა მარი ბროსეზე. ასევე დიდი დახმარება გამიწიეს ბროსეს შესახებ მასალების შეგროვების საქმეში მარი კლერმა (ქ. ბლუა, ლუარისა და შერის დეპარტამენტი) და პოლ ფეიმ (ჟონე-კლერი, ვიენის დეპარტამენტი).

მარი ბროსეს ჰყავდა სამი შვილი, მათ შორის უფრო ცნობილი არიან ანრიეტა მარი და ლორანი. ლორან ბროსე ერთ დროს (1886 წ.) რუსეთის გენერალური კონსული იყო ბორდოში. ამ ლორანის ერთი შვილიშვილი ვიქტორ ლორენის (ლავრენტის)-ძე ბროსე ჩამოვიდა საქართველოში, და ცოლად შეირთო ქართველი ქალი (გვარად ხოშტარია), ცხოვრობდა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში. განათლებით იურისტი იყო, გარდაიცვალა 1937 წელს. მას დარჩა ერთადერთი ვაჟიშვილი — ედიშერი.

ქალბატონ ს. დიუვოს სიტყვებით, „საწყალი ბატონი მარი ფელისიტე ბროსე, ყველას მიერ მივიწყებულია შატელეროში და არავითარი მოგონება არ დაუტოვებია ჩვენს ქალაქშიო“.

ადგილობრივმა გაზეთმა „ექო დე შატელერომ“ 1880 წლის 12 სექტემბერს შემდეგი სტატია მოათავსა მარი ბროსეს გარდაცვალების გამო:

„ახლახან შატელეროში გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომელსაც რუსულ მეცნიერებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და რომელიც ჩვენს ქალაქში მხოლოდ სამ თვეს ცხოვრობდა. ჩვენ ვგულისხმობთ ბ-ნ მარი ფელისიტე ბროსეს, გარდაცვლილს 5 სექტემბერს, თავისი სიცოცხლის 75-ე* წელს, რომლის წესის აგება შედგა კვირას, სენ-ჟაკის ეკლესიაში. ბ-ნი ბროსე დაიბადა პარიზში, ამ საუკუნის დასაწყისში, ოჯახში, რომელიც წარმოშობით ორლეანის ოლქიდან იყო. აღმოსავლურ ენებზე და კერძოდ საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში მისი თვალსაჩინო შრომების შედეგად, 1836 წელს რუსეთის მთავრობამ იგი სანკტ-პეტერბურგში მიიწვია. იქ ბროსე ხდება იმპერატორის მუდმივი მრჩეველი, საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის წევრი და საიმპერიო მუზეუმის—ერმიტაჟის მცველი.

ბროსე სარგებლობდა მეფისა და მისი ოჯახის კეთილგანწყობილებით, მიღებული ჰქონდა წმ. ნიკოლოზის, წმ. ანას, წმ. ვლადიმერის ორდენები და მრავალი სხვა უცხოური ჯილდო.

იგრძნო რა იმ ავადმყოფობის სწრაფი განვითარება, რომლისაგანაც იგი გარდაიცვალა, მან მოისურვა საფრანგეთში დაბრუნება, იმედოვნებდა, რომ მშობლიური ჰაერი დაუბრუნებდა მას განუწყვეტელი შრომითა და ასაკით დასუსტებულ ძალღონეს. მაგრამ მისი და მისი ოჯახის იმედები არ გამართლდა. იგი გარდაიცვალა შატელეროში თავისი სიძის, ცნობილი ქიმიკოსისა და მეღვინის ბ-ნ ბუტენის ოჯახში. ბუტენმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში შესანიშნავი შრომები დაწერა ფილოქსერაზე.

ბ-ნმა ბროსემ რუსეთში დატოვა ვაჟიშვილი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში განყოფილების უფროსია.

ბ-ნი ბროსე გარდაიცვალა, როგორც კარგი კათოლიკე. იგი ემსახურებოდა რუსეთს, მაგრამ დარჩა მუდამ ერთგული თავისი მამა-პაპის რელიგიისა და სამშობლოსადმი“.

აი ყველაფერი ის, რის მოძებნაც შევძელი საფრანგეთში გამოჩენილი ქართველოლოგის ბროსეს ცხოვრების შესახებ.

* აქ შეცდომაა, უნდა იყოს 78.

მარი ბროსეს საფლავი სენ-ჟაკ-ბატისტის სასაფლაოზე (ქ. შატელერო).



ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

ფეხბურთისათვის მარტო ნიჭი და ფიზიკური მონაცემები როდი კმარა. მთავარია სპორტის ამ ვაჟკაცური და წარმტაცი სახეობის დიდი სიყვარული. ძნელია გახდე დიდი მასშტაბის ფეხბურთელი ისე, რომ არ გიყვარდეს ბურთი, მწვანე მოედანი, საზეიმო და ამაღლებული განწყობილებით არ ელოდე ყოველ მატჩს.

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი წერდა: „მართალია, ბრაზილიელებს, ევროპელებთან შედარებით, ოდნავ უფრო მეტი გრძნობა გვაქვს ბურთისა, მაგრამ მტკიცე რეჟიმისა და უდიდესი შრომის გარეშე არ შეიძლება მოიპოვო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული".

„— მე არ მიკვირს რატომ გახდა ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი, — თქვა ერთხელ შოთა იამანიძემ, — მათ ყველაზე უფრო ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი. მაგრამ ბავშვობაში ერთი რამ სულ მიკვირდა: ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც არის ურუგვაი, ორჯერ რა გზით მიაღწია მსოფლიო ჩემპიონობას; როცა სამხრეთ ამერიკაში მივფრინავდით, სტიუარდესამ გვითხრა: მონტევიდეოში ყველაზე უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ორი გუნდი — „ნასიონალი" და „პენიაროლი". საქმე იქამდის მიდის, რომ არჩევნების დროს დადებითი და უარყოფითი ხმები ხშირად იმისდა მიხედვითაც ნაწილდება, თუ რომელ გუნდს ემხრობიან პრეზიდენტობის კანდიდატები.



# ფეხბურთი და მაყურებელი*

სტიუარდესამ ჯერ კიდევ თვითმფრინავში გაგვაფრთხილა: თუ ბრაზილიასა და ბრაზილიელებს პატივს სცემთ, უნდა იცნობდეთ ამ ქვეყნის ყველა ცნობილ ფეხბურთელსო.

ამ გაფრთხილებას მომხიბვლელმა სტიუარდესამ ისეთი დამაჯერებელი ფაქტიც მოაყოლა, რომ მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვიც კი აღარ შეგვპარვია. როდესაც ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩილისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები, მატჩის რეპორტაჟის დროს თურმე რიო-დე-ჟანეიროს მერს ტკბილად სძინებია. ეს არ გამომპარვიათ სენსაციის მოყვარულ ფოტორეპორტიორებს. მეორე დღეს ბრაზილიის თითქმის ყველა გაზეთში მოათავსეს ჩაძინებული მერის ფოტოები. ამას მოჰყვა დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური. შეშინებულმა და დარცხვენილმა მერმა სპეციალურად დაიქირავა ფოტორეპორტიორები, ფინალის ტრანსლაციის დროს გადააღებინა სურათები და მრავალ გაზეთში გამოაქვეყნა თავისი მღელვარების გამომხატველი ფოტოდოკუმენტები. მერს ხალხმა „დანაშაული" მაინც არ აპატია, მან სამუდამოდ გაიფუჭა ავტორიტეტი. მომავალ არჩევნებში რომ ამომრჩეველთა ხმები არ დაეკარგა, შეშინებულმა მერმა სასწრაფოდ შეიმუშავა რიო-დე-ჟანეიროში მეტროს გაყვანის პროექტი და კრედიტი თხოვა უცხოეთის რომელიღაც სახელმწიფოს. თუ უცხოეთის ფინანსიური ოლიგარქიების ჩინოვნიკებს იუმორის გრძნობა გააჩნიათ, იგი ალბათ ისევ შეინარჩუნებს მსოფლიოს ამ ულამაზესი ქალაქის მერობას".

შოთა იამანიძე განაგრძობს:

„— ჩვენი გონებიდან არასოდეს არ წაიშლება ბევრი მატჩი, როცა მოედანზე ჭეშმარიტი სიამოვნება გვიგრძვნია, მაგრამ სამწუხაროდ, არიან ისეთი გუნდებიც, რომლებთან თამაშიც ჭირის დღესავით გვეჯავრება. ესენი ძირითადად სუსტი გუნდები არიან. ზოგჯერ კი არ გეთამაშებიან, ცდილობენ თამაში ჩაგიშალონ. თავისი მიზნის მისაღწევად არ ერიდებიან არასპორტულ მეთოდებსაც კი. ზოგიერთი მოთამაშე ხშირად იმასაც კადრულობს, რომ უხიაკი სიტყვებით გაგანერვიულოს და მოთმინებიდან გამოგიყვანოს.

საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი გუნდია ისეთი, რომელთანაც თამაშს დიდი სიამოვნებით მოველით ხოლმე. ჩვენ ამ მატჩებში ყველაზე კარგად ვგრძნობთ ფეხბურთის მთელ სილამაზეს. ასეთ გუნდებს შორის პირველ რიგში მინდა დავასახელო მოსკოვის „სპარტაკი" და „ტორპედო", კიევის „დინამო".

* * *

ყველა გულშემატკივარს ჰყავს თავისი საყვარელი ფეხბურთელი, თავისი საყვარელი გუნდი. ძალიან ბევრს შეუძლია სათანადოდ შეაფასოს სპორტსმენის ღირსება-ნაკლოვანებანი, ცალკეული გუნდების დამახასიათებელი ტაქტიკური თუ ტექნიკური თავისებურებანი. ხშირად იმ გულშემატკივრებსაც კი, რომლებსაც არასოდეს არ უთამაშიათ ფეხბურთი, შეუძლიათ გააკეთონ მატჩის მსვლელობის არც თუ საფუძვლემოკლებული ანალიზი, მაგრამ სულ სხვაა პროფესიონალის შეფასება. იგი ცალკეული ფეხბურთელის ან მთელი გუნდის დახასიათებისას ისეთ ნიუანსებს ამჩნევს, რაც გამოუცდელი თვალისათვის შეიძლება სამუდამოდ ამოუცნობი დარჩეს. ამიტომაც არის, რომ გულშემატკივრებს ძალზე აინტერესებთ თვითონ ფეხბურთელის აზრი ცალკეული საკლუბო გუნდებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო სკოლების მიმართ.

ბრაზილიელი ჟურნალისტი დე ტორმესი იგონებს: „ერთხელ სტადიონზე შემხვდა ზიზინიო, წარსულში ბრაზილიური ფეხბურთის სიამაყე.

— თქვენ ნილტონ სანტოსზე წიგნს წერთ? — მკითხა მან.

— დიახ, იქნებ რაიმე საინტერესოს მომიყვებით მასზე?

— რატომაც არა. 1957 წელს ჩვენი გუნდი არგენტინის ნაკრებს ხვდებოდა. მაშინ ნილტონ სანტოსს მოედანზე ბადალი არ ჰყავდა. მან კორბატას ფეხი არ გაანძრევინა და თან მეგობრებს ეხმარებოდა.

მე მან როდი გამაოცა. ნილტონ სანტოსი არც ერთხელ არ მოტყუებულა, მისი გადაწოდებული ბურთი მიზანს არ ასცდენია, ერთი სიტყვით, არ დაუშვია არც ერთი შეცდომა.

მე მინახავს დი სტეფანოსა და ადემირის, სტენლი მეტიუზისა და პელეს, გარინჩასა და ჰენტოს თამაში. მეც მქონდა ბედნიერი დღეები, როცა მოედანზე მერცხალივით ვფრინავდი, მაგრამ არ შეიძლება, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელ მაინც არ წაგიცდეს ფეხი. ამ მატჩში კი ნილტონ სანტოსმა შესძლო შეუძლებელი. იგი არც ერთხელ არ შემცდარა. 90 წუთის განმავლობაში მან მოგვხიბლა თავისი უმაღლესი არტისტული ოსტატობით. მხოლოდ ჩვენ — პროფესიონალებს შეგვიძლია გავარჩიოთ შესანიშნავი თამაში უშეცდომო თამაშისგან".

როცა ფეხბურთელებზე ვლაპარაკობთ, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ მაღალი კლასის მოთამაშეები და ნამდვილი ფეხბურთელები. პირველი კატეგორიის ფეხბურთელებს შეუძლიათ მთელი ორი ტაიმის განმავლობაში იდგნენ (ხშირად რამდენიმე თამაშის განმავლობაშიც კი), მაგრამ ერთი-ორჯერ ისეთი ბურთი გაიტანონ, ისეთი გასვლა ან გადაცემა გააკეთონ, რომელიც მხოლოდ ძალზე მაღალი კლასის სპორტსმენს თუ შეუძლია. ამ კატეგორიის ფეხბურთელები იშვიათად თუ შექმნიან განწყობილებას მოედანზე და იშვიათად თუ წარმართავენ მთელი გუნდის მოქმედებას.

სულ სხვაა ნამდვილი ფეხბურთელი, რომელიც მთელი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე ქმნის საბრძოლო განწყობილებას. ასე თამაშობდნენ სულ ცოტა ხნის წინათ ავთანდილ ღოღობერიძე და ნიაზ ძიაპშბა. ავთანდილ ღოღობერიძე მარტო მაღალი კლასის ფეხბურთელი როდი იყო, ის იყო სული და გული მთელი გუნდისა.

არ შეიძლება ფეხბურთელს, რომელიც ნიაზ ძიაპშბას გვერდით თამაშობდა, არ გადასდებოდა მისი სიმხნევე, ბრძოლის წყურვილი. 1956 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, თბილისის „დინამო" ნახევარფინალში კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდა. ანგარიში თბილისელებს მიჰყავდათ — 2 : 1. კიევის დინამოელები თბილისელთა საჯარიმო მოედანზე დასახლდნენ, მაგრამ მათ წინ გალავანივით აღიმართა თბილისელთა დაცვა, რომელსაც ნიაზ ძიაპშბა ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი შეტევის დროს კიეველმა თავდამსხმელმა ბურთი ფეხებში მოიგდო თუ არა, მოულოდნელად თბილისელთა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. ვლადიმერ მარღანია გარეთ გამოვარდა და უკრაინელ ფეხბურთელს ფეხებში ჩაუვარდა. ამ უკანასკნელმა შესძლო თბილისელთა მეკარის მოტყუება და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა... ძიაპშბა ამ დროს კარიდან მოშორებით იდგა. მან თითქოს წინასწარ იგრძნო რაც მოხდებოდა, კარისკენ გაიჭრა და ისეთი ნახტომი გააკეთა, კაცს ეგონებოდა გაფრინდაო. ბურთს ზედ კართან მოუსწრო და თავური დარტყმით მოედანზე დააბრუნა, მაგრამ... თვითონ ძელს შეასკდა და გონება დაკარგა. მსაჯმა თამაში შეაჩერა, მოსკოვის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა. ექიმებმა კარს უკან გაიყვანეს თბილისელთა ცენტრალური მცველი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ძიაპშბა გონს მოვიდა და ისევ მოედანს დაუბრუნდა. სტადიონზე ტაშმა იქუხა. ხალხი ფეხბურთელის სიმამაცეს მიესალმა.

მეგობრის საბრძოლო განწყობილებამ კიდევ უფრო გაამხნევა თბილისელები. უკანასკნელ წუთებში ქართველმა ფეხბურთელებმა მესამე ბურთი გაიტანეს კიეველთა კარში.

ეს იყო წუთები, როცა მთელი სტადიონი — მოედანიცა და ტრიბუნებიც ერთნაირი მღელვარებით იყო შეპყრობილი, ერთნაირად განიცდიდა თამაშის ყველა ნიუანსს. ეს იყო ნამდვილად დიდი ფეხბურთი, რომელიც ადამიანს განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს.

* დასასრული. იხ. „დროშა", № 1.



# წიგნი ჩვენს მწერლობაზე

თანამედროვე ქართულ საბჭოთა მწერლობაში ნარკვევს უაღრესად საპატიო ფუნქცია აქვს დაკისრებული—ეს ფრიად ოპერატიული ჟანრია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და დროულად აღბეჭდოს ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენა, უმალ, წარმოშობისთანავე დაუჭიროს მხარი ყოველივე მოწინავეს, მზარდს, პროგრესულს, რომელიც ეს-ეს არის დაიბადა ვთქვათ ერთ რომელიმე სოფელში თუ ერთ ფაბრიკაში; ნარკვევს აქვს ძალა ეს ახალი მოვლენა, ეს წამოწყება გააცნოს მთელ ქვეყანას, ყველას საკუთრებად აქციოს. ასევე დიდია ნარკვევის ძალა და მნიშვნელობა ძველის გადმონაშთებთან ბრძოლის პროცესში.

მიუხედავად ნარკვევის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ქართული სალიტერატურო კრიტიკა დღემდე მას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. თვით მწერლების ერთი ნაწილიც რატომღაც ალმაცერად უცქეროდა მწერლობის ამ დარგს. ამგვარმა უგულებელყოფამ თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ნარკვევის ჟანრის განვითარებაზე. არც ისე იშვიათად შეხვდებით ნარკვევს, რომელთა ავტორები ვერ სცილდებიან ემპირიზმს, გამოდიან მიუკერძებელი ფოტოგრაფის როლში, აღბეჭდავენ ცხოვრების მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებს. ხშირად ქართულ ნარკვევებში თავმოყრილია უამრავი ფაქტი, ჩამოთვლილია ათობით ადამიანის სახელი და გვარი, მაგრამ აღწერილი მოვლენები, ფაქტები და ადამიანთა სახეები მოკლებულია სიღრმესა და მხატვრულ განზოგადებას. მათში იდეები არ გამოიხატება მხატვრული სახეების სისტემაში, მოვლენების შინაგანი არსისა და ბუნების გახსნის ვითარებაში, მათს ორგანულ კავშირსა და წინააღმდეგობებში. უმეტესად ჭარბობს მშრალი დოკუმენტური მასალა.

ასეთი ვითარება სალიტერატურო კრიტიკისაგან მოითხოვდა აქტიურ ჩარევას; მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი კრიტიკა ამ დარგს ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. სწორედ ამიტომ მისასალმებელია გივი ვარდოსანიძის წერილი „სინამდვილე და ნარკვევი", რომელიც შეტანილია მის ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში „სიტყვა და ცხოვრება" („ნაკადულის" გამოცემა).

გ. ვარდოსანიძის ამ წერილში ბევრი საყურადღებო დაკვირვება და საინტერესო მოსაზრებაა წამოყენებული, რომელთა გათვალისწინება უდავოდ სასარგებლო იქნება ჩვენი მწერლებისა და ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ლი-



ტერატურის ამ სფეროს ემსახურებიან.

გ. ვარდოსანიძის ზემოხსენებული წიგნი იხსნება წერილით „მწერლობის სიცოცხლე", სადაც ავტორი არკვევს, თუ რაში მდგომარეობს მწერლის შემოქმედების ეროვნული სპეციფიკა და რა დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია მას; კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „ეროვნული ფორმა განუწყვეტლივ მდიდრდება, იგი ისტორიული კატეგორია არის, მაგრამ ყოველთვის რჩება ეროვნული, თვითმყოფი, ყოველთვის ინარჩუნებს საკუთარ ეროვნულ სახეს" (გვ. 11). ავტორი შენიშნავად ასაბუთებს, რომ სწორედ სოციალიზმი იძლევა ყველა შესაძლებლობას ეროვნული კულტურის გაფურჩქვნისათვის, იმისათვის, რომ კულტურა ნამდვილად ემსახურებოდეს ხალხს.

კრებულის მომდევნო თავში („სიცილი ფიქრით") ავტორი იხილავს ცნობილი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებას. პ. კაკაბაძემ შექმნა ფრიად თავისებური ტიპები — ყვარყვარე თუთაბერი, ხარიტონი, გვირისტინე, ხახული და სხვები. მისი პიესები მუდამ რთული და სხარტი დიალოგებით, ბრწყინვალე იუმორით გამოირჩევიან. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მწერლის მიერ შექმნილი ტიპები ისევე მნიშვნელოვანია, „როგორც ფართოდ განზოგადებული სახეები ლუარსაბისა ან ოთარაანთ ქვრივისა, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა, კაროჟნასი ან კვაჭისა".

წერილში „ხუცურით და გონებით" ავტორის განხილული აქვს სიმონ ჩიქოვანის პოეზია: „ლირიკული გმირი სიმონ ჩიქოვანის პოეზიისა — წერს ავტორი, — ეს არის მაღალი ინტელექტისა და გამახვილებული გრძნობის, დიდი გონებრივი ჰორიზონტისა და მდიდარი სულიერი სამყაროს ადამიანი". პოეტის თქმით, „ლექსი ჰგავს სიბერესთან სიცოცხლის კამათს". სიმონ ჩიქოვანის ლექსების თვითეული სტრიქონი გამომხატველია სამშობლოს განუზომელი სიყვარულისა და მაღალი ჰუმანიზმისა.

მომდევნო წერილებში ავტორი გვესაუბრება ალიო მირცხულავას, ირ. აბაშიძისა და ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე.

საერთოდ, გ. ვარდოსანიძის წიგნი გამოირჩევა კრიტიკული აზროვნების სიცხოველითა და კარგი ქართული ენით.

ალ. სიგუა

# მცირე მოგონება

### რედაქციისაგან

**ჩვენმა საზოგადოებრიობამ ამას წინათ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, ჩვენ ვბეჭდავთ შალვა დადიანის მოგონებას შირვანზადეზე, რომელიც დაწერილია 1958 წლის 24 დეკემბერს. ეს მოგონება ქართულ პრესაში ქვეყნდება პირველად.**

## შირვანზადეს გარშემო

ამ ბოლო ხანებში უფრო საავადმყოფოში მიხდება წოლა, მაგრამ კითხვის ნებას მაინც მაძლევენ.

მეც ავიღე და ამ დღეებში მოვითხოვე შირვანზადეს ერთი საუკეთესო რომანთაგანი — „ქაოსი". თავის დროზე, რასაკვირველია, წაკითხული მქონდა, მაგრამ დიდი მწერლის ნაწარმოები მუდამ შეგძენს რასმე, აკი ქართველები ვამბობთ „სწავლა სიკვდილამდე არ მოგბეზრდებაო" და მეც უფრო ამ მოსაზრებით შევუდექი ამ ჩინებული ნაწარმოების კითხვას.

თუმცა რაღა დროს ჩემი სწავლაა? ოთხმოცდაოთხი წლის ვარ და აკი ჩვენი ხალხი ამაზეც ამბობს:

„ამ ხანში თუ ჩანგურს ისწავლი,
ის საიქიოს გამოგადგებაო!"

საიქიოსი არ ვიცი და მე აქ, „სააქაოს" ერთხელ კიდევ დიდად გამახარა სომხეთის ამ უდიდესმა მწერალმა, შირვანზადემ თავისი ნაწარმოებით: მართლაც დიდი მწერალია, მოაზროვნე, მხატვარი და ხალხის მოყვარული.

გამახარა ახლაც, მაგრამ თვით სიცოცხლეში რამდენჯერ გავუხარებივარ ამ ბრგე ვაჟკაცს.

ბედნიერი ვიყავ მისი ნაცნობობით. ის დიდი მეგობარი იყო ქართველი მწერლებისა და არტისტებისა და, მათ შორის, — დამიტრაბახნია — ერთ პატარა მეგობრად მეც მთვლიდა.

ჩემი რეჟისორობისას მე პირველად დავდგი ქუთაისში მისი პიესა „ევგინე" და თბილისში, სახალხო სახლის დასის დახმარებით „ნამუსი". მახსოვს დიდი ხალისით ასრულებდნენ სახალხო სახლის კორიფეები — ნიკო გოცირიძე, სოსო რომანიშვილი და სხვები პიესაში გამოყვანილ გმირებს. მხოლოდ ჩემთვის დაუვიწყარია, სამწუხაროდ უკვე გარდაცვალებული ვანო მინდიაშვილი სალათელას როლში. მსახიობის უბედურება ის არის, მის სიკვდილთან მისი შემოქმედების ნაყოფიც, იმისგან შექმნილი ტიპებიც მასთან ერთად კვდებიან და ჩამომავლობა მათ მარტო ლიტონი სიტყვით ვერ დააფასებს.

როგორცა ვთქვი, შირვანზადე დიდად მეგობრობდა ქართველ მწერლებსა და არტისტებს, განსაკუთრებით კი ქართული სცენის მშვენებას — ვასო აბაშიძეს. შირვანზადე თბილისს ჩამოვიდოდა თუ არა, მაშინვე ჩაიგდებდა ხელში ვასოს და მერმე, მთელი დღეების მანძილზე, მას არ იშორებდა. მერმე როგორი ხალისიანი იყო მათი მეგობრობა — ხუმრობა, გულწრფელი დამოკიდებულება ერთიმეორისადმი და შიგადაშიგ ქართულისა თუ სომხური თეატრის მაშინდელი საჭირბოროტო საკითხები.

მე მახსოვს ერთი შეხუმრება ვასოსადმი შირვანზადესი. სამნი ვიყავით, თვითონ შირვანზადე, ვასო და მე.

შირვანზადემ მომმართა:

— Шалва! Наш Васо очень хитрый мужик! Он нарочно поселился в Музейном переулке (მაშინ ვასო მუზეუმის შესახვევში ცხოვრობდა), — знает, что он сам музейный человек.

წრეულს კი 100 წელიწადი შესრულდა ამ საუცხოვო მწერლის დაბადებიდან და ამ განვლილმა დრომ დაამტკიცა, რომ შირვანზადე არის კლასიკოსი სომხური ლიტერატურისა და მისი სახელი განთქმულია, ჩვენი დიადი კავშირის გარდა, საზღვარგარეთაც და მსოფლიო ლიტერატურის პანთეონში მეტად ღირსეული ადგილი უჭირავს.

ჩემს ბებერ თავს მოწიწებით ვიხრი ამ სასახელო შემოქმედის წინაშე.

ლია ასათიანი

## თხილამურებზე

დიდი თოვლი არი,
თეთრი ნისლი არი,
მთები მოვიარეთ,
ქვემოთ მივსრიალებთ.
ირგვლივ მორკალული
ნაძვის ტყეებია,
იტყვი გორაკები
დაუტყვევებიათ.
ეს რა ნისლი არი,
თითქოს ბოლი არი,
თეთრში გახვეულა
სახლი ფიცრიანი.
ქვემოთ სოფელია,
ქვემოთ მოგველიან;
მათკენ მივსრიალებთ.
მთები მოვიარეთ,
მთები მწოლიარე...



# აღმოსავლური რენესანსი და ანტიკურობის მემკვიდრეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამშობლოს ხალხების ძმობას, კერძოდ საქართველოსა და სომხეთის ხალხების ძმობას უძველესი ისტორია აქვს, რომელიც ათასეული წლებით განიზომება. ეს სულიერი ერთობა და სიახლოვე ხალხებისა მჟღავნდება კერძოდ აღმოსავლურ რენესანსში, რომელზედაც თავის წერილში მოგვითხრობს ამ საკითხის გამოჩენილი სპეციალისტი აკად. შალვა ნუცუბიძე.

არგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მივიღე პროფ. ვ. კ. ჩალოიანის წიგნი „სომხეთის რენესანსი“ (რუსულ ენაზე), გამოცემული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ (1963 წ.). წიგნის რედაქტორია აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემის საკმაოდ ცნობილი მკვლევარი აკადემიკოსი ნ. ი. კონრადი.

ჩემთვის გამოგზავნილ ეგზემპლარზე ავტორს წაუწერია:

„ძვირფას შალვა ისაკის-ძეს — უფროს ამხანაგს აღმოსავლეთში რენესანსისათვის ბრძოლაში“. წიგნმა დამაინტერესა, როგორც ამ პირადი მომენტით, რომელიც დღევანდელი ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ერთგვარი უკუფენაა, ისე მოძმე სომხეთში აღმოსავლეთის რენესანსის საკითხის წარმატებითი შესწავლით, რასაც მხოლოდ შეუძლია გააძლიეროს ჩვენში, საქართველოში ადრე დაწყებული ბრძოლა აღმოსავლეთის რენესანსის საკითხის გარკვევისათვის.

ვ. კ. ჩალოიანის გამოკვლევისათვის დიდი პატივისცემაა, და, ამასთან, სომხური კულტურის კვლევისათვის ფრიად სასახელო, რომ დასახელებული ნარკვევი გამოაქვეყნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და, კიდევ მეტი, მისი რედაქტორია დღეს საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. ი. კონრადი, რომელიც წიგნის ბოლოსიტყვაობაში სამართლიანად აღნიშნავს, რომ „აზრი რენესანსზე აღმოსავლეთში დიდი ხანი არ არის, რაც აღეძრათ ჩვენს მკვლევარებს, და, ბუნებრივია, რომ ეს მოხდა თვითონ აღმოსავლეთის მეცნიერთა შორის, ამ შემთხვევაში საბჭოთა აღმოსავლეთის მეცნიერთა შორის“. (დასახ. წიგნი, გვ. 159).

ამ მეცნიერთა შორის აკადემიკოსი არ ასახელებს „სომხეთის რენესანსის“ ავტორს, რადგან მან კარგად იცის, რომ „აზრი“ აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ საბჭოთა საქართველოში წამოიჭრა. ამის ინიციატორებად ის ასახელებს ამ სტრიქონების ავტორს და ივანე ჯავახიშვილს; კონრადი წერს: „1947 წელს შ. ი. ნუცუბიძე შრომაში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ ალაპარაკდა დიდი ქართველი პოეტის ეპოქის — XII-XIII საუკუნეების შესახებ... ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიაში“ XII საუკუნის ქართული სინამდვილე წარმოადგინა, როგორც იმ დროის ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ (ხაზი ჩემია — შ. ნ.), რომელსაც ევროპაში რენესანსი უწოდეს“ (იქვე).

მართლაც, ვ. კ. ჩალოიანს 1963 წლამდე, მისი ამ ნარკვევის გამოსვლამდე არსებითი მონაწილეობა აღმოსავლეთის რენესანსის დამუშავებაში არ მიუღია, თუმცა თავის სხვა მხრივ დიდად საყურადღებო შრომებში გაკვრით იხსენიებდა აღმოსავლეთის საკითხს, ვინაიდან მან იცოდა ფაქტი აღმოსავლეთის რენესანსის იდეის ქართულ მეცნიერებაში წამოჭრისა და ამ საქმეს თანაგრძნობით ეპყრობოდა.

თვითონ ავტორი აღნიშნავს, რომ მთლიანად აღმოსავლეთის რენესანსი უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე სომხეთის რენესანსი. „აღმოსავლეთის ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ (ხაზი ჩემია — შ. ნ.) საკითხები, ცხადია, არ დაიყვანება სომხეთის აღორძინების საკითხებზე“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 156). „ჩვენი გამოკვლევის საგნად გავხადეთ სომხეთის რენესანსი და არ შევეხებივართ ზოგად პრობლემას — აღმოსავლეთის რენესანსისა საერთოდ... აღმოსავლეთის კულტურის ზოგადობა არ უარყოფს, პირიქით, — განაგრძობს ავტორი, — გულისხმობს ცალკე ქვეყნების კულტურულ ორიგინალობასა და მათ დამოუკიდებლობას“ (იქვე, გვ. 157).

ყველაფერი ეს უდავოა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები მაინც გარკვევას მოითხოვენ. უდავოა ის დებულებაც ავტორისა, რომ სომხეთის რენესანსი ნაწილია საზოგადოდ რენესანსის საკითხისა; აქ გასარკვევი ეს კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ უნდა გავიგოთ და წარმოვიდგინოთ ეს მონაწილეობა სომხეთის რენესანსისა, როგორც ნაწილისა — რენესანსში ზოგადად. როგორ მოხდა, რომ რენესანსი შეიჭრა სომხეთში, როგორც ამას თავის დროზე ვალერი ბრიუსოვი კითხულობდა: არის ეს გარედან შეტანილი მოვლენა, თუ ანტიკურობასთან რაღაც შინაგან კავშირზე დამყარებული, რომელიც განვითარების პროცესში თანდათან გამოვლინდა და განვითარდა?!

თუ რენესანსს გავიგებთ, როგორც ანტიკურობის აღორძინებას, იბადება კითხვა — არის ეს აღორძინება საკუთარი ანტიკურობისა, რომელიც ოდესღაც ჰყავდა ამა თუ იმ ქვეყანაში და შემდეგ დაქვეითდა იმ სოციალ-ეკონომიური პირობების გამო, რომელთაც ძირი მოუშალეს მთლიან სახელმწიფოებრიობას და ფეოდალიზმის წარმოქმნის ვითარებაში მოსპეს ანტიკური კულტურის შენარჩუნება — განვითარების შესაძლებლობა?!

კონრადი და ჟირმუნსკი ცოტა თავისებურად ხსნიან რენესანსის პრობლემას და, ამასთან დაკავშირებით, თვითონ ცნება რენესანსისა არ მიაჩნიათ აქ მაინცდამაინც სავალდებულოდ; ისინი მომხრენი არიან ზოგადი ისტორიული კანონზომიერების აღიარებისა, რომელიც პროფ. ვესელოვსკიდან მომდინარეობს, და რომლის თანახმად ანალოგიური გარემო უნდა იწვევდეს ანალოგიურ შედეგებს. გამოდის, რომ თუ ერს საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, დღემდის მოაღწია და ეს ისტორია მოიცავს მის ანტიკურობას, შემდეგ დაქვეითების ხანას და ამის შემდეგ აღორძინების შესაძლებლობას, აქ თურმე სავალდებულო არ არის ლაპარაკი ანტიკურობის აღორძინებაზე, არამედ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ჰუმანიზმზე, როგორც ცოცხალი ადამიანის მისწრაფებათა გამოხატულებაზე. „ასეთი სახელწოდება, — წერს კონრადი, — მართლაც გამოსადეგი იქნება ყოველი მხარისათვის და სადაც ასეთ ეპოქას ჰქონია ადგილი, უნდა ვილაპარაკოთ არა „რენესანსზე“, არამედ „ჰუმანიზმზე“ (გვ. 163-164).

პროფ. ვ. კ. ჩალოიანის პოზიციას საკითხის ასეთ განსაზღვრასთან არაფერი საერთო არა აქვს. მართალია, მას ზედმეტად ხაზგასმული ზომიერება ახასიათებს აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა შეფასებისას, მართალია, იმასაც აღნიშნავს: არ არის საჭირო გადავაფასოთ აღმოსავლეთის მნიშვნელობა და ყველა კულტურული მიღწევა აღმოსავლეთური მსოფლიოდან გამოვიყვანოთო (გვ. 158); მე არ ვიცი ვინ ჰყავს აქ მხედველობაში პროფ. ჩალოიანს, მაგრამ ის კი ყველასათვის ნათელია, რომ „ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, რომლიდანაც მე ამოვდიოდი აღმოსავლეთის რენესანსის დასაბუთებისას მოსკოვში (1940 წელს), თუ თბილისში (1941 წელს), სადაც მე ეს მოხსენება გავიმეორე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ იგი თავის გამოცემაში დაბეჭდა, ასეთი მართლაც „ანტიმეცნიერული“ ტენდენცია სრულიადაც არ იყო შესამჩნევი. „აღმოსავლეთის რენესანსი“, როგორც ცნება, შემუშავდა დასავლური ევროპოცენტრიზმის კრიტიკის ნიადაგზე და სწორედ ეს ნიშნავდა ანტიმეცნიერული ცალმხრივობის წინააღმდეგ ბრძოლას.

1947 წელს გამოქვეყნებული ჩემი მონოგრაფია დაწერილია, როგორც „აღმოსავლეთის რენესანსის ძიებისა და განვითარების მიმოხილვა“, ე. ი. ის ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ კონგლომერატს იმ ხალხებისას, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდებოდნენ ბერძნულ-რომაულ ანტიკურობას, ან მასში უშუალო მონაწილეობით, ან იქიდან რაიმეს სესხებით; ამდენად იქ იმთავითვე გამორიცხული იყო ყოველგვარი ცალმხრივობა.

ეს ამბავი ვერ შეამჩნია აკად. კონრადმა და ჩემს მონოგრაფიაში მხოლოდ „დიდი ქართველი პოეტის თანამედროვე ქართული რენესანსი“ (XII-XIII საუკუნეები) დაინახა. პროფ. ჩალოიანს სრული უფლება ჰქონდა ელაპარაკნა სომხურ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ (ხაზი ჩემია — შ. ნ.), როგორც თავისი კვლევის საგანზე, მაგრამ, რამდენადაც სომხური რენესანსი ჩემს მონოგრაფიაში (მე აქ მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობ) ძირითადად ქართულ რენესანსთან უშუალო კავშირში განიხილებოდა, ძნელია ვიფიქროთ, რომ ჩემს მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებების განხილვა — ან კრიტიკა, ან აღიარება — ჭეშმარიტების გამორკვევას ხელს არ შეუწყობდა. ამის ნაცვლად „უფროსი ამხანაგი აღმოსავლეთის რენესანსისათვის ბრძოლაში“ ვ. კ. ჩალოიანის წიგნის მხოლოდ მიძღვნით წარწერაში გამოჩნდა და მკითხველისათვის ჩვენი თანამებრძოლობა უცნობი დარჩა. მთელ ამ ამბავს კი დიდი ისტორია ჰქონდა, რომლის სულ მოკლედ მოხსენიება ზედმეტი არ იქნებოდა.

1940 წელს, როცა მოსკოვში სომხური ლიტერატურის დეკადა მიმდინარეობდა, წამოიჭრა საკითხი სომხური რენესანსის შესახებ; გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა მოისმინა მოხსენება „აღმოსავლეთის რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, რომელშიაც საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სომხურ რენესანსს. ეს საკითხი აწ გარდაცვლილმა გამოჩენილმა მეცნიერმა — ს. კ. ჯივილეგოვმა — გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაკმა დააყენა და სომხური დეკადის ხელმძღვანელებმა მას მხარი დაუჭირეს. მოხსენება მე დამევალა; ცნობილმა მეცნიერმა იოსებ ორბელმა მეორე მომხსენებლად გამოსვლა იკისრა. მოხსენებები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ დარბაზში გაიმართა, და ყველა ამის შედეგად მე, სომხური დეკადის ხელმძღვანელებისაგან მივიღე წინადადება ერევანში წასვლისა და იქ ამ მოხსენების გამეორებისა. ვინაიდან ეს, ისე სწრაფად განსახორციელებელი არ აღმოჩნდა, სომეხი მეგობრები დაკმაყოფილდნენ ჯერ-ხნობით ჩემი მოხსენების სტენოგრამით, რომელიც შემოკლებული სახით დაბეჭდეს კიდეც სომხურ ენაზე ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურაში“.

ჩემს მონოგრაფიაში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, სადაც მიზნად დავისახე მეჩვენებინა აღმოსავლეთის ერების მონაწილეობა აღმოსავლურ-დასავლურ რენესანსში, და არა მხოლოდ რუსთაველის დროის საქართველოში რენესანსის ელემენტები, როგორც ეს აკად. კონრადის შეცდომით მოეჩვენა, მე, ცხადია, დავუთმე სომხეთს სათანადო ადგილი აღმოსავლეთის რენესანსში, სხვა აღმოსავლურ ერებთან ერთად, რომელთა კულტურა დასავლეთის ანტიკურობას (ბერძნულ-რომაულს) უკავშირდებოდა; შეუძლებელიც იყო ეს ასე არ გამეკეთებინა. ამას თვით ჩვენი ხალხების ისტორია მოითხოვდა.

ჩემი მონოგრაფიის ასე ზოგადად წარმართულ კვლევას პროფ. ჩალოიანმა გვერდი აუარა და ამჯობინა მიჰყოლოდა იმ ზოგად-ისტორიულ, ანა-



სახ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ლოგისტურ კანონზომიერებას, რომლის მიხედვით ყოველ ერს, თუ მას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, ყოველ შემთხვევაში, მისი რაღაც ნაკვეთი, ასე თუ ისე, ჩვენს ერამდე იწყება და ამის გამო ამ ისტორიაში ანტიკურობაც ეტევა, დაქვეითებაც (ფეოდალიზმი და მის პირობებში ადამიანობის უგულვებელყოფა) და შესაძლებელი აღორძინება ადამიანობისა (ღუმანიტატის) — შეიძლება ჰქონდეს თუ „რენესანსი“ არა, ყოველ შემთხვევაში, „აღორძინება“ და ჰუმანიზმი მაინც.

ასეთ რჩევას იძლევა აკად. კონრადი, და ძალზედ კმაყოფილი ჩანს, რომ პროფ. ჩალოიანმა მისი რჩევა ყურად იღო და ნაცვლად თავისი ნარკვევის სათაურში გამოცხადებული „სომხური რენესანსისა“, მან „სომხეთის ისტორიაში მისი „აღორძინების ეპოქის“ ჩვენებით, ისტორიკოსებს საშუალება მისცა ამ დიდი ისტორიული პრობლემის გაგებისა“ (იქვე, 165). რა თქმა უნდა, პროფ. ჩალოიანი დიდი ქების ღირსია: ის კარგად ჰფლობს სომხეთის კულტურის ისტორიის ფაქტების ცოდნას და მართებულად ალაგებს მათ. ეს არ ავიწყდება წიგნის რედაქტორს და იგი ხაზს უსვამს, რომ პროფ. ჩალოიანმა „ისტორიკოსებს ძვირფასი მასალა მიაწოდა“ (იქვე).

წიგნი კარგად არის დაწერილი. მისი პირველი თავი დათმობილი აქვს ანისის სომხეთის პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვას. აქ ნაჩვენებია, რომ ანისის და კილიკიის სახელმწიფოებრივობის ფარგლებში მოხდა დიდი სოციალ-ეკონომიური ძვრები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ფილოსოფიისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინებას. მეორე თავში მოთხრობილია ანისის და კილიკიის სახელმწიფოებრივ პირობებში სოციალ-ეკონომიური აღორძინების ამბავი. ამ ისტორიის თხრობის ტენდენცია ისეთია, რომ ჩანდეს დასავლეთში და ანისის სომხეთში ისტორიული გარემოს იგივეობა, ჩანდეს ისე, როგორც ეს ნაგულისხმევია ანალოგისტების (კონრადი, ჟირმუნსკი და სხვ.) იდეალისტურ კონცეფციაში.

ხსნის რა კაპიტალისტური ფორმაციის გაბატონებული კლასის წარმოქმნის გზებს, ავტორი აცხადებს: „ასე იყო დასავლეთში და ასევე იყო ანისის სომხეთში მომწიფებული ფეოდალიზმის ხანაში“ (გვ. 24), ხოლო ეხება რა საქალაქო თვითმართველობათა შექმნას დასავლეთში, ავტორი არ აყოვნებს განცხადებას, რომ „ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნეოდა სომხეთშიც“.

ანალოგისტები, რა თქმა უნდა, მეტად კმაყოფილი დარჩებოდნენ მსჯელობისა და კვლევის ამ გზით წარმართვით.

ასეთივე მეთოდია გამოყენებული მესამე, მეტად მნიშვნელოვან თავში სომხეთის კულტურის აღორძინების შესახებ. მე რამდენჯერმე შევეხე აზროვნების და შემოქმედების ფაქტებს სომხური კულტურიდან და არც სომხურ რენესანსთან დაკავშირებით მაქვს რაიმე არსებითად სადავო პროფ. ჩალოიანთან. მას ჩემი რეკომენდაცია არ სჭირდება, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ჩვენ თითქმის ერთსა და იმავე ფაქტებზე ვლაპარაკობთ. საამისოდ საკმარისია თვალი გადავავლოთ ჩემს შემოკლებულ მოხსენებას („სომხეთი და აღმოსავლეთის რენესანსი“, 1940 წელი) და მონოგრაფიას („რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, 1947 წ. თბილისი). პროფ. ჩალოიანს ზედმიწევნით აქვს განხილული ფილოსოფიური და ლიტერატურული მასალა, რომელსაც, არა ასევე ვრცლად, მეც ვეხები ჩემი „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“, სადაც საგანგებო თავია შეტანილი თემაზე: „ქართულ-სომხური ფილოსოფიური მიმართებანი“.

ამის გამო მთელ ამ მასალას, რომელიც მე სხვა ნაშრომებში სომხური რენესანსის შესახებ მომიხსენებია, აქ არ ვეხები. ძირითადად ისინი სწორად არის გადმოცემული, მაგრამ პროფ. ჩალოიანის ნაშრომს, მრავალ ღირსებასთან ერთად, სამწუხაროდ შენარჩუნებული აქვს ცალკეული ხარვეზები. ერთგან ის პრომეთე-ამირანის სახის არაზუსტ ინტერპრეტაციას იძლევა. პატივცემულ ავტორს მოჰყავს ეპიზოდი დავით სასუნელის ეპოსიდან, სადაც სახალხო გმირი ებრძვის ვეშაპს ხალხისათვის წყლის მოსაპოვებლად; მკვლევარი აქვე იხსენებს პრომეთე (ამირანის) ბრძოლას ხალხისათვის ცეცხლის მოსაპოვებლად და ის ასე ახასიათებს ამ ეპიზოდს: „ხალხის გმირები იწყებენ ბრძოლას ვეშაპთან.. ხალხის სახელით და მოაქვთ მისთვის წყალი, ე. ი. უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე პრომეთეს ცეცხლი“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 78).

საქმე ის არის, რომ ქართულ ამირან-პრომეთეს ეპოსში ორივე სტიქიონია აღნიშნული — ცეცხლიც და წყალიც, უკანასკნელი „იგრი (იგრონ — წყალი) ბატონის სახით. წარმართულ ქართულ პანთეონში ორივე ღმერთის თვეები ერთი მეორეს გვერდით იყო აღნიშნული „იგრიკაჲ“ და „(ა)მირაკაჲ“, ხოლო ანტიკურ ფილოსოფიის საწყის საფეხურებზე — იონიელ თალესთან — წყალი, მართალია, აღიარებული იყო ქვეყნის ონტოლოგიურ საწყისად, მაგრამ სწორედ იმ სახელით, რომელიც მას ქართულ ეპოსში ჰქონდა — ე. ი. „იგრის“ (იგრონის) სახით (იხ. შესავალი „ამირანის“ ჩემი გამოცემისა, თბილისი, 1944 წელი).

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სომხეთიც და საქართველოც საერთო ანტიკური წარსულის მომსწრენი არიან; ჯერ ისევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასეულ წლების მანძილზე ვითარდებოდა ჩვენი კულტურა. ანალოგისტების თეორიას, მართალია გრძელი ისტორიული დიაპაზონი სჭირდება, მაგრამ ჩვენ — სომხეთი და საქართველო — თავისუფლად ვეტევით მათ ეპოქალურ მონაკვეთებში და არ გვჭირდება ვისმე კიდევ წარუდგინოთ ჩვენი ანტიკურობის თამასუქები.

ეს არის ის საკითხები, რომლებზედაც პროფ. ჩალოიანი და მე წინათაც ვკამათობდით. აზრთა ამ გაცვლა-გამოცვლაში ირკვეოდა, რომ სომხეთის კულტურის ისტორია არ არის ვალდებული ემსახუროს ისტორიული, ვითომცდა, კანონზომიერების ანალოგისტური თეორიის გამართლებას, სადაც მექანისტურად ლაგდება ანტიკური, საშუალო და ახალი ისტორია, თუ ერს საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს.

მთავარი საკითხი, რომელიც ჩემსა და პროფ. ჩალოიანს შორის დავას იწვევდა, ეხებოდა მის მცდარ დებულებას, თითქოს სომხური ფილოსოფიური რენესანსი სომხეთში შეიძლებოდა მომზადებულიყო ანტიკურობის დეკადანსის, დაცემის პერიოდში. მე ვუმტკიცებდი მას, რომ ეპიგონებს, და სწორედ ასეთები იყვნენ ალექსანდრიელი ეპიგონები ანტიკური ფილოსოფიისა, კერძოდ არისტოტელიზმის ეპიგონები, არ შესწევდათ ძალა და უნარი შეექმნათ დავით ანახტისათვის სათანადო პირობები, რათა იგი აღორძინების ფილოსოფოსად მოვლინებოდა თავის ერს.

ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობდა. ეს იყო, როგორც დღეს საბოლოოდ გამორკვეულია — არეოპაგიტიკა, ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) ნააზრევში მოცემული (იხ. ამის შესახებ ჩემი რუსული მონოგრაფია „პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა,“ თბილისი, 1968 წ.).

ქართულ-სომხური ფილოსოფიის ეს სიახლოვე, რაზედაც თვით სომხური წყაროებიც, მაგალითად, არაქელ სიუნეცის წერილობით მოწმობაც მეტყველებს, მთლიანად არღვევს ანალოგისტების მოსაზრებებს. სომხური რენესანსი უნდა დარჩეს სომხურ „რენესანსად“, როგორც ეს პროფ. ჩალოიანს მისი წიგნის სათაურის მიხედვით განზრახული ჰქონია ეჩვენებინა.

თავის ნაშრომში „ალიშერ ნავოი და რენესანსის პრობლემა აღმოსავლეთის ლიტერატურაში“ ვ. მ. ჟირმუნსკი მირჩევს დავკმაყოფილდე რუსთაველის შემოქმედების „განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მოვლენად აღიარებით“ და ხელი ავიღო ამის რენესანსად ჩათვლისაგან (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 86).

ასეთივე რჩევა მიუცია აკად. კონრადის პროფ. ჩალოიანისათვის: ხელი აიღოს სომხურ „რენესანსზე“ და უფრო პატარა ამბით დაკმაყოფილდეს („აღორძინება“, „ჰუმანიზმად“ გაგებული). რა თქმა უნდა, პროფ. ჩალოიანს უფლება ჰქონდა უფრო ხელსაყრელი გზა აერჩია, მაგრამ „აღორძინება“ და „ჰუმანიზმი“ ვერ ფარავს, ვერ მოიცავს რენესანსს, რადგან იგი „ისტორიული ხანგრძლივობიდან“ კი არ გამომდინარეობს, არამედ საკუთარ ანტიკურობას გულისხმობს, რომელიც სომხეთს ისე, როგორც საქართველოს, საკმაოდ ჰქონდათ სწორედ რენესანსში კანონიერი მონაწილეობისათვის.

შალვა ნუცუბიძე



# დადიანი-სეული ხორგო

რაჭა მევენახეობა-მეღვინეობით ცნობილი კუთხეა. აქაურია საყოველთაოდ სახელგანთქმული „ხვანჭკარა“.

ადგილობრივ, ხალხურ მეღვინეობას რაჭაში მეტად ორიგინალური იარაღ-ჭურჭელი აქვს; კერძოდ აღსანიშნავია ხის საწნახელი („ხორგო“, „ხაპი“,). 70-100 ფუთის ტევადობის საწნახელი რაჭაში ამჟამადაც საშუალო ზომის სათავსოდაა მიჩნეული. ძველად გაცილებით უფრო დიდი ხორგოები ჰქონდათ; სოფ. ჭრებალოში, სადაც ახლა ღვინის ქარხანაა მოწყობილი, 30-იან წლებში ამერიკული ვაზის სანერგე გაუმართავთ. იქ სოფელ ზედა ქოშხიდან, ალექსი გელოვანისეული საწნახელი ჩამოუტანიათ „მწარე ვაზის“ საძირეების დასალბობად. საწნახელში თურმე კიბით ჩადიოდნენ.

1964 წლის ივლისში რაჭაში მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. ექსპედიციამ მოიძიხულა რატიაშვილების უზარმაზარი საწნახელი, რომელიც კარგადაა შენახული. ამ საწნახელს საინტერესო ისტორია აქვს. იგი ოდესღაც სამეგრელოს მთავრის დადიანის კუთვნილება ყოფილა. სამეგრელოს სამთავროს ვრცელი ზვრები ჰქონია სოფ. ქვიშარსა და ჭრებალოში. დადიანებს მარანი გაუმართავთ ქვიშარის მახლობლად, რომელშიაც ბევრი დიდი საწნახელი მდგარა (დადიანის მარნის ადგილზე ახლა ჭყვიშის კოლმეურნეობის მარანია). სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დადიანთა მამულები და მარანი გატიალებულა. საწნახელთაგან ერთ-ერთი სახლში წაუღია მთავრის მოურავის შთამომავალს გრამიტონ გელოვანს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში გრამიტონს სამეგრელოს მთავრის ნაქონი საწნახელი 500 მანეთად მიუყიდია ქვედაშავრელი რატიაშვილებისათვის. რატიაშვილები სამი ძმანი ყოფილან: ბესო, ვასილა და ბათლომე. მათ ძლიერი, „წელში გამართული“ ოჯახი ჰქონიათ და ამიტომ შებედეს „ნადადიანარ ხორგოსო“ — ამბობენ მოხუცები. საწნახელი ადგილობრივ ოსტატებს გაუთლიათ ცაცხვის ხისაგან ლეხერას მთაში. ხორგოს წამოღება ახლაც საამაყო მოსაგონრადაა დარჩენილი სოფლად. რიონში ცურვით გაუტანიათ, შემდეგ თხუთმეტი უღელი ხარი შეუბამთ მის წასაღებად.

საწნახელს ამჟამად არავინ ხმარობს. სასურველია მისი გამოყენება სამუზეუმო ექსპონატად.

ქვემო რაჭაში საწნახელს ორი ფუნქცია აქვს: ყურძნის მოთავსება-დაწურვა და ტკბილის დადუღება. უწინ დასაწურად ხმარობდნენ უფრო პატარა ზომის ხორგოებს, ხოლო დიდი საწნახლები ტკბილის სადუღრად იყო გამოყენებული.

დღემდე შემორჩენილი ხის უზარმაზარი საწნახლები, ქვევრების მსგავსად, ძველი ქართული მეღვინეობის ფართო მასშტაბზე მეტყველებენ.

ლევან ფრუიძე

## როგორ გაჩნდა ქვეყანაზე საფოსტო მარკა

ეს ამბავი ლონდონში მოხდა. 1886 წლის ზამთრის ერთ საღამოს ინგლისელმა პედაგოგმა როულენდ ჰილმა წერილი მიიღო. ბარათის წაკითხვის შემდეგ ჰილი ძალიან გაბრაზდა: მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი მას სრულიადაც არ აინტერესებდა, იძულებული იყო ფოსტალიონისათვის ფული გადაეხადა (იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა საფოსტო მარკები; წერილის ფულს ბარათის გამგზავნი კი არ იხდიდა, არამედ ის, ვინც ამ ბარათს ღებულობდა).

როულენდ ჰილი მაგიდას მიუჯდა და ბარათი მისწერა დიდი ბრიტანეთის ფოსტის უმაღლეს მოხელეს. იგი წინადადებას აყენებდა, ხმარებაში შემოეღოთ პატარა ზომის ფასიანი ქაღალდები — საფოსტო მარკები, რომლებსაც კონვერტებზე დააკრავდნენ. ეს წინადადება მაშინ უარყოფილი იქნა, მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი: რამდენიმე წლის შემდეგ როულენდ ჰილი დიდი ბრიტანეთის მთავარ ფოსტმეისტერად დანიშნეს და მას საშუალება მიეცა განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი.

1840 წლის 6 მაისიდან, ჰილის ბრძანებით, ბრიტანეთის იმპერიაში ხმარებაში შევიდა საფოსტო მარკები, რომლებმაც დიდი გავრცელება ჰპოვეს მსოფლიოს ქვეყნებში. 1842 წლის ბოლოდან საფოსტო მარკები შემოიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიასა და შვეიცარიაში, 1849 წლიდან — გერმანიაში, რუსეთში პირველი საფოსტო მარკები 1857 წელს დაიბეჭდა.

### მეომარი ღია ბარათები

1942 წელს გერმანელთა ბომბდამშენებმა გაანადგურეს ბრიტანეთის საადმირალოს ფოტოარქივი. იმავე წლის 17 მაისს რადიოსადგურ ბი-ბი-სის მიკროფონთან საადმირალოს ერთ-ერთი ოფიცერი მივიდა. მან თხოვნით მიმართა რადიომსმენელებს ახალი არქივის შესაქმნელად გამოეგზავნათ საფოსტო მარკები და მტრის მიერ დაკავებული ადგილების ფოტოგრაფიები, აღბეჭდილი ღია ბარათებზე.

— მნიშვნელობა არა აქვს სად არის გადაღებული ეს სურათები, — თქვა ოფიცერმა, — ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს!

ასე დაიწყო შევსება უჩვეულო არქივმა, რომელსაც მთელი ქვეყანა აგროვებდა. მტერზე გამარჯვების სურვილით შეპყრობილი ინგლისელები საადმირალოში ძვირფას ოჯახურ რელიქვიებსაც კი გზავნიდნენ.

ერთ-ერთმა ასეთმა ფოტოსურათმა მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სიცილიის აღების დროს. როგორც ცნობილი გახდა, ჰიტლერელთა სამხედრო შტაბი კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სასტუმრო „სან-დომინიკოსთან“ იყო განლაგებული. როცა საფოსტო ღია ბარათი, რომელზეც ეს ადგილი იყო აღბეჭდილი, თვითმფრინავიდან გადაღებული აეროფოტოსურათების გვერდით დადეს — დაზვერვის ოფიცრებისათვის ნათელი გახდა, თუ სახელდობრ რომელი უბანი უნდა გამხდარიყო დაბომბვის ობიექტი. რამდენიმე საათის შემდეგ ჰიტლერელთა შტაბი აღიგავა პირისაგან მიწისა.

მსგავსი ამბავი მოხდა მეორე რაიონშიც. ინგლის-ამერიკის ჯარების სარდლობა, რომელიც შეტევისათვის ემზადებოდა, მოულოდნელად შეაშფოთა აეროფოტოსურათზე აღბეჭდილმა რაღაც უცნაურმა კოტეჯებმა. როდესაც ეს სურათები ომის წინ გამოცემულ ღია ბარათზე აღბეჭდილ ფოტოსურათებს შეადარეს, გამოირკვა, რომ ამ ადგილებში წინათ არავითარი კოტეჯები არ არსებობდა. დაიწყო გულმოდგინე ძიება, თუ ვინ და როდის ააგო ეს კოტეჯები. მალე ნათელი გახდა, რომ ისინი გერმანელებს საგანგებოდ აეგოთ და შიგ საარტილერიო ბატარეის საკომანდო პუნქტი მოეთავსებინათ, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ შენიღბულ პუნქტიდანაც მხოლოდ ნანგრევებილა დარჩა.

### ხალხები და ენები

მსოფლიოში ენები უფრო მეტია, ვიდრე ხალხები. საბჭოთა კავშირში ამას წინათ გამოვიდა „მსოფლიოს ხალხთა ატლასი“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ჩვენს პლანეტაზე ამჟამად სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ენა არსებობს, და ეს იმ დროს, როცა ხალხების რიცხვი დაახლოებით ათას სამასს უდრის. როგორც ცნობილია, ზოგიერთ ენაზე რამდენიმე ხალხი ლაპარაკობს. მაგალითად, ინგლისურ ენაზე საუბრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, კანადაში, ავსტრალიაში; უმეტეს შემთხვევაში კი საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი: ერთ რომელიმე ქვეყანაში რამდენიმე ენაა გავრცელებული. ბელგიაში ფრანგულ და ფლამანდურ ენებზე საუბრობენ, სუდანში არსებობს 117 ენა, კონგოში — 500 ენა (დიალექტების ჩაუთვლელად), დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში 60 სხვადასხვა ენაზე საუბრობენ...

### ტორფი და რადიაცია

ტორფი დღემდე უმთავრესად, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ენერგეტიკოსების ყურადღებას იპყრობდა. ახლა ეჭვი არ არის, რომ ტორფი ბიოფიზიკოსებს, ბიოქიმიკოსებს, ფარმაკოლოგებსა და ექიმებსაც დააინტერესებთ.

პოლონეთში, ვროცლავის უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებელში სპეციალისტებმა შეიტყვეს, რომ ტორფის შემადგენლობაში შედის ორგანული ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლიათ ორგანიზმის დაცვა რადიოაქტიურობის დამღუპველი მოქმედებისაგან. ვინ იცის, ამ ნივთიერებათა მეოხებით იქნებ რადიაციული გამოსხივებით დაავადებული ადამიანების მკურნალობაც შეიძლება?

ეს აღმოჩენა დაეხმარება არა მარტო მათ, ვინც რადიაციის გადიდებული დოზის მოქმედებას განიცდის (მაგალითად, რენტგენოლოგებს, ონკოლოგებს), არამედ დიდ როლს შეასრულებს ცოცხალ ქსოვილზე რადიაქტიური გამოსხივების მოქმედების მექანიზმის გახსნასა და შესწავლაში.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სურათი დახატა ამერიკელმა მხატვარმა ჯონ ბანვარდმა. „მისისიპის პანორამა“, ასე ეწოდებოდა უზარმაზარ ტილოს, რომლის სიგრძე 458 მეტრამდე აღწევდა. ბანვარდის ნახატი 1898 წელს დაიწვა ნიუ-იორკში გაჩენილი ხანძრის დროს.

• • •

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკაში მუშები ჩიოდნენ, რომ დაუთოების დროს მათ საშინელი სიცხე აწუხებდათ. ცნობილმა ჩეხოსლოვაკელმა მეცნიერმა პეტრ ტუჩნიმ სიცხეს ბრძოლა გამოუცხადა... ჩვეულებრივი საღებავით. მისი მითითებით მაგიდები და კედლები ლურჯად შეღებეს. მუშები ახლა ერთხმად ამბობენ, რომ მათ საამქროში მნიშვნელოვნად „აგრილდა“.

• • •

ფრანგმა მეცნიერმა ფერემ ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ დაამტკიცა, რომ სხვადასხვა სასიამოვნო სურნელი (მაგალითად, მუშკის სუნი) ხელს უწყობს.... შრომისნაყოფიერების ზრდას. ცნობილია, რომ ბაირონი, მუშაობის დაწყების წინ, კაბინეტში ყოველთვის სასიამოვნო სუნის სითხეებს ასხურებდა.

• • •

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში ხანძრის ჩაქრობა დაიწყეს... წებოთი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, წყალში მცირე რაოდენობით ურევენ სპეციალური შემადგენლობის წებოს. კედლებზე და სხვადასხვა საგნებზე მისხურებული ასეთი სითხე აპკივით ეფარება მათ და საიმედოდ იცავს ცეცხლის ალისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

სპეციალისტებმა შექმნეს რენტგენის ახალი მოწყობილობა, რომელიც ფერად სურათებს იღებს. ასეთ სურათებზე უკეთ მოჩანს ადამიანის ორგანოები, რომლებსაც სხვადასხვა შეფერილობა აქვთ. ახალი რენტგენი საშუალებას იძლევა დავინახოთ ორგანიზმში მოხვედრილი მინისა და სხვა გამჭვირვალე საგნების ნაწილები, რისი დანახვაც შეუძლებელია ჩვეულებრივი რენტგენით სარგებლობის დროს.

• • •

ცნობილი ამერიკელი მწერლის, ერნსტ ჰემინგუეის ძმამ ლესტერმა ვაშინგტონს აცნობა, რომ მან იამაიკის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან დააარსა ახალი რესპუბლიკა და თავისი თავი ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადა. ამ ახალი რესპუბლიკის სიგანე... ორი მეტრია, სიგრძე—9,1 მეტრი. მის მოსახლეობას შეადგენს: პრეზიდენტი, მისი ცოლი და ოთხი ბავშვი.



### იყიდება უძველესი ტაძრები

უცხოეთის პრესა იუწყება, რომ ესპანეთში იყიდება ძველი ეროვნული კულტურის შესანიშნავი ძეგლები. ამას წინათ ამერიკელმა ბიზნესმენებმა ესპანეთში შეიძინეს სან-ფერმინ-დე-ფუენტიდუენის ტაძრის (სეგოვიას პროვინცია) სამლოცველო და საკურთხეველი. ესპანური ხელოვნების ეს შედევრები ამჟამად ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-მუზეუმშია“ გამოფენილი. სან-ბერნარდო-დე-საკრამენტეს ტაძარი მაიამში გადაიტანეს. სან-ფრანცისკოს „ქრისტეს გულის“ საზოგადოებამ ესპანეთში იყიდა სანტა-მარია-დე-ავილას ეკლესია, რომელიც ნაწილებად დაშალეს და ოკეანის გაღმა გადაზიდეს. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში დღემდე ვერავინ მოახერხა ამ უძველესი ნაგებობის აწყობა.

### სცენარს წერს... ფრანკო

მეორე მსოფლიო ომის წინ და თვით ომის დროს მადრიდი ყოველწლიურად უშვებდა ოცდაათამდე უნიჭო სრულმეტრაჟიან ფილმს. ამ ფილმებს შორის ყველაზე ძვირი დაჯდა კინოსურათი „რასა“ (1941 წ.), რომლის სცენარი გენერალმა ფრანკომ დაწერა. ფილმი ფრანკოს ბიძაშვილმა — „სასახლის“ რეჟისორმა საენსო დე ერედიამ გადაიღო. იგი ამჟამად ამზადებს ახალ ფილმს — „გენერალ ფრანკოს ცხოვრება“; როგორც ესპანური გაზეთები იუწყებიან, ფრანკო თურმე გულმოდგინედ ადევნებს თვალს ამ ფილმის გადაღების პროცესს და „სახელმძღვანელო მითითებებსაც“ აძლევს მსახიობებს. პირსისხლიან დიქტატორს განდიდების სურვილი მოსვენებას არ აძლევს.

# სინდის-ნამუსი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი; მთელი ქალაქი იმის ქარვასლებით იყო მოფენილი. კაცი არ იყო, მისი ვალი არა ჰქონოდა; ყველა მორიდებით უხდიდა ქუდს, ყველა დაბლა უხრიდა თავს. ერთხელ იფიქრა:

— ყველაფერი შევიძინე, ჩიტის რძეც არ მაკლია, მაგრამ ჯერ არ გამიგონია, რომ ვისმეს ვეხსენებინე როგორც სინდის-ნამუსის კაციო.

ადგა, დაუძახა თავის მეეტლეს, შეაბეს ცხენები, დატვირთეს ტომრები ოქრო-ვერცხლით და გასწიეს სინდის-ნამუსის საყიდლად.

იარეს, იარეს და გზაზე ერთი მდიდარი მებატონე შემოხვდათ; ის კიდევ სოფლიდან ქალაქისაკენ მიდიოდა. ვაჭარი მებატონეს მიესალმა და უთხრა: — ბატონო, ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი თუ შეიძლებაო. — ბრძანეთო! — უთხრა მებატონემ.

— სინდის-ნამუსი თუ გაქვთ გასაყიდი, მომყიდეთ, რამდენსაც მთხოვთ, იმდენ ოქრო-ვერცხლს მოგცემთო.

— ჰეე, — გაიცინა მებატონემ, — სინდის-ნამუსი ჩემს მამა-პაპას არ ჰქონია და მე საიდან მექნებაო!

მდიდარმა ვაჭარმა განაგრძო გზა. იარეს, და გზაზე შემოხვდათ ერთი მღვდელი, რომელიც სახედარზე იჯდა და მიდიოდა სოფელში მიცვალებულის დასაფლავებაზე. ვაჭარი შეეკითხა:

— მამაო, თუ შეიძლება ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი თქვენთანო.

— ბრძანეთო — უთხრა მღვდელმა.

— თუ გაქვს სინდის-ნამუსი გასაყიდი, მომყიდეთ, რამდენსაც მთხოვთ, იმდენს მოგცემთო.

მღვდელმა უთხრა: მამაშვილობას, როცა სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი, ახალგაზრდობისას, მქონდა ცოტაოდენი, მაგრამ როდესაც სამსახური დავიწყე, ეკლესიებში ამდენი სიარულით და საფლავებზე წანწალით სულ დამეკარგაო.

მდიდარმა ვაჭარმა განაგრძო გზა. იარეს, იარეს და გზაზე შემოხვდათ ერთი მოხუცი გლეხკაცი, ზურგზე ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული და ქალაქისაკენ მიდიოდა. მდიდარი ვაჭარი მიესალმა მოხუც კაცს და უთხრა:

— ბერიკაცო, თუ შეიძლება ერთი სიტყვა მაქვს თქვენთანო.

— ბრძანეთო, — უთხრა ბერიკაცმა.

— თუ გაქვთ სინდის-ნამუსი გასაყიდი, მომყიდეთ, რამდენსაც მთხოვ, იმდენს მოგცემო.

მოხუცმა უთხრა:

— სინდის-ნამუსი როგორ არა მაქვს, ჩვენს ჩამომავლობას მამა-პაპიდან გვაქვს დატოვებული, მაგრამ ვერ გავყიდით. მე რომ გავყიდო, მაშინ ჩემი შვილიშვილები ხომ დარჩებიან უსინდის-ნამუსოდ... თუ ძალიან გინდა გქონდეს სინდის-ნამუსი, როგორც მე გასწავლი, ისე მოიქეცი, მაშინ მისი ძებნა აღარ დაგჭირდებათ და არც შენი ოქრო-ვერცხლი იქნება საჭიროო.

მდიდარმა შესძახა — არიქა, შენი ჭირიმე, მიშველეო. მაშინ მოხუცმა უთხრა:

— შენცა და შენი ოჯახის წევრებმაც თქვენი საკუთარი შრომით დაიწყეთ ცხოვრება, მაშინ ნამუსიც თავის თავად მოვა თქვენს ოჯახში, თქვენც გექნებათ და შვილიშვილებსაც დარჩებათო.

მდიდარმა ვაჭარმა თვალებში შეხედა მოხუცს და უთხრა: — ასე შეძენილი სინდისი შენი იყოსო! — მოაბრუნა ეტლი, გამოსწია სახლისაკენ და განაგრძო ისევ უსინდისოდ და უპატიოსნოდ ცხოვრება.

ზაქარია ელბაქიძე



# კროსვორდი



ვერტიკალურად:

1. სსრ კავშირის 1964 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ქალთა შორის სპორტულ ტანვარჯიშში; 2. გამოჩენილი საბჭოთა მძლეოსანი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; 3. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელი, მოკეისტი; 4. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშე; 5. ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ეშელონში მონაწილე გუნდი; 6. პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიოს ექსჩემპიონი; 11. რომისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მარათონში; 12. სპორტული შეჯიბრის დასკვნითი ნაწილი; 16. სპორტული ასპარეზი; 17. სპორტული მოედანი; 18. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი; 23. 1964 წლის ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ციგურებით სრიალში; 24. ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაში მონაწილე „ბ" კლასის გუნდი; 29. ფრანგული სპორტული ჟურნალი; 30. პოპულარული სპორტული თამაში; 32. ფანდი; 34. ამერიკელი მოჭადრაკე; 36. სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის ქალთა ნაკრების წევრი; 40. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის; 41. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში; 42. ფეხბურთში ცენტრალური დამცველი; 43. „თხილამურების მეფედ" აღიარებული გამოჩენილი ავსტრიელი სპორტსმენი; 44. მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი 1.500 მეტრზე სირბილში; 45. მოკავშირე რესპუბლიკა, ხალხთა მესამე სპარტაკიადის მეორე პრიზიორი.

ჰორიზონტალურად:

7. ფეხბურთელი; 8. ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრების წევრი; 9. ერთი ხელი ჭადრაკში; 10. პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. ინსბრუკის ოლიმპიადის გმირი; 15. გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატი; 19. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ფეხბურთში მსოფლიო ნაკრების წევრი; 21. „შავი მარგალიტი", ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშე; 22. ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრების წევრი; 24. ერთ-ერთი ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 25. სპეციალური ფიზიკური ვარჯიშის მიმდევარი ინდოეთში; 26. საჭადრაკო სვლა; 27. ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 28. რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქალთა შორის შუბის ტყორცნაში; 29. იაპონელი ტანმოვარჯიშე; 31. შესანიშნავი საბჭოთა მძლეოსანი; 33. გამოჩენილი ჩეხი მძლეოსანი; 35. თბილისის დინამოს ფეხბურთელი; 37. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კრივში; 38. საბჭოთა მოჭადრაკე; 39. ცნობილი თურქი მოჭიდავე; 46. პირველობის გათამაშება; 47. ფეხბურთში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი; 48. „ა" კლასის მეორე ეშელონის ფეხბურთელთა გუნდი; 49. სპორტული ჯილდო; 50. ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 51. გამოჩენილი ავსტრალიელი მოცურავე ქალი; 52. წარსულში ინგლისის ნაკრების წევრი, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ფეხბურთელი.

შეადგინა მერაბ კანდელაკმა

გარეკანის პირველ გვერდზე: ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: მხიარული დღე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-65 წ. გამომც. № 108, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 180, უე 02909

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.


ეროვნული ბიბლიოთეკა

გრემი.

ფოტო თ. არჩვაძისა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა